სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180490296
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,მტკვრის ქ.#4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28816901066718

საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის ორ მაისს, მე, თამარ ახმეტელს, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს თბილისში მტკვრის ქ. #4, მომმართა ინგა რეხვიაშვილმა (დაბ. 10.02.1986წელს, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, ფარნავაზ მეფეს ქუჩა, N 64, პირადი #10001017562), რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტი და ითხოვა მისი ასლის დამოწმება სამ ეგზემპლარად.

მე, ნოტარიუსი ვამოწმებ სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო-ს ფინანსური ანგარიშგების და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფოტოასლის შესაბამისობა მის დედანთან.

დოკუმენტში ამოფხეკილი, მიწერილი, გადაშლილი სიტყვები და სხვა აღნიშნელი გასწორებანი ან რაიმე თავისებურებანი აღმოჩენილია (ხელმოწერილია მხოლოდ პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 გვერდები (დანომვრის მიხედვით)),ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად, ნოტარიუსის შემცვლელ პირს არ ეკისრება პასიუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებას), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად) ან დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე და ეს ენა არ იცის ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა.

დამოწმებულია სამი ეგზემპლარი. გადახდილია საზღაური: თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507), მუხლი 31.5 - 100.50, დღგ 18.09 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. სულ – 118.59 ლარი

ნოტარიუსის შემცვლელი პირი: თამარ ახმეტელი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18

სააქციო საზოგადოება
ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში 2-3

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 7

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ორგანიზაცია 8
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები 9
3. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება 19
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები 30
5. ფული და ფულის ექვივალენტები 32
6. მოთხოვნები ბანკების მიმართ 32
7. კლიენტებზე გაცემული სესხები 32
8. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები 36
9. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები 36
10. ძირითადი საშუალებები 37
11. სხვა აქტივები 38
12. არამატერიალური აქტივები 38
13. ბანკების დეპოზიტები 39
14. კლიენტების დეპოზიტები 39
15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 40
16. ნასესხები სახსრები 40
17. სხვა ვალდებულებები 41
18. სუბორდინირებული სესხი 42
19. სააქციო კაპიტალი 42
20. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 43
21. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი 44
22. წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე 44
23. საკომისიო შემოსავალი 44
24. სხვა შემოსავალი 45
25. პერსონალის ხარჯები 45
26. სხვა საოპერაციო ხარჯები 45
27. მოგების გადასახადი 46
28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 47
29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 49
30. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 50
31. კაპიტალის რისკის მართვა 53
32. რისკის მართვის პოლიტიკა 55
33. შემდგომი მოვლენები 72
34. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 72

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ავრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 23 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს („ბანკი”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებელი პირი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ბანკის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (მოქმედი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს მოქმედი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ბანკის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენ დასკვნას. გონივრული რწმუნება წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმუნებას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის

საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენა ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტის ჩატარებისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს.

გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობას და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი შეფასების მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ბანკი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
თამარ ნაცვლიშვილი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	28,032,175	28,507,859
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		18,221,518	19,384,781
მოთხოვნები ბანკების მიმართ	6	979,602	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	221,417,607	202,123,615
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	8	18,976,370	19,285,801
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	9	162,770	-
ძირითადი საშუალებები	10	3,864,363	4,038,348
გადავადებული საგადასახადო აქტივები	27	-	57,748
არამატერიალური აქტივები	12	2,363,038	3,094,674
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-	231,202
სხვა აქტივები	11	1,336,822	962,427
სულ აქტივები		**295,354,265**	**277,686,455**
ვალდებულებები:			
ბანკების დეპოზიტები	13	23,625,199	-
კლიენტების დეპოზიტები	14	97,929,163	99,614,168
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	20,141,138	20,091,304
ნასესხები სახსრები	16	98,652,729	112,623,128
მიმდინარე მოგების გადასახადი		83,650	-
სხვა ვალდებულებები	17	825,548	1,136,264
სუბორდინირებული სესხი	18	12,552,520	6,691,790
გადავადებული მოგების გადასახადი	27	490,280	-
სულ ვალდებულებები		**254,300,227**	**240,156,654**
კაპიტალი:			
ბანკის აქციონერთა კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	20,213,600	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება		20,840,438	17,316,201
სულ კაპიტალი		**41,054,038**	**37,529,801**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**295,354,265**	**277,686,455**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

8-72 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

[illegible] საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

[illegible]-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	20	59,861,501	59,289,608
საპროცენტო ხარჯი	20	(21,165,326)	(19,179,200)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე		38,696,175	40,110,408
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	21	(3,846,222)	(6,125,258)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**34,849,953**	**33,985,150**
მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	9	162,770	-
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხორი ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	22	(800,962)	671,805
საკომისიო შემოსავლები	23	1,559,353	178,164
საკომისიო ხარჯები		(61,821)	(48,735)
სხვა შემოსავლები	24	759,459	474,928
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		**1,618,799**	**1,276,162**
საოპერაციო შემოსავალი		**36,468,752**	**35,261,312**
პერსონალის ხარჯები	25	(15,007,830)	(15,433,669)
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 12	(2,487,413)	(2,473,732)
სხვა საოპერაციო ხარჯები	26	(14,901,244)	(16,266,760)
მოგება მოგების გადასახადამდე		**4,072,265**	**1,087,151**
მოგების გადასახადის ხარჯი	27	(548,028)	(411,391)
პერიოდის წმინდა მოგება		**3,524,237**	**675,760**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,524,237**	**675,760**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

8-72 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

[illegible] საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

[illegible] ცვლილებების ანგარიში
[illegible] 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ბანკის აქციონერთა კაპიტალი
1 იანვარი, 2016		20,213,600	16,640,441	36,854,041
სულ წლის სრული შემოსავალი		-	675,760	675,760
31 დეკემბერი, 2016		20,213,600	17,316,201	37,529,801
სულ წლის სრული შემოსავალი		-	3,524,237	3,524,237
31 დეკემბერი, 2017		20,213,600	20,840,438	41,054,038

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

8-72 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

[illegible] საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

[illegible] ნაკადების მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
[illegible] ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის წმინდა მოგება		3,524,237	675,760
[illegible] კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	21	3,846,222	6,125,258
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება		(29,567)	(3,024)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		1,224,944	11,667
მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	9	(162,770)	-
დარიცხული პროცენტის (კლება)/ზრდა, წმინდა		(592,509)	208,550
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 12	2,487,413	2,473,732
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი	27	548,028	411,391
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**10,845,998**	**9,903,334**
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მოთხოვნები ბანკების მიმართ		(948,022)	2,366,716
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში		805,614	(7,282,441)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(26,134,145)	(21,633,907)
სხვა აქტივები		(370,950)	1,138,767
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები		-	(101,933)
კლიენტების დეპოზიტები		(1,861,081)	63,999,506
ბანკების დეპოზიტები		23,556,449	(9,600,000)
სხვა ვალდებულებები		(310,716)	(70,981)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე		5,583,147	38,719,061
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(236,136)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		5,583,147	38,482,925
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,587,754)	(3,254,604)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		35,529	4,797
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შეძენა		1,417,106	(14,887,543)
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(135,119)	(18,137,350)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		5,518,998	-
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		-	(7,100,148)
ნასესხები სახსრებიდან მიღებული ფულადი სახსრები		50,705,848	50,127,443
ნასესხები სახსრების დაფარვა		(62,263,893)	(56,654,375)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(6,039,047)	(13,627,080)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ თანხაზე		115,335	1,184,793
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(475,684)	7,903,288
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისი		28,507,859	20,604,571
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლო		28,032,175	28,507,859

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 26,252,326 და 51,665,664 ლარი. 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 21,805,562 და 50,978,221 ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

8-72 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ორგანიზაცია

სს „ფინკა ბანკი საქართველო" („ბანკი") არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში, თბილისში რეგისტრირებულია 2007 წლის 20 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით 205235262. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე. ბანკი საქმიანობას წარმართავს ზოგადი საბანკო ლიცენზიის №252 შესაბამისად. სესხები გაიცემა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

„ფინკა ბანკი საქართველოს" 100%-იანი წილის მფლობელია კოოპერატივი „ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივი", რომელიც რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ამსტერდამში, ნიდერლანდების სავაჭრო პალატის ნომრით 53004698 (შემდგომში „კოოპერატივი").

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოოპერატივის წევრები იყვნენ:

1. აშშ დელავერის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია "FINCA Microfinance Holding Company", რომლის იურიდიული misamarTia: 2711, სენტერვილ როუდი, 400, უილმინგტონი, დელავერი 19808, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 99 ხმის უფლებას როგორც კოოპერატივის ა წევრი და 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.
2. აშშ მერილენდის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია " FINCA International LLC", რომლის იურიდიული მისამართია: 11, ისტ ჩეიზ სტრიტი, ბალტიმორი, მერილენდი 21202, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 0186. ბანკს საქართველოში აქვს 37 (2016: 39) სერვის-ცენტრი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში დასაქმებული იყო 577 ადამიანი (2016: 701).

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "FINCA Microfinance Holding Company" აქციონერებს წარმოადგენდნენ:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
FINCA International Inc.	62.93%	62.64%
International Finance Corporation	14.27%	14.38%
KfW	8.87%	8.94%
Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V	7.25%	7.31%
Credit Suisse Microfinance Fund Management Company	2.96%	2.98%
Triple Jump (ASN-NOVIB FONDS)	2.06%	2.07%
Triodos Investment Management	1.66%	1.68%
სულ	100%	100%

FINCA International Inc. არის ვაშინგტონში (კ.ო.) დაფუძნებული მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ქსელი, რომელიც შვილობილი და პარტნიორი კომპანიების მეშვეობით ოპერირებს მსოფლიოს 20 ქვეყანაში.

FINCA International Inc არის აშშ კანონმდებლობით მოქმედი არაკომერციული კორპორაცია და როგორც ასეთი, მისი წევრები არ ფლობენ წილს კომპანიაში და, შესაბამისად, არ გააჩნიათ ეკონომიკური უფლებები. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, FINCA International Inc.-ის წევრები არიან: რუპერტ სკოფილდი, ჯონ ჰეტჩი, რობერტ ჰეტჩი, რიჩარდ უილიამსონი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2018 წლის 23 მარტს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასსს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაზომვისას ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის ან/და განმარტების მიზნით რეალური ღირებულება დგინდება აღწერილი მიდგომით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ექვემდებარება დაკვირვებას რეალური ღირებულების გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის. აშნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე დადგენილი ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული დადგენილი ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და ბუღალტრულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კანონით გათვალისწინებული საბუღალტრო მონაცემებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები იზომება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ბანკის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, ურთიერთგაქვითოს ზემოხსენებული თანხები და განზრახული აქვს წმინდა ღირებულებით აღრიცხვა ან სურს ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში არ გაიქვითება, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და შესაბამისად განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში. ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან კონტექსტის მიხედვით, უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივებზე მიღებული საპროცენტო სარგებელი შედის საპროცენტო შემოსავლებში

საკომისიო შემოსავლების აღიარება

სესხის წარმოშობის საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და აღიარდება როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. როდესაც

[illegible]ვარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში სასესხო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიოები აღიარდება შემოსავლებში მომსახურების გაწევისას. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის ყიდვა-გაყიდვა აღიარდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის ყიდვა, რომელიც შემდგომში რეალური ღირებულებით უნდა აისახოს, ვაჭრობის დღესა და ანგარიშსწორების დღეს შორის აღირიცხება ისევე, როგორც შესყიდული ინსტრმენტები. ფინანსური ინსტრმენტების ყიდვა-გაყიდვა რეგულარული ხასიათისაა, თუ საჭიროა აქტივების მიტანა ბაზარზე დადგენილი წესით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ყიდვასთან, დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ არსებულ მოთხოვნებს 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომელიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

მინიმალური სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკთან

მინიმალური სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო რეზერვს, რომელიც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად ხელმისაწვდომი არ არის და, შესაბამისად, ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ ითვლება.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებითა დაფარვის ფიქსირებული ვადით, რომელთა შენარჩუნება დაფარვამდე ბანკს განზრახული აქვს და ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

თუ ბანკი გადაწყვეტს, დაფარვის ვადის დადგომამდე გაყიდოს ან გადააკლასიფიციროს დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ ს არ ხდება კონკრეტულ სპეციფიურ ვითარებაში), ეს ქმედება გავრცელდება მთელ კატეგორიაზე. ასეთ შემთხვევაში გაუყიდავად დარჩენილი ნაწილი უნდა გადაკლასიფიცირდეს გასაყიდად არსებულ აქტივებად. გარდა ამისა, ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის კლასიფიცირება დაფარვის ვადამდე ფლობილად მიმდინარე და მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში.

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

ამ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს მისი ყიდვა-გაყიდვის მიზნით, ან მოგება-ზარალში ასახავს რეალური ღირებულებით.

ფლობა ყიდვა-გაყიდვის მიზნით დასტურდება, თუ ფინანსური აქტივი:

- კომპანიამ შეისყიდა მისი ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას ის შედიოდა იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში, რომელსაც ჯგუფი მართავს ერთად და, თანაც, ახლო წარსულში იყო მოკლევადიანი მოგების მომტანი; ან
- არის წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც არ მოქმედებს ან ითვლება ჰეჯირების ინსტრუმენტად.

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო მათი გადაფასებისას წარმოქმნილი მოგება ან დანაკარგი ასევე აღიარდება მოგება-ზარალში. ეს უკანასკნელი მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ საპროცენტო სარგებელს და შედის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე (მათ შორის მოთხოვნები ბანკების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

ფინანსური აქტივების, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივების, გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან

- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფურად.

შეფასებული ჯგუფებისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შესაფასებლად ბანკი, ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ანგარიშობს დეფოლტის ალბათობას და დეფოლტის შემთხვევაში გასაწევი ზარალის ოდენობას. შიდა ან გარე პირობების ცვლილების შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როდესაც ისტორიული მონაცემები აღარ ასახავს არსებულ ვითარებას, ბანკი რისკის პარამეტრებს აკორექტირებს უახლესი დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა ამით მხედველობაში მიიღოს არსებული მდგომარეობის ეფექტი, რომელიც წინა პერიოდებში არ არსებობდა და გააუქმოს წინა, უკვე არარსებული პირობების ეფექტი.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში ისე, რომ გაუფასურების აღდგენის დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ამორტიზებული ღირებულების იმ ოდენობას, რომელიც ორგანიზაციას ექნებოდა, გაუფასურება რომ არ ეღიარებინა.

სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

სადაც ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად, მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხების და მოთხოვნების ჩამოწერა

სესხებისა და მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და მოთხოვნები ექვემდებარება ჩამოწერას ბალანსის ანგარიშიდან, თუმცა არასაბალანსო ანგარიშებში რჩება ამოღების ღონისძიებების პარალელურად, სანამ ბანკი არ ამოწურავს თანხის ამოღების ყველა ზომას. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებად ან სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის, ბანკების დეპოზიტები, კლიენტების დეპოზიტები, ნასესხები სახსრები, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სუბორდინირებული სესხი და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის გასანაწილებლად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი გადახდების (გადახდილი ან მიღებული ყველა იმ საკომისიოს ჩათვლით, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოხმარების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან სადაც მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკის მოვალეობები სრულდება, უქმდება ან მათ ვადა გასდის. თუ არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდა იმავე გამსესხებლის სხვა ვალდებულებით არსებითად განსხვავებული პირობებით, ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვალა, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა

[illegible]არებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ფორვარდები არის საკონტრაქტო გარიგებები ორ მხარეს შორის, რომლებიც ითვალისწინებს დროთა განმავლობაში დაკონკრეტებული პირობითი ოდენობის გადახდების მიმოცვლას წინასწარ დადგენილი უცხოური ვალუტის კურსის საბაზო ინდექსის ცვლილებასთან მიმართებაში.

სავალუტო ფორვარდების მეშვეობით ბანკი იხდის კონკრეტულ თანხას ერთ ვალუტაში და იღებს კონკრეტულ თანხას სხვა ვალუტაში. ანგარიშსწორება სავალუტო ფორვარდებზე ხდება ურთიერთჩათვლით.

იჯარა

საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე იჯარის მოქმედების პერიოდის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით განაწილებას სისტემატიზაციის სხვა მიდგომა უკეთ ასახავს.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად გათვალისწინებულია საიჯარო შეღავათები, ისინი აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი აღიარდება წრფივად, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით განაწილებას სისტემატიზაციის სხვა მიდგომა უკეთ ასახავს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი ქირის გადასახადი აღიარდება ხარჯად მათი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების აღიარებული დანაკარგები, თუ ასეთი არსებობს.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას ისე, რომ აქტივები წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს მათი სასარგებლო მოხმარების ვადის მანძილზე. ცვეთა გამოითვლება წრფივ საფუძველზე სასარგებლო მოხმარების შემდეგი ვადების გამოყენებით:

	წელი
ავეჯი და მოწყობილობები	*3-5*
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	*3-6*
სატრანსპორტო საშუალებები	*5*
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	*საიჯარო კონტრაქტის მიხედვით*
სხვა	*2-5*

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას ერიცხება ამორტიზაცია იჯარით აღებული შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი გაწევის მომენტში და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ კაპიტალიზაციის ჯგუფის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველ საანგარიშო დღეს იმის შემოწმების მიზნით, ხომ არ არის საშუალება აღრიცხული ამოღებად თანხაზე მეტი თანხით. ამოღებადი თანხა არის უმეტესი ერთი მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. თუ საბალანსო ღირებულება აჭარბებს სავარაუდო ამოღებად თანხას, ხდება აქტივების ჩამოწერა ამოღებად თანხამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდეგ, ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა კორექტირდება მომავალ პერიოდებში აქტივების

შესწორებული საბალანსო ღირებულებისა და მისი ნარჩენი ღირებულების (თუ ასეთი არსებობს) სხვაობის გადასანაწილებლად მოხმარების სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღრიცხული საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილების აღმოჩენის მიზნით. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების გაუფასურება მოწმდება, თუ არსებობს იმისი ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება გაუფასურებული იყოს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკი განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ამოღებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გამომუშავებელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

განუსაზღვრელი მოხმარების ვადის არამატერიალური აქტივებისა და ჯერ გაუმზადებელი არამატერიალური აქტივების გაუფასურება მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ აქტივის გაუფასურების ნიშანი.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე

[illegible]ირებულებამდე გადასახადამდე დისკონტირება გადასახადამდე არსებული დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ამოღებად ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება ამოღებადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს გუდვილისგან ან სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან (გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევებისა) ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრ მოგებას არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტებზე გაცემულ სესხებთან და ძირითად საშუალებებთან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის აღმოფხვრა და სავარაუდოდ, დროებითი სხვაობის აღმოფხვრა განჭვრეტად მომავალში არ მოხდება. ამგვარ ინვესტიციებთან და მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოქვითვადი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდოა, რომ იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შესაძლებელი იქნება აღნიშნული დროებითი სხვაობების გამოყენება და მათი (სხვაობების) აღდგენა განჭვრეტად მომავალში შესაძლებელია.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადასახადები სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ ერთეულებთანაა დაკავშირებული. ასეთ დროს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში აისახება.

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ ხდება მათი აღწერა ფინანსურ ანგარიშგებაში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. რეალური ღირებულებით აღრიცხული, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულების გადაფასება ხდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი კურსით. არ გადაფასდება ის არაფულადი ერთეულები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებითაა გაზომილი.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი /1 ევრო	3.1044	2.7940

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროებისდამიხედვით. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, საწარმოთა გაერთიანების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შასს) გამოყენება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი შასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა“;
- შესწორება ბასს 12-ში „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“;
- შასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი - შესწორება შასს 12-ში.

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილების გამომწვევი ახალი ან შესწორებული სტანდარტი არ გამოყენებულა.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა“

ბანკმა ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

ბანკში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 18) და რამდენიმე სხვა ფინანსურ ვალდებულებას. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, ბანკმა წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. შესწორების ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

შესწორებები ბასს 12 „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“

ბანკმა ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ, ექნება თუ არა მომავალში საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართ შეუძლია გამოქვითვადი დროებითი სხვაობის გამოყენება.

ამ შესწორებათა ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია, რადგან ბანკი უკვე აფასებს სამომავლო დასაბეგრი მოგების დონეს ამ შესწორებათა შესაბამისად.

ფას-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

ბანკმა მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფას-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფას 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავარაუდო არ არის და ბანკს მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფას-ების სია).

ფას 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში წილობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შეღავათია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფას 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფას-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფას-ებს:

- ფას 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები*[1];
- ფას 15 – *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)*[1];
- ფას 16 - იჯარა[2];
- ფას 17 - სადაზღვევო კონტრაქტები[3];
- ფაისკ 22 - *სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება*[1];
- ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*[2];
- შესწორებები ფას 2 - *იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით*[1];
- შესწორებები ფას 10 და ბას 28 – *აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში*[4];
- შესწორებები ბას 40 - *საინვესტიციო ქონების გადაცემა*[1];
- შესწორებები ფას 4 - *„ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფას 4 „სადაზღვევო კონტრატებთან“ ერთად*[1];
- შესწორებები ფას 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[2];
- ბას 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები[2];
- ფას-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი[1];
- ფას-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი[2].

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები"*

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელით ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის კიდევ ერთი რედაქცია. იგი მთლიანობაში მოიცავს ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს და 2) მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება და შემოაქვს „სხვა სრული შემოსავლებში ასახული რეალური ღირებულების" ცნება გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების კატეგორიისათვის.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა**. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივ, რომელიც ხვდება ამ სტანდარტის მოქმედების არეალში, შემდგომში უნდა გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით შემდგომი სააღრიცხვო პერიოდების ბოლოს. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებს, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და სააქციო ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით შემდგომი სააღრიცხვო პერიოდების ბოლოს. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა და პირობითი ანაზღაურებისა, რომელსაც ბიზნეს-სუბიექტის მყიდველი ფასს 3-ის ფარგლებში განსაზღვრული გაერთიანების პროცესში აღიარებს) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ისეთი ფინანსურ ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებითაა ასახული, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ სხვა სრულ შემოსავლებში ამგვარი ცვლილების აღიარება საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის თანახმად, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილება მოგება-ზარალში აისახება.
- **გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფასს 9 მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელის არსებობას, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო

დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც დღესდღეობით ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წ. 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სტანდარტის სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კლასიფიკაცია და გაზომვა

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება კვლავაც შეფასდება იმავე საფუძველზე, როგორც წინა პერიოდებში - ბასს 39-ის შესაბამისად.

გაუფასურება

ამჟამად მიმდინარეობს შპს „ფინკა მაიკროფაინანს ჰოლდინგსისა" და მისი შვილობილი კომპანიების ფასს 9-ის დანერგვის ერთობლივი პროგრამის ტესტირების ბოლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს ფასს 9-ის რისკის პარამეტრების მოდელირების მეთოდოლოგიების შემოწმებას.

შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით არ აისახება, ბანკი მომავალში გეგმავს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის აღიარებას:

- ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები;
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები
- გაცემული სესხის გარანტიები; და
- გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები.
- სხვა ფინანსური აქტივები

შესყიდული ან წარმოშობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება შემდეგი ოდენობის დანაკარგის რეზერვით:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, ანუ (ლიფეტიმე) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლებელია დადგეს საანგარიშო დღიდან 12 თვის განმავლობაში (პირველი ეტაპი); ან

- სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, ანუ (ლიფეტიმე) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში დამდგარი ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენიდან (მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი).

სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფინანსური ინსტრუმენტისათვის საჭირო იქნება, თუ ამ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდგომ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისათვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ტოლის ოდენობით.
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეფასების პროცესში პროსპექტიული მაკროეკონომიკური ინფორმაციის ჩართვის მიზნით, ბანკი გააანალიზებს დეფოლტის დამოკიდებულებას გარკვეულ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე, უძრავი ქონების ფასები და სავალუტო ინდექსი. საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები და სცენარები მათი ხდომილების ალბათობასთან მოპოვებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციიდან.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება შედეგად მოიტანს შესაბამის ერთეულებზე საკრედიტო დანაკარგების ადრეულს აღიარებას და გაზრდის ამ ერთეულებისათვის აღიარებული დანაკარგების რეზერვის მოცულობას. თუმცა, ზემოქმედების სარწმუნო პროგნოსის გარეშე ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მიდგომას შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით.

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ახლად შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2017 წლის აპრილში, საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გაავრცელა ფასს 15-ის განმარტებები, რომლებიც შედეგიანობის ვალდებულებების დადგენას, ძირითადი თანხისა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენების პრინციპებს ეხება.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ბასს 15-ის შესწორების გამოყენებას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან/და მის ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 კომპანიებს ინფორმაციის ჩვენების დამატებით მოთხოვნებსაც უყენებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია საოპერაციო იჯარის ისეთი ვალდებულებები, რომელთა გაუქმება შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მომავალში ფასს 16-ის გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტი ადგენს სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარმოდგენისა და განმარტების პრინციპებს. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს:

- ფასს 17 ხაზს უსვამს „ზოგად მოდელს“, რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც

„ცვლადი ანაზღაურების მიდგომად“ განისაზღვრება. „ზოგადი მოდელი“ მარტივდება „პრემიუმის განაწილების მიდგომის“ გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

- „ზოგად მოდელში“ გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას და საფუძვლად იყენებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.
- სადაზღვევო პოლისების გაყიდვიდან მიღებული მოგება გადადის როგორც ვალდებულების ინდივიდუალური კომპონენტი პირველ დღეს და ჯამდება სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების ფარგლებში; ამის შემდეგ ხდება მისი სისტემატიური ანგარიშგება მოგება-ზარალში სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, სამომავლო სადაზღვევო პერიოდთან დაკავშირებული დაშვებების მიხედვით კორექტირების შემდეგ.
- ის ფიქსირებულ ანაზღაურებიანი მომსახურების კონტრაქტები, რომლებიც მითითებულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, დამუშავდება ფასს 15-ის „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მიხედვით და არა ახალი ფასს 17-ის შესაბამისად.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება ექნება იმ პირებს, რომლებიც ფასს 17-ის საწყისი გამოყენების მომენტისათვის ან მანამდე უკვე იყენებენ ფასს 9-სა და 15-ს. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომის მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკს სადაზღვევო კონტრაქტები არ გააჩნია.

შესწორება ფასს 2 - *იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით*

შესწორებას შემოაქვს შემდეგი განმარტებები:

1. აქციებით ანაზღაურებადი გადახდების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, წილობრივ უფლებებში შესვლისა და წილობრივი უფლებების მოხსნის პირობების ბუღალტრული აღრიცხვა უნდა მოხდეს ისეთივე მიდგომით, როგორც წილით ანაზღაურებადი გადახდების შემთხვევაში.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ნორმა პირს სთხოვს, თანამშრომლის საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად დააკავოს ამ ვალდებულების მონეტარული მნიშვნელობის ტოლი წილობრივი ინსტრუმენტების კონკრეტული რაოდენობა და შემდგომ გადაურიცხოს ეს ვალდებულება საგადასახადო ორგანოს, ანუ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას გააჩნია ნეტინგის მახასიათებელი, ამგვარი გარიგება მთლიანად უნდა ჩაითვალოს წილით ანაზღაურებადი, მხოლოდ იმ პირობით, თუ აქციაზე დაფუძნებული ანაზღაურება, ნეტინგის მახასიათებლის არქონის შემთხვევაში, წილით ანაზღაურებად ჩაითვლებოდა.
3. აქციებით ანაზღაურებადი გადახდის მოდიფიკაცია, რომლის ფარგლებშიც ტრანზაქცია ფულით ანაზღაურებადიდან წილით ანაზღაურებადის კატეგორიაში გადაინაცვლებს, უნდა აღირიცხოს შემდეგნაირად:

   ა. თავდაპირველი ვალდებულება ჩამოიწერება;

   ბ. წილით ანაზღაურებადი და აქციებზე დაფუძნებული გადახდის აღიარება ხდება გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტის მოდიფიკაციის დღეს დაფიქსირებული რეალური ღირებულებით, თუ მომსახურება მოდიფიკაციის დღემდეა გაწეული; და

გ. ნებისმიერი სხვაობა მოდიფიკაციის დღეს ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და წილობრივ კაპიტალში ასახულ ოდენობას შორის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღიარებული მოგება-ზარალში.

შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ საანგარიშო პერიოდებში. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოქმედებს კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების გამოყენება მომავალში მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკი არ არის შესული ფულით ანაზღაურებად და აქციებზე დაფუძნებულ გარიგებებში ან საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ გარიგებებში საგადასახადო ორგანოებთან აქციებზე დაფუძნებულ გადახდებთან მიმართებაში.

შესწორებები ბასს 40 „საინვესტიციო ქონების გადაცემა“

შესწორებები განმარტავს, რომ ქონების გადაცემა საინვესტიციო ქონებიდან ან საინვესტიციო ქონებაში პირს ავალდებულებს, შეაფასოს, აკმაყოფილებს თუ არა ქონება ან ხომ არ ამოვარდა ის საინვესტიციო ქონების განსაზღვრებიდან. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს დაკვირვებად მტკიცებულებას, რომ ადგილი ჰქონდა გამოყენების ცვლილებას. გარდა ამისა, შესწორებები განმარტავს, რომ გამოყენების ცვლილებას შეიძლება ცხადყოფდეს ბასს 40-ში ჩამოთვლილს გარდა სხვა გარემოებებიც და რომ გამოყენების ცვლილება შესაძლებელია მიმდინარე მშენებლობებისათვის (ანუ გამოყენების ცვლილება შეიძლება შეგვხვდეს სხვა სახის ქონებაშიც დასრულებულის გარდა).

შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია უკანა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა ამოქმედებას მნიშვნელოვანი ზეგალვენა ექნება ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე, რადგან ბანკს საინვესტიციო ქონება არ გააჩნია.

შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას თუ ერთობლივ საწარმოს შორის

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღირიცხება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებული პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკს სადაზღვევო კონტრაქტები არ გააჩნია.

ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი" აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება. ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკი ამჟამად იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია უკანა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკი ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფაისკ 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრატებთან ერთად"

შესწორებები უმეტესწილად სადაზღვევო საქმიანობით დაკავებულ კომპანიებს აძლევს არჩევანს, გააგრძელონ აღრიცხვის არსებული, ფასს-ებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენება და ფასს 9-ის ამოქმედება გადადონ ან ახალი სადაზღვევო სტანდარტის

ამოქმედებამდე ან 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ პერიოდებამდე („ვადის გასვლის პირობა"). არის თუ არა კომპანია „უმეტესწილად" დაზღვევით დაკავებული, უნდა შეფასდეს ანგარიშმგებელი პირის დონეზე, უშუალოდ 2016 წლის 1 აპრილამდე წლიურ საანგარიშო დღეს. ამის შემდეგ ამ კრიტერიუმის გადახედვა აღარ შეიძლება, თუ კომპანიის საქმიანობაში არ მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც დღის წესრიგში დააყენებს კრიტერიუმის დაკმაყოფილების სავალდებულო გადახედვას. კომპანია გამოიყენებს იმ შესწორებებს, რომლებიც კონკრეტული კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელ მზღვეველებს საშუალებას მისცემს, დროებით გადადონ ფასს 9-ის გამოყენება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებამდე.

გარდა ამისა, შესწორებები ფასს 4-ის მოქმედების ფარგლებში არსებული კონტრაქტების მფლობელ ყველა კომპანიას აგრეთვე აძლევს არჩევანს, სრულად აამოქმედონ ფასს 9 თუ ისეთი კორექტივები შეიტანონ მოგება-ზარალში, რომლებიც, შესაბამის დასახელებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში ფასს 9-ის ზემოქმედებას გააუვნებელყოფდა ბასს 39-თან შედარებით. ამ მიდგომას „გადამფარავი მიდგომა" ეწოდება და მისი გამოყენება შესაძლებელია ცალკეულ აქტივებთან მიმართებაში. კომპანია ვალდებულია, გადამფარავი ქმედებების შემცველი ეს შესწორებები გამოიყენოს ფასს 9-ის თავდაპირველად ამოქმედებისას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებების გამოყენება არსებით ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ბანკს არ აქვს სადაზღვევო კონტრაქტები, რომლებზეც ფასს 4 ვრცელდება.

შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

ეს ფოკუსირებული შესწორებები მიზნად ისახავს იმ დაუგეგმავი შედეგების გამოსწორებას, რაც „გონივრული დამატებითი ანაზღაურების" ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის ოფციონის მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით ოფციონის მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის" პირობა.

გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიძღვნილ ორ პარაგრაფში სათაურით „დასკვნის საფუძველი". ამ პარაგრაფებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული დამუშავება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შესწორება ძალაში შედის რეტროსპექტიულად 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, თუ როდის ხდება შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებასთან მიმართებაში.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი არ იყენებს უარყოფითი ანაზღაურების მქონე წინასწარ გადახდებს.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს, რომლებიც ამ კომპანიებში პირის წმინდა ინვესტიციების ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით

მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ გააჩნია გრძელვადიანი წილები მეკავშირე პირებში და ერთობლივ საწარმოებში.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

წლიური რედატირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფასს 1 და ბასს 28-ში, რომლებიც ჯერ ბანკისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფასს 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა ბანკისათვის მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში „ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფასს-ების“ თაობაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი პირის ოფციის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი,

ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შეეიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით და ასევე გათვლების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები საანგარიშო პერიოდის ბოლოს. არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ აღნიშნული დაშვებები და წყაროები გამოიწვევს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების აუცილებლობას.

სესხების და მოთხოვნების გაუფასურება

ბანკის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკის ხელმძღვანელობა სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს არასარწმუნოობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ნებისმიერ საანგარიშო დღეს გაუფასურების ანარიცხების განსაზღვრის მიზნით ბანკი იყენებს ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასებების კომბინაციას. სესხები და მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება მაშინ, როდესაც ისინი ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება. ასეთად ითვლება ისეთი სესხები და მოთხოვნები, რომელთა დასაფარი ნაშთი აღემატება საკუთარი კაპიტალის 0.5%-ს.

ხელმძღვანელობისეული შეფასების გამოყენებით, ბანკი აფასებს გაუფასურების დანაკარგის მოცულობას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს განიცდის,

ხოლო მსგავსი მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არაა. გარდა ამისა, მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილება მოწმდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა წარსული შედეგები, კლიენტების წარსული ქცევები, დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს ჯგუფში მსესხებლების გადახდისუნარიანობის უარყოფით ცვლილებებზე და ადგილობრივი ან ეროვნული დონის ეკონომიკური გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში მოქცეული აქტივების დეფოლტთან. ჯგუფში შემავალი სესხების მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების მქონე აქტივებზე შეფასებები კეთდება დანაკარგების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ხელმძღვანელობის შეფასების საშუალებით, სესხების ჯგუფის დაკვირვებადი მონაცემები კორექტირდება ისე, რომ მათში აისახოს არსებული, წარსულ მონაცემებში არასახული გარემოებები. გაუფასურებაზე სესხების პორტფელი მოწმდება როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ჯგუფურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი დადგინდა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების საფუძველზე. ბანკი არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლოს წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორი იქნება საქართველოს გარემოს ცვლილება და რა ეფექტს გამოიწვევს იგი სამომავლო პერიოდების ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის დადგენის თვალსაზრისით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა მთლიანმა სესხებმა შეადგინა, შესაბამისად, 225,089,727 ლარი და 206,376,432 ლარი, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა, შესაბამისად - 3,672,120 ლარი და 4,252,817 ლარი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების სხვაობით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების ვადა მსგავს აქტივებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხელმძღვანელობის შეფასების საგანს წარმოადგენს. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და მისი მოხმარების გარემოს. რომელიმე ამ პირობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღრიცხვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს და ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს და ეხება სხვა კომპანიებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომპანიები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე (თუ, ეს მოგება, კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების შემთხვევაში, მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. თუ ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2019 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში, მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის, ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, (490,280) ლარი და 57,748 ლარი.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ნაღდი ფული სალაროში	12,306,040	13,168,091
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებთან	5,588,121	4,352,070
საკორესპონდენტო ანგარიშები სებ-ში	10,138,014	10,987,698
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**28,032,175**	**28,507,859**

6. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ვადიანი დეპოზიტები	979,602	-
სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ	**979,602**	**-**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 979,602 ლარის ოდენობის ვადიანი ანაბარი წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული ვადიან დეპოზიტს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგროვილმა პროცენტმა შეადგინა ნული და შესაბამისად, ნული ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიმართ მოთხოვნები წარმოადგენს არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული თანხებს.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	225,089,727	206,376,432
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(3,672,120)	(4,252,817)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**221,417,607**	**202,123,615**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
დარგობრივი ანალიზი:		
სოფლის მეურნეობა	80,670,951	73,128,225
ვაჭრობა	64,240,172	61,728,936
მომსახურება	57,391,856	52,711,463
წარმოება	15,538,878	13,858,354
სამომხმარებლო	3,675,727	2,093,627
სხვა	3,572,143	2,855,827
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(3,672,120)	(4,252,817)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**221,417,607**	**202,123,615**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	23,278,820	6,681,342	19,858,331	7,880,618	303,391	804,879	**58,807,381**
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი	34,211,247	52,147,971	28,652,832	6,173,643	1,685,523	1,016,482	**123,887,698**
დეპოზიტებით უზრუნველყოფილი	131,094	-	50,045	34,008	-	130,139	**345,286**
სხვა უზრუნველყოფა	65,098	14,258	264,155	246	-	-	**343,757**
უზრუნველყოფის გარეშე	6,553,913	21,827,381	8,566,494	1,450,361	1,686,813	1,620,643	**41,705,605**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	64,240,172	80,670,952	57,391,857	15,538,876	3,675,727	3,572,143	**25,089,727**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(808,023)	(1,850,163)	(219,823)	(638,880)	(69,758)	(85,473)	**(3,672,120)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**63,432,149**	**78,820,789**	**57,172,034**	**14,899,996**	**3,605,969**	**3,486,670**	**221,417,607**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	22,865,254	4,969,375	19,058,825	5,923,870	105,945	1,356,080	**54,279,349**
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი	30,612,499	43,390,126	24,250,344	6,020,041	513,212	1,147,963	**105,934,185**
დეპოზიტებით უზრუნველყოფილი	79,019	-	805	2,806	-	104,875	**187,505**
სხვა უზრუნველყოფა	106,300	22,494	223,817	-	-	13,457	**366,068**
უზრუნველყოფის გარეშე	8,065,864	24,746,230	9,177,672	1,911,637	1,474,470	233,452	**45,609,325**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	61,728,936	73,128,225	52,711,463	13,858,354	2,093,627	2,855,827	**206,376,432**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(998,234)	(2,128,524)	(829,203)	(260,425)	(9,107)	(27,324)	**(4,252,817)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**60,730,702**	**70,999,701**	**51,882,260**	**13,597,929**	**2,084,520**	**2,828,503**	**202,123,615**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ინდივიდუალური ექსპრეს სესხი	105,786,736	94,209,432
ინდივიდუალური სასოფლო სესხი	80,510,429	72,907,998
მცირე და საშუალო ზომის საწარმოს სესხი	32,271,009	36,646,370
სამომხმარებლო სესხი	5,255,856	1,177,788
თანამშრომელთა სესხი	1,105,176	1,214,617
აგრო-განვადება	160,521	220,227
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(3,672,120)	(4,252,817)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**221,417,607**	**202,123,615**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი (მთლიანი პორტფელის 100%) გაიცა საქართველოში მოღვაწე ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა პირობები განახლდა, შეადგენდა, შესაბამისად, 8,909,089 ლარს და 7,229,281 ლარს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 4,842,000 ლარისა და ნული ლარის ოდენობის კლიენტებზე გაცემული სესხები გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული რეფინანსირების სესხისათვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შედეგნარია:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
ჯგუფურად გაუფასურებული სესხები							
- ვადაგადაუცილებელი	61,973,018	76,483,291	55,555,241	14,819,412	3,574,727	3,408,231	**215,813,920**
- 1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	1,040,961	1,409,792	786,698	315,924	32,937	73,981	**3,660,293**
- 31-60 დღემდე ვადაგადაცილებული	295,764	737,374	275,582	167,822	23,718	16,748	**1,517,008**
- 61-90 დღემდე ვადაგადაცილებული	387,752	731,553	323,045	53,096	4,895	23,898	**1,524,239**
- 91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	416,670	1,141,187	386,871	128,201	39,451	45,516	**2,157,896**
- 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	126,007	167,754	64,419	54,424	-	3,767	**416,371**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**64,240,172**	**80,670,951**	**57,391,856**	**15,538,879**	**3,675,728**	**3,572,141**	**225,089,727**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(808,023)	(1,850,163)	(638,880)	(219,823)	(69,758)	(85,473)	**(3,672,120)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**63,432,149**	**78,820,788**	**56,752,976**	**15,319,056**	**3,605,970**	**3,486,668**	**221,417,607**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგნაირია:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
ჯგუფურად გაუფასურებული სესხები							
- ვადაგადაუცილებელი	59,220,939	68,770,603	50,786,117	13,043,681	2,078,453	2,813,754	**196,713,547**
- 1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	1,207,958	1,420,158	923,903	445,653	5,503	9,251	**4,012,426**
- 31-60 დღემდე ვადაგადაცილებული	254,602	726,380	132,412	118,924	3,497	-	**1,235,815**
- 61-90 დღემდე ვადაგადაცილებული	201,134	645,457	93,989	68,879	-	-	**1,009,459**
- 91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	708,226	1,279,699	637,361	153,625	6,174	30,676	**2,815,761**
- 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	136,077	285,928	137,681	27,592	-	2,146	**589,424**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**61,728,936**	**73,128,225**	**52,711,463**	**13,858,354**	**2,093,627**	**2,855,827**	**206,376,432**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(998,234)	(2,128,524)	(829,203)	(260,425)	(9,107)	(27,324)	**(4,252,817)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**60,730,702**	**70,999,701**	**51,882,260**	**13,597,929**	**2,084,520**	**2,828,503**	**202,123,615**

8. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	7.05%-7.33%	16,976,921	6.51%-9.46%	15,612,952
ფინანსთა სამინისტროს თამასუქები	9.05%	1,999,449	7.12%-10.07%	2,692,308
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი	-	-	6.69%	980,541
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		**18,976,370**		**19,285,801**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული რეფინანსირების სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენდა, შესაბამისად, 18,976,370 ლარის და ნული ლარის ოდენობის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 74,106 და 94,308 ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ლიკვიდობის ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკმა შეისყიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები და თამასუქები და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები.

9. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს:

	პირობითი თანხა	31 დეკემბერი, 2017	პირობითი თანხა	31 დეკემბერი, 2016
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები:				
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	28,869,870	162,770	-	-
სულ მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**28,869,870**	**162,770**	-	-

წარმოებული ინსტრუმენტებით ვაჭრობის საქმიანობის უდიდესი წილი მოიცავს ბანკებთან სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს.

ბანკი სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს იყენებს მხოლოდ ღია საბალანსო სავალუტო პოზიციების ჰეჯირებისათვის. ამდენად, თუმცა ამ ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულებები ძალზე მერყეობს, მათი დაბალანსება ხდება ღია საბალანსო სავალუტო პოზიციის გადაფასებით, რაც, ფორვარდული კონტრაქტების სრული სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით, შედეგად იწვევს ფიქსირებული, წინასწარ ცნობილი ჰეჯირების ხარჯების წარმოშობას.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	კომპიუტერული ოწყობილობებ	ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	ტრანსპორტი	შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	სხვა	სულ
თავდაპირველი ღირებულებით							
1 იანვარი, 2016	1,356,620	2,663,316	1,232,517	301,628	1,087,582	985,136	7,626,799
შესყიდვა	817,395	161,268	207,240	-	351,549	142,195	1,679,647
რეალიზაცია	(85,881)	(58,546)	(43,051)	-	-	(53,027)	(240,505)
31 დეკემბერი, 2016	2,088,134	2,766,038	1,396,706	301,628	1,439,131	1,074,304	9,065,941
შესყიდვა	439,884	430,930	299,206	-	-	82,903	1,252,923
რეალიზაცია	(89,314)	(43,418)	(50,101)	(60,326)	-	(50,179)	(293,338)
31 დეკემბერი, 2017	2,438,704	3,153,550	1,645,811	241,302	1,439,131	1,107,028	10,025,526
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
1 იანვარი, 2016	(645,173)	(1,636,370)	(712,679)	(251,358)	-	(495,700)	(3,741,280)
დარიცხული ცვეთა	(335,742)	(600,520)	(219,447)	(50,270)	(83,782)	(247,144)	(1,536,905)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	78,587	58,238	39,273	-	-	74,494	250,592
31 დეკემბერი, 2016	(902,328)	(2,178,652)	(892,853)	(301,628)	(83,782)	(668,350)	(5,027,593)
დარიცხული ცვეთა	(437,448)	(457,323)	(230,130)	-	(130,862)	(143,931)	(1,399,694)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	71,637	42,755	43,600	60,326	-	47,806	266,124
31 დეკემბერი, 2017	(1,268,139)	(2,593,220)	(1,079,383)	(241,302)	(214,644)	(764,475)	(6,161,163)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2017	**1,194,761**	**560,330**	**566,428**	**-**	**1,249,444**	**293,401**	**3,864,363**
31 დეკემბერი, 2016	**1,185,806**	**587,386**	**503,853**	**-**	**1,355,349**	**405,954**	**4,038,348**

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისში წარმოდგენილი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე დარიცხულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ დაუგირავებია ძირითადი საშუალებები.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაუფასურებულმა აქტივებმა შეადგინა, შესაბამისად, 4,036,067 ლარი და 2,845,181 ლარი.

11. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
სხვა ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები	596,484	443,979
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები	276,430	211,080
წინასწარ გადახდილი ქირა	22,250	7,136
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა	68,578	67,479
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	16,634	17,789
არამიმდინარე აქტივების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები	45,931	31,090
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	204,604	169,945
სხვა	105,911	13,929
სულ სხვა აქტივები:	**1,336,822**	**962,427**

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები	სულ არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით		
1 იანვარი, 2016	8,006,463	8,006,463
დამატება	1,563,097	1,563,097
ჩამოწერა	(4,903,518)	(4,903,518)
31 დეკემბერი, 2016	4,666,042	4,666,042
დამატება	356,083	356,083
31 დეკემბერი, 2017	5,022,125	5,022,125
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება		
1 იანვარი, 2016	(5,538,059)	(5,538,059)
დარიცხული ამორტიზაცია	(936,827)	(936,827)
გაუქმება ჩამოწერის შედეგად	4,903,518	4,903,518
31 დეკემბერი, 2016	(1,571,368)	(1,571,368)
დარიცხული ამორტიზაცია	(1,087,719)	(1,087,719)
31 დეკემბერი, 2017	(2,659,087)	(2,659,087)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი, 2016	**2,363,038**	**2,363,038**
31 დეკემბერი, 2017	**3,094,674**	**3,094,674**

2016 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოწეროს საბანკო სისტემა Flexcube, რადგან მის გამოყენებას მომავალში ბანკი აღარ გეგმავს.

13. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვადიანი დეპოზიტები	621,328	-
სებ-დან მიღებული მოკლევადიანი სესხები	23,003,871	-
სულ ბანკების დეპოზიტები	**23,625,199**	**-**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 14,319 ლარი და ნული ლარი.

14. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- შემნახველი დეპოზიტები	24,241	5,863,927
- ვადიანი დეპოზიტები	16,193,885	10,728,417
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	4,187,455	4,239,743
- შემნახველი დეპოზიტები	13,610,559	11,138,917
- ვადიანი დეპოზიტები	38,901,511	34,246,387
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	2,560,267	14,866,923
- შემნახველი ანაბრები	3,379,148	14,906,669
- ვადიანი დეპოზიტები	19,072,097	3,623,185
სულ კლიენტების დეპოზიტები	**97,929,163**	**99,614,168**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 1,639,547 და 1,096,151 ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ვადიან და შემნახველ დეპოზიტებზე კლიენტებს სთავაზობდა შემდეგ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს:

	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
	მინ	მაქს	მინ	მაქს
ლარი	5.5%	12.5%	6.75%	11%
აშშ დოლარი	1%	5.5%	2.25%	6.5%
ევრო	0.1%	3.5%	0.75%	5%

15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	დაფარვის ვადა თვე/წელი	წლიური კუპონის / საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ლარში დენომინირებული ობლიგაციები	01/06/2018	10.1%	20,141,138	20,091,304
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			**20,141,138**	**20,091,304**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალო ფასიან ქაღალდებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა, შესაბამისად, 166,027 და 166,027 ლარი.

16. ნასესხები სახსრები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი ნაწილი ლარი	დაუფარავი ნაწილი აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში)	დაუფარავი ნაწილი ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	24,842,499	57,504,666	82,347,165
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	15,284,403	-	15,284,403
სამთავრობო დაწესებულებები	1,021,161	-	1,021,161
სულ ნასესხები სახსრები	**41,148,063**	**57,504,666**	**98,652,729**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი ნაწილი ლარი	დაუფარავი ნაწილი აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში)	დაუფარავი ნაწილი ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	16,882,566	77,704,788	94,587,354
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	16,327,454	-	16,327,454
სამთავრობო დაწესებულებები	1,708,320	-	1,708,320
სულ ნასესხები სახსრები	**34,918,340**	**77,704,788**	**112,623,128**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხებ სახსრებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 1,297,533 და 1,619,637 ლარი.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არც ერთი შეთანხმება არ დაურღვევია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეთანხმებათა დაურღვევლობიდან გამომდინარე, არც ერთი ვალდებულება არ არის კლასიფიცირებული 2017 წელს 1 თვეში დაუყოვნებლივ გადასახდელად, მაგრამ დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობის პრინციპი გამოყენებულ იქნა ლიკვიდობის რისკის განმარტებაში (შენიშვნა 32).

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა დაარღვია შემდეგი ფინანსური პირობები:

1) Black Sea Trade & Development Bank - ლიკვიდობის კოეფიციენტი - 60%-ზე მეტი; ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი 1 თვემდე, 3 თვემდე და 6 თვემდე - ნულზე მეტი.
2) International Finance Corporation - კაპიტალის ფარდობა აქტივებთან - 15%-ზე მეტი; ღია კრედიტ-დამოკიდებულებები - 10%-ზე ნაკლები; უცხოური ვალუტის ვადიანობის გეპის კოეფიციენტი - -20%-ზე მეტი; მთლიანი ვადიანობის გეპი - 20%-ზე მეტი.
3) Blueorchard Microfinance Fund - კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი - 12.5%-ზე მეტი.
4) Responsability SICAV - კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი - 12%-ზე მეტი.
5) Actiam Institutional Microfinance Fund - რისკის ქვეშ პორტფოლიოს 5.5%-ზე ნაკლები ნაწილი.

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა“ მიხედვით, ხელმძღვანელობამ ამ ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები, 35,521,093 ლარის ოდენობით, მოაქცია მიმდინარე ვალდებულებების ჯგუფში, რომელიც 32-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ლიკვიდობის რისკის მართვის ასახვის 1 თვიანი ვადიანობის კატეგორიაში, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
ანგარიშსწორება სხვა ოპერაციებზე	388,311	412,850
პროფესიული მომსახურების ანაზღაურება	105,834	87,614
სხვა გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ	71,896	74,002
გადასახდელები თანამშრომლების მიმართ	9,266	15,016
ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივისათვის გადასახდელი მმართველობითი მომსახურის საფასური	-	201,058
ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივისათვის გადასახდელი როიალტები	-	104,899
გადასახდელი ქირა	-	66,433
	575,307	961,872
სხვა არასაფინანსო ვალდებულებები:		
გადასახდელი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	112,816	125,176
სხვა	137,425	49,216
სულ სხვა ვალდებულებები	**825,548**	**1,136,264**

ყველა ზემოაღნიშნული ვალდებულება უნდა დაიფაროს წლის ბოლოდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში.

18. სუბორდინირებული სესხი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი ნაწილი	აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში)	სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი		ლარი
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი	-	5,850,874	5,850,874
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,701,646	-	6,701,646
სულ სუბორდინირებული სესხი	**6,701,646**	**5,850,874**	**12,552,520**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი ნაწილი	აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში)	სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი		ლარი
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,691,790	-	6,691,790
სულ სუბორდინირებული სესხი	**6,691,790**	**-**	**6,691,790**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 398,380 და 240,490 ლარი.

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ ბანკის ვალდებულებების გადახდის შემდეგ.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ სუბორდინირებულ სესხთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს. ეს შეთანხმებები სესხის აქსელერაციას არ იწვევს.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკს არ დაურღვევია არცერთი ფინანსური შეთანხმება.

19. სააქციო კაპიტალი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ავტორიზებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა, შესაბამისად, 2,297 და 2,297 ჩვეულებრივი აქციისაგან, თითოეული ნომინალური ღირებულებით 8,800 ლარის ოდენობით.

2017 და 2016 წლებში ბანკს არ გამოუცხადებია დივიდენდები.

20. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
-საპროცენტო შემოსავალი ჯგუფურად შეფასებულ სესხებზე	58,066,085	57,343,649
-საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის გაუფასურებული	1,795,416	1,945,959
სულ საპროცენტო შემოსავალი	**59,861,501**	**59,289,608**
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე მოიცავს:		
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	58,066,085	57,343,649
საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთებზე	481,282	1,219,206
საპროცენტო შემოსავალი ვადის დაფარვამდე ფლობილ ინვესტიციებზე	1,314,134	726,753
სულ საპროცენტო შემოსავალი	**59,861,501**	**59,289,608**
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		
საპროცენტო ხარჯი მოიცავს:		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხებზე	(1,054,500)	(1,583,947)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	(8,955,010)	(8,086,755)
საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე	(2,070,693)	(2,071,558)
საპროცენტო ხარჯი კლიენტების დეპოზიტებზე	(7,838,844)	(6,574,735)
საპროცენტო ხარჯი ბანკების დეპოზიტებზე	(1,246,279)	(862,205)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(21,165,326)**	**(19,179,200)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე	**38,696,175**	**40,110,408**

21. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე შეადგენს:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
1 იანვარი, 2016	**887,526**	**1,624,147**	**710,306**	**366,758**	**2,356**	**10,381**	**3,601,474**
აღიარებული დამატებითი რეზერვები	1,513,261	2,709,907	1,301,961	568,749	7,506	23,874	6,125,258
აქტივების ჩამოწერა	(1,925,720)	(2,871,000)	(1,584,271)	(887,390)	(830)	(29,991)	(7,299,202)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	523,167	665,470	401,207	212,308	75	23,060	1,825,287
31 დეკემბერი, 2016	**998,234**	**2,128,524**	**829,203**	**260,425**	**9,107**	**27,324**	**4,252,817**
აღიარებული დამატებითი რეზერვები	815,041	2,090,515	763,163	28,897	93,269	55,337	3,846,222
აქტივების ჩამოწერა	(1,601,012)	(3,263,987)	(1,434,105)	(354,885)	(39,466)	(30,557)	(6,724,012)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	595,760	895,111	480,619	285,385	6,848	33,370	2,297,093
31 დეკემბერი, 2017	**808,023**	**1,850,163**	**638,880**	**219,822**	**69,758**	**85,474**	**3,672,120**

22. წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2017	2016
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	423,982	683,472
საკურსო სხვაობა გადაფასებიდან, წმინდა	(1,224,944)	(11,667)
სულ წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	**(800,962)**	**671,805**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ფინკა ბანკ საქართველო" ინარჩუნებდა საბალანსო ღია სავალუტო პოზიციას 29,032,640 ლარის ოდენობით, რომელიც ჰეჯირებული იყო სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებით. კონვერტაციის უარყოფითი სხვაობა ასახავს მხოლოდ საბალანსო ღია სავალუტო პოზიციის გადაფასებას.

23. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი შეადგენს:

	2017	2016
შემოსავალი ანგარიშსწორების ტრანზაქციებიდან	963,069	118,176
სხვა საკომისიო შემოსავალი	596,284	59,988
სულ საკომისიო შემოსავალი	**1,559,353**	**178,164**

24. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შეადგენს:

	2017	2016
იურიდიული მომსახურების ანაზღაურება	496,959	407,977
მიღებული გრანტები	202,040	64,731
სხვა	60,460	2,220
სულ სხვა შემოსავლები	**759,459**	**474,928**

25. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეადგენს:

	2017	2016
ხელფასები და პრემიები	14,142,763	14,712,294
ჯანმრთელობის დაზღვევა	547,332	636,492
კორპორაციული მასპინძლობა და გართობა	315,814	84,138
თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	1,921	745
სულ პერსონალის ხარჯები	**15,007,830**	**15,433,669**

26. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2017	2016
საოპერაციო იჯარა	4,186,807	4,444,254
მმართველობითი მომსახურება	2,708,631	2,563,600
პროფესიული მომსახურება	2,513,264	2,157,264
როიალტი	815,517	1,375,293
სარეკლამო ხარჯები	697,518	1,866,278
კომუნალური ხარჯები	599,057	389,642
იურიდიული მომსახურება	570,081	560,000
საკანცელარიო ხარჯები	430,563	639,585
კომუნიკაციის ხარჯები	390,594	477,491
საინკასაციო მომსახურება	336,705	343,785
სამივლინებო ხარჯები	268,579	180,342
საწვავის ხარჯები	267,895	256,462
დაცვის ხარჯები	247,413	238,709
ფოსტისა და კურიერის მომსახურება	125,168	76,939
დეპოზიტის დაზღვევის ხარჯები	100,000	-
ძირითადი საშუალებების რემონტი	91,152	86,658
ტრენინგები	83,444	167,000
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	74,846	71,415
წარმომადგენლობითი ხარჯები	73,871	61,180
დაზღვევის ხარჯები	69,115	44,021
საწევრო გადასახადები	37,817	35,580
საბროკერო ხარჯები	33,303	33,394
თანამშრომლის აყვანასთან დაკავშირებული ხარჯები	7,730	5,625
სხვა ხარჯები	172,174	192,243
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**14,901,244**	**16,266,760**

2011 წლის 18 ნოემბერს "ფინკა მიკროფინანს კოოპერატივსა" და ს.ს. "ფინკა ბანკ საქართველოს" შორის ხელმოწერილი ინტელექტუალური ქონების ლიცენზირების ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკი მეორე მხარეს გადაუხდის როიალტის მთელ სამომავლო საპროცენტო შემოსავალზე. 2014 წლის 6 აგვისტოს როიალტის დაანგარიშების მეთოდი შეიცვალა და დადგინა საოპერაციო შემოსავლის შემდეგი წილების დონეზე: 0%, 1.5%, 2% და 3%, შესაბამისად, თუ საოპერაციო შემოსავალი ნაკლებია 500,000 აშშ დოლარზე, მერყეობს 500,000 და 1,000,000 აშშ დოლარს შორის, მერყეობს 1,000,000 და 2,500,000 აშშ დოლარის ფარგლებში და აღემატება 2,500,000 აშშ დოლარს.

27. მოგების გადასახადი

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილი საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისგან. იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის, გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს უჩნდება გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან/ვადებთან და ასევე გარკვეული სახის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით. მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე (განსაზღვრების მიხედვით).

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები) შეადგენს:

	2017	2016
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები), რომლებიც წარმოიშვა შემდეგთან დაკავშირებით:		
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები	232,024	288,665
კლიენტებზე გაცემული სესხები	(408,579)	(157,178)
ნასესხები სახსრები	(81,701)	(103,951)
სხვა ვალდებულებები	-	2,154
საგადასახადო ზარალის გადატანა	-	316,723
წმინდა გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	(258,256)	346,413
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარების გარეშე	(232,024)	(288,665)
წმინდა გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	**(490,280)**	**57,748**

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2017	2016
მოგება მოგების გადასახადამდე	4,072,265	1,087,151
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	610,840	163,073
წინა წლების მიმდინარე გადასახადთან დაკავშირებით მიმდინარე წელს აღიარებული შესწორება	28,682	(15,012)
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	(34,852)	(25,335)
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში	(56,642)	288,665
მოგების გადასახადის ხარჯი	**548,028**	**411,391**
გადავადებული საგადასახადო ხარჯი	548,028	411,391
მოგების გადასახადის ხარჯი	**548,028**	**411,391**

გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	2017	2016
1 იანვარი - გადავადებული საგადასახადო აქტივი	57,748	469,139
გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთის მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	(548,028)	(411,391)
31 დეკემბერი - გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	**(490,280)**	**57,748**

28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს არასაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე ზარალის რეზერვი.

კაპიტალური ვალდებულებები – 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა არსებითი ოდენობის კაპიტალური ვალდებულებები.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – ს.ს. "ფინკა ბანკი საქართველოს" საოპერაციო იჯარით აღებული აქვს ოფისები. იჯარა ჩვეულებრივ 3-5 წელი გრძელდება და ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელების საშუალებას ითვალისწინებს. საიჯარო გადახდები ყოველ 2-3 წელიწადში იზრდება საბაზრო ფასების პარალელურად. ზოგ შეთანხმებაში გათვალისწინებულია იჯარის დამატებითი გადახდები, რომლებიც ადგილობრივი ფასების ინდექსის ცვლილებას ეფუძნება.

ქვემოთ მოცემულია სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები იჯარით აღებული ოფისების საოპერაციო იჯარის ისეთი ხელშეკრულებებით, რომელთა გაუქმება შეუძლებელია:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
1 წელზე ნაკლები	3,491,108	3,741,762
1 წლის შემდეგ, არა უგვიანეს 5 წლისა	11,137,980	10,032,555
5 წელზე მეტი	1,220,290	1,088,346
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები	**15,849,378**	**14,862,663**

სასამართლო დავები – ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და ამგვარად ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესაბამისი ზარალის რეზერვს.

გადასახადები –საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საშიშროება საგადასახადო ორგანოების მიერ საქმიანობისას სადავო დასკვნების გაკეთებისა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

2014 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც სატრანსფერტო ფასწარმოქმნას არეგულირებს. შემოვიდა ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები დააკისროს გარკვეულ ტრანზაქციებს, მათ შორის, გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ, მათი აზრით, ტრანზაქციის ფასი საბაზრო ფასს არ შეესაბამება. 2016 და 2017 საანგარიშო წლებში სატრანსფერტო ფასწარმოქმნის რეგულაციების შესაძლო ზემოქმედების შესასწავლად, ბანკმა დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტები დაიქირავა. თუმცა, საბოლოო დასკვნა ჯერ არ მომზადებულა, ბანკის სატრანსფერტო ფასწარმოქმნის პოზიციებზე აღნიშნული ცვლილების ზეგავლენა შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შექმნასა და გარიგებებში საბაზრო ფასის დადგენაში, ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხების და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის და რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების უფრო ნაკლებად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გადასახადის ყველა თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი პრინციპები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარების მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და მონეტარულ ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016 და 2017 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს

ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 "განმარტებები დაკავშირებულ მხარეების შესახებ" მიხედვით, დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან არის:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით აკონტროლებენ ბანკს ან კონტროლდებიან მისი მხრიდან ან მასთან ერთად იმყოფებიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებლებს, შვილობილ კომპანიებს და იმავე დამფუძნებლის შვილობილ სტრუქტურებს); ბანკში გააჩნიათ წილი, რაც მათ ანიჭებს ბანკზე მნიშვნელოვან ზეგავლენას; და ახორციელებენ ბანკზე ერთობლივ კონტროლს;

ბ) ბანკის ან მისი დამფუძნებლის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები;

გ) ა) ან ბ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის ოჯახის წევრი;

მხარეები, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან ექვემდებარება მნიშვნელოვან ზეგავლენას ბ) ან გ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის მხრიდან, პირდაპირ ან ირიბად, ან რომელშიც ასეთი პირი ხმათა უფლებების მნიშვნელოვან წილს ფლობს.

თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან არსებული ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის ხასიათს, არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ინფორმაცია ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებათა შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სუბორდინირებული სესხი	5,850,874	12,552,520	-	6,691,790
- დამფუძნებელი	5,850,874		-	
სხვა ვალდებულებები	71,896	825,548	379,958	1,136,264
- დამფუძნებელი	-		305,957	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	71,896		74,001	
კლიენტების დეპოზიტები	1,302,031	97,929,163	1,279,044	99,614,168
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	228,255		561,084	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	1,073,776		717,960	

ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირე-ბული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება	1,135,261	15,007,830	1,135,110	15,433,669
სულ	**1,135,261**	**15,007,830**	**1,135,110**	**15,433,669**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება - ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირე-ბული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო ხარჯები	444,936	21,165,326	26,284	19,179,200
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	659		26,284	
- დამფუძნებელი	335,001			
- კომპანიაზე ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პირები	109,276			
სხვა საოპერაციო ხარჯები	4,247,764	14,901,244	4,644,915	16,266,760
- დამფუძნებელი	3,524,148		3,938,893	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	723,616		706,022	
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	-		-	

30. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

განმარტება ფინანსური ინსტრუმენტების დადგენილი რეალური ღირებულების თაობაზე კეთდება ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება" და ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა". ფასს რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც თანხას, რომელსაც ორგანიზაცია მიიღებდა აქტივის გაყიდვის დროს ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად გაზომვის დღეს.

ბანკი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას ადგენს სხვადასხვა სახის საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, თუ ასეთი არსებობს, და შეფასების სათანადო მეთოდოლოგიის საშუალებით. თუმცა, სავარაუდო რეალური ღირებულების დასადგენად საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისათვის შეფასებების გაკეთება აუცილებელია. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთ მახასიათებელს. ეკონომიკური პირობები ჯერ კიდევ ზღუდავს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობას. შეიძლება ბაზრის კოტირებები მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ტრანსაქციებს, რაც ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას რეალურად არ ასახავს. ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური

ღირებულების განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ მთელი ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა რეალური ღირებულება უახლოვდება საბალანსო ღირებულებას

ფული და ფულის ექვივალენტები - ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც მიმდინარე რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში - სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

მოთხოვნები ბანკების მიმართ - ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთები მოიცავს „ფინკა ბანკ საქართველოს“ მიერ წლის ბოლოს ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აისახება, მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ბანკების დეპოზიტები - ბანკების დეპოზიტები მოიცავს „ფინკა ბანკ საქართველოში“ წლის ბოლოს ადგილობრივი ბანკების მიერ განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აისახება, მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებითა და გადასახდელებით, ამდენად, ჩაითვალა, რომ მათი საბალანსო ღირებულება რეალური ღირებულებასთანაა მიახლოვებული გონივრულ ფარგლებში.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით რეგულარულად არ იზომება (მაგრამ რეალური ღირებულების ჩვენება აუცილებელია)

კლიენტებზე გაცემული სესხები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომლებიც, ბანკის ვარაუდით, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია ვალუტაზე, ვადიანობაზე, ასევე კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები – დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება დგინდება შეფასების საყოველთაოდ გავრცელებული მოდელების საფუძველზე და ეფუძნება მსგავს ინსტრუმენტებზე არსებული მიმდინარე საბაზრო ტრანსაქციების გამოყენებით გაანგარიშებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

კლიენტების დეპოზიტები - მოკლევადიანი დეპოზიტების შემთხვევაში ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და უვადო მიმდინარე ანგარიშებზე. კლიენტების გრძელვადიანი დეპოზიტების რეალური ღირებულება განისაზღვრა მსგავსი რისკისა და ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე. დისკონტირებული განაკვეთები შეესაბამება ბანკის საკრედიტო რისკს და აგრეთვე დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და დაფარვის ვადაზე.

ნასესხები სახსრები, სავალო ფასიანი ქაღალდები და სუბორდინირებული სესხი - სუბორდინირებული სესხის, სავალო ფასიანი ქაღალდებისა და ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება დგინდება ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით გაანგარიშებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე შედგენილი საყოველთაოდ გავრცელებული შეფასების მოდელებით. ცვლადი განაკვეთით ნასესხები სახსრების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფიქსირებული განაკვეთი შეიძლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთად ჩაითვალოს.

ქვემოთ მოყვანილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი შესაბამისი საბალანსო ღირებულება. ხელმძღვანელობის აზრით, აქ აღწერილის გარდა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული:

	რეალური ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
		საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	221,417,607	216,735,359	202,123,615	201,519,744
დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები	მე-2 დონე	18,976,370	19,010,963	19,285,801	19,276,785
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	97,929,163	98,268,072	99,614,168	99,855,045
ბანკების დეპოზიტები	მე-3 დონე	23,625,199	23,625,199	-	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	მე-3 დონე	20,141,138	19,948,322	20,091,304	19,820,060
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	98,652,729	99,627,577	112,623,128	113,432,189
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	12,552,520	12,612,571	6,691,790	6,673,019

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით რეგულარულად იზომება

ბანკის ზოგიერთი ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებით იზომება. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, როგორ განისაზღვრება მათი რეალური ღირებულება, კერძოდ, შეფასების ტექნიკასა და გამოყენებულ მონაცემებს.

ფინანსური ვალდებულებები	რეალური ღირებულება		რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების ტექნიკა და მონაცემები	მნიშვნელოვანი მონაცემები დაკვირვების გარეთ	მათი კავშირი რეალურ ღირებულებას თან
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016				
1) წარმოებული ფინანსური აქტივები	162,770	-	მე-2 დონე	სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობა ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის საფუძველზე (საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაკვირვებადი ფორვარდული გაცვლითი კურსიდან) და საკონტრაქტო ფორვარდული კურსის გამოყენებით.	-	-

31. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება.

კაპიტალის მართვის პროცესში ბანკი იყენებს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესს, რომელიც მოიცავს კაპიტალის შეფასებას საქმიანობის გარემოს, ზრდისა და სტრატეგიულ/საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში.

კაპიტალის შეფასების შიდა პროცესი იძლევა რისკის პროფილის პოტენციური ცვლილებების შეფასების საშუალებას და, შესაბამისად, ადგენს სამომავლოდ აუცილებელ გადახდისუნარიანობის დონეს. კაპიტალის ადეკვატურობის პროცესის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება კაპიტალის დაგეგმვის პროცესში. კაპიტალის გეგმა აისახება ბანკის 5-წლიანი ფინანსური ბიუჯეტირებისა და პროგნოზირებისათვის. გარდა ამისა, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აფასებს და იძლევა რეკომენდაციებს კაპიტალის სტრუქტურის თაობაზე და მართავს კაპიტალის ადეკვატურობას რისკის მართვის პროცესების ფარგლებში.

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესი გულისხმობს იმ ეკონომიკური კაპიტალის განსაზღვრას, რომელიც ბანკს შეიძლება დასჭირდეს მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარად. ამ კონტექსტში, ეკონომიკური კაპიტალის განსაზღვრისთვის გამოიყენება ერთწლიანი პერიოდი 99%-იანი ნდობის ინტერვალით. ბანკი ეკონომიკურ კაპიტალს ანგარიშობს საკრედიტო, საბაზრო (მათ შორის, არასაბირჟო საპროცენტო განაკვეთის), საოპერაციო და რეპუტაციის რისკებთან მიმართებაში. ბანკი ეკონომიკური კაპიტალის დათვლის მეთოდოლოგიას რეგულარულად აუმჯობესებს და შედეგებს გარე მაჩვენებლებს უსადაგებს.

„ფინკა მაიკროფაინანს ჰოლდინგის“ „კაპიტალის ბაზრის ჯგუფი“ ხელს უწყობს ფინანსების კომერციული წყაროების (სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები) მოძიებას „ფინკას“ ქსელისათვის და/ან ცალკეული შვილობილი კომპანიებისათვის.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის ზედამხედველობის პროცესში დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად. დგება ანგარიშები, რომლებშიც მიმოხილულია მათი გამოთვლის პროცესი. ანგარიშებს ამოწმებენ და ხელს აწერენ ბანკის გენერალური დირექტორი და ფინანსური მენეჯერი. შემდეგ ისინი გადაიგზავნება სებ-ში. ასევე მუდმივად ხორციელდება კაპიტალის მართვის მეთოდების შეფასება.

სებ-ის მიერ დადგენილი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით, არსებული კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან:

ა) ფლობდნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით:

1. 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2. 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
3. 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების თანაფარდობის კოეფიციენტი საზედამედველო კაპიტალთან მიმართებაში („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“) დადგენილი 9.6% ან მეტი ოდენობით; და

გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) დადგენილ მინიმალურ 6.4%-იან ზღვარზე ან ზევით.

„კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ დებულებაში ცვლილების მიხედვით, პილარ ერთის მინიმალური მოთხოვნები გახდა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დადგენილი ჩარჩო-ნორმების შესატყვისი. ახალი მოთხოვნები ასეთია:

ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან 7.61% ან მეტი;

ბ) პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან 9.31% ან მეტი;

გ) საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან 11.58% ან მეტი.

ეს მოთხოვნა აგრეთვე მოიცავს კონსერვაციის ბუფერს 2.5%-ის ოდენობით და არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს 0.61%, 0.81% და 1.08% ოდენობით ძირითად პირველად კაპიტალზე, პირველად კაპიტალზე და საზედამხედველო კაპიტალზე, რაც პირველადიდან მეორად კომპონენტში (პილარ 2) გადავიდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2017 წლის დეკემბრისათვის არსებულ კაპიტალის მოთხოვნებსა და რეალურ ლიმიტებს:

კაპიტალის კოეფიციენტები სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, კაპიტალის ადეკვატურობის ახალი რეგულირების მიხედვით, შემდეგია:

	მოთხოვნილი ლიმიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კოეფიციენტები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნილი ლიმიტი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კოეფიციენტები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ჩვეულებრივი აქციების პირველადი კაპიტალი	7.61%	12.75%	7%	10.34%
პირველადი კაპიტალი	9.31%	12.75%	8.5%	10.34%
საზედამხედველო კაპიტალი	11.58%	15.83%	10.5%	11.38%

ბანკის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საკუთარ კაპიტალს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და დაგროვილი დეფიციტისგან, რაც კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაშია ნაჩვენები.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის რესურსები სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად:

	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
სააქციო კაპიტალი	20,213,600	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება	13,812,487	14,297,283
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(2,363,038)	(3,094,674)
პირველადი კაპიტალი	31,663,049	31,416,209
პერიოდის მოგება	2,157,785	(349,680)
ზოგადი რეზერვები (არა უმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა)	3,495,269	3,616,749
სუბორდინირებული სესხები (არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50%-ისა)	5,702,840	-
მეორადი კაპიტალი	11,355,894	3,267,069

სულ მარეგულირებელი კაპიტალი	**43,018,943**	**34,683,279**
რისკზე შეწონილი აქტივები	**274,468,294**	**285,370,297**
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	11%
საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.7%	12.2%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის, მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალის გამოთვლაში შეიტანა მიღებული სუბორდინირებული სესხი, არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50%-ისა. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ამ სესხის გადახდა მოხდება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

32. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა ფუნდამენტურ როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს
- კონცენტრაციის რისკს
- რეპუტაციის რისკს
- სხვა რისკებს

რისკის მართვის პრინციპები

ბანკი აღიარებს, რომ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია ქმედითი და ეფექტური რისკების მართვის პროცესების არსებობა. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის ჩარჩო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის ამოცანებისა და პოლიტიკის დადგენაზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობა ამ ორგანოშია შენარჩუნებული, ბანკის დირექტორთა საბჭო ადელეგირებს ამოცანებისა და პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პროცესების შემუშავება-წარმართვის უფლებამოსილებას ორგანიზაციის სხვა ფუნქციებზე..

დირექტორთა საბჭოს მთავარი ამოცანაა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზანია რისკების მაქსიმალურად შემცირება ბანკის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის შეზღუდვის გარეშე. რისკის მართვის ჩარჩოს საშუალებით ბანკი მართავს ზემოთ აღნიშნულ რისკებს.

რისკის მართვის ჩარჩო აერთიანებს ინსტრუმენტებს, ზომებს, რესურსებსა და სისტემებს, რომელთა ერთობლივი მიზანი რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვაა.

დირექტორთა საბჭოს რისკების კომიტეტი ზედამხედველობას და მონიტორინგს უწევს რისკის მართვის პროცესს, პრინციპებს, რისკის აპეტიტსა და რისკის მართვის პოლიტიკას.

ბანკის რისკის მართვისა და ზედამხედველობის პროცესში ცენტრალური როლი უკავია რისკის კულტურას. ბანკის რისკის კულტურა განისაზღვრება და იმართება ბანკის

უმაღლესი მენეჯმენტისგან. რისკის კულტურა ასახულია ბანკის რისკის სტრატეგიაში. იგი რისკისადმი აპეტიტის და ყოველდღიური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოედგენს. რისკის მართვის საქმის წარმოება ხდება სამ დონიანი დაცვითი მოდელის საშუალებით. რისკის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები იყოფა შემდეგი დონეების მიხედვით - ბიზნესი, რისკის მართვის ფუნქცია და შიდა აუდიტი.

რისკის მართვის სტრატეგია და რისკის აპეტიტი

რისკის მართვის სტრატეგია და რისკის აპეტიტი არის მაჩვენებლები, რომლებსაც განსაზღვრავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო ბანკის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. მათი მიზანია რისკის, კაპიტალისა და მომგებიანობის სამიზნე მაჩვენებლების ჰარმონიზაცია.

ბანკის ამჟამინდელი ხედვა შემდეგში მდგომარეობს: ჩამოყალიბდეს გლობალურ ქსელად, რომელიც კოლექტიურად მოემსახურება მომგებიანობისა და მდგრადობის კომერციულ პრინციპებზე მომუშავე დაბალშემოსავლიან მეწარმეებს. ამ ხედვის გათვალისწინებით, რისკის მართვის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება რისკზე კორექტირებული მომგებიანობის უზრუნველყოფით
- ბანკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა რისკის ანალიზის, გაზომვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის განხორციელების გზით.

ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და ყველა თანამშრომელი ბანკის რისკის სტრატეგიის პრინციპების ერთგულია და ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსაც რისკი/სარგებლის მიდგომის მიხედვით იღებს.

საკრედიტო რისკი

ბანკი დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკის ძირითად საქმიანობას მიკროსესხების გაცემა წარმოადგენს. ამით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკების გამოვლენისა და ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდს იყენებს.

ბანკის საკრედიტო და სასესხო პოლიტიკა დგინდება საკრედიტო სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით.

ბანკი კვლავაც დაბალშემოსავლიან, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩართული (ვაჭრობის, წარმოების, სოფლის მეურნეობისა და სხვათა ჩათვლით) დაბალშემოსავლიანი მეწარმეებისათვის მიკრო-კრედიტის მიწოდებაზე კონცენტრირდება. მან აგრეთვე გააფართოვა კრედიტები და მოიცვა მცირე და საშუალო საწარმოები ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ბანკის სასესხო პროდუქტები ინდივიდუალური სესხებითაა წარმოდგენილი. სადაც ეს შესაძლებელია და, ასეც ხდება სესხების უმეტესობის შემთხვევაში, ბანკი იღებს გარანტიას ან/და უზრუნველყოფას. თუმცა, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა პირად სესხებს, სადაც ამგვარი საშუალებების მოპოვება შეუძლებელია. ასეთ დროს აპლიკანტის თანხმობით, საკრედიტო ბიუროში მოწმდება მისი საკრედიტო ისტორია.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც აანალიზებს სესხის განაცხადში მოცემულ ინფორმაციას. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია,

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე ან შეცვალოს სესხის პირობები, რესტრუქტურიზაციის ჩათვლით.

საკრედიტო კომიტეტების დონე, სესხის ოდენობის მიხედვით, სხვადასხვაა. არსებობს სესხის დამტკიცების ალტერნატიული მეთოდი, რომელიც მცირე ოდენობის სესხებისათვის საკრედიტო ბიუროების საკრედიტო რეიტინგებს ეფუძნება (5,000 ლარზე ან 3,000 აშშ დოლარზე). საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი სრულად კომპიუტერიზებულია. გადაწყვეტილების მიღების ლიმიტებს პროგრამა აკონტროლებს ავტომატურად წინასწარ განსაზღვრული წვდომის დონეების მიხედვით.

„ფინკა ბანკი საქართველო" ბანკად გარდაქმნის შემდეგ კვლავაც ძალზე დაკვირვებით საკრედიტო პოლიტიკას აწარმოებს. შიდა კონტროლის დანაყოფი რეგულარულად ამოწმებს საკრედიტო ანალიზის ხარისხს. ყველა საკრედიტო ღონისძიება კლიენტთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებაზეა მიმართული, რათა ამით ბანკმა სტაბილურ მომგებიანობას მიაღწიოს და გრძელვადიანი სტაბილურობისათვის საფრთხის შემქმნელი აგრესიული საკრედიტო ზრდა აიცილოს თავიდან.

ბანკი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს ლიმიტების დაწესებით დონეებად ორგანიზებას ეწევა ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფთან ან საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ოდენობაზე შესაბამისი ლიმიტების დაწესებით. ბანკი ყურადღებით აკონტროლებს საკრედიტო პორტფელის ცვლილებას. საკრედიტო რისკის შესაფასებლად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს, სებ-ის მიერ მოწოდებული პარამეტრების საფუძველზე.

სტრეს-ტესტის შედეგი უჩვენებს, რომ ბანკი, ეკონომიკური დაღმავლობის პირობებში, მდგრადობის მაღალ ხარისხს შეინარჩუნებს. ბანკის კრიზისთან გამკლავების გამოცდილება ასევე ამის დასტურს წარმოადგენს.

პორტფელის კონცენტრაცია ინდივიდუალურ მსესხებელთა დონეზე ძალზე შეზღუდულია პორტფელის გრანულარულობის გამო. ხოლო სექტორული კონცენტრაცია უფრო აქტუალური პრობლემაა, რადგან პორტფელი სულ რამდენიმე სექტორშია კონცენტრირებული. ეს რისკი გათვალისწინებული იქნა კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცესში მეორე რიგის კაპიტალის გაანგარიშების დროს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა

ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ცვალებადია და განპირობებულია როგორც ინდივიდუალური რისკებით, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებითაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო ფინანსური აქტივების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ბალანსის უწყისში ასახული ფინანსური აქტივების მაქსიმალური რისკი უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე ან უზრუნველყოფამდე. პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკი იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა, საპასუხო მოთხოვნები ან გარანტია გაუფასურდა და პირობითი ვალდებულებება ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების საკონტრაქტო ღირებულებით.

	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება
31 დეკემბერი, 2017	
ფული და ფულის ექვივალენტები	15,726,135
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	18,221,518
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,417,607
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18,976,370
სხვა ფინანსური აქტივები	596,484
31 დეკემბერი, 2016	
ფული და ფულის ექვივალენტები	15,339,768
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	19,384,781
კლიენტებზე გაცემული სესხები	202,123,615
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	19,285,801
სხვა ფინანსური აქტივები	443,979

<u>არასაბალანსო რისკი</u>

არასაბალანსო რისკების სამართავად გამოიყენება რისკის მართვის არსებითად ისეთივე პოლიტიკა, როგორიც საბალანსო რისკების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკის შეფასება

საანგარიშო დღეს სესხზე დანაკარგის განსასაზღვრად ბანკი ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასებების კომბინაციას მიმართავს. ინდივიდუალურად ფასდება ის სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება ის სესხები, რომელთა დასაფარი ნაწილი სააქციო კაპიტალის 0.5%-ს აღემატება. ასეთი სესხები, რომელთაც გაუფასურება არ ერიცხება, აგრეთვე ყველა სხვა სესხი, რომლებიც ინდივიდუალურად არ ფასდება, შედის გაუფასურებაზე ერთობლივად შესამოწმებელი სესხების ჯგუფში. ერთობლივად შესაფასებელი სესხები ჯგუფდება საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლებისა და ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით და შესაბამისად ფასდება. ერთობლივად შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ სესხის დანაკარგის რეზერვში აისახოს დანაკარგის გამომწვევი მოვლენები, რომლებიც უკვე მოხდა, მაგრამ ინდივიდუალური სესხების საფუძველზე ჯერ არ იდენტიფიცირებულა.

აღნიშნულ პროცესში ჩართულია ისტორიული მონაცემებისა და მიმდინარე, დაკვირვებადი მონაცემების ისეთი კომბინაცია, რომელიც არსებულ ვითარებას ასახავს და ბანკს უჩვენებს, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მან სესხების მიმდინარე პორტფელზე მოახდინოს.

თუ სესხის დაფარვის უუნარობის სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას არ იძლევა, დეფოლტი დგინდება სესხების გადახდისუუნარობის მდგომარეობის გამოყენებით.

დეფოლტის ალბათობის შეფასება გამოიყენება რეფინანსირების განაკვეთის მიდგომით. დეფოლტის ალბათობა გამოითვლება ბანკის საოპერაციო სისტემიდან ამოღებული მონაცემების საფუძველზე. სესხების უფრო მაღალ რისკის კატეგორიაში გადასაყვანად გამოიყენება 36 თვიანი დაკვირვების პერიოდი. ბოლო გაანალიზებული პერიოდი მოიცავს პერიოდს 2014 წლის ნოემბრიდან - 2017 წლის ნოემბრამდე.

რისკის პარამეტრების დადგენის მიზნით, სესხების პორტფელი იყოფა პროდუქტის, გაცემის ვალუტის, სტრუქტურის ტიპისა და სერვის-ცენტრის მიხედვით. მიგრაციის ანალიზის მიზნით, ეს სეგმენტები, თავის მხრივ, იყოფა ვადაგადაცილების ჯგუფებად (რისკის კატეგორიები):

რისკის კატეგორია	ვადაგადაცილების კალათა
0	მიმდინარე
1	1-30 დღე
2	31-60 დღე
3	61-90 დღე
4	91-180 დღე
5	> 180 დღე

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებულ რისკს და აფასებს მის გავლენას ბანკის საქმიანობაზე. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ფუნქციის გლობალური ზედამხედველობის საშუალებით ხორციელდება ქვეყნისთვის სპეციფიური რისკების კომპენსირება. ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2017 წელ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	28,032,175	-	-	**28,032,175**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	18,221,518	-	-	**18,221,518**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	979,602	-	-	**979,602**
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,417,607	-	-	**221,417,607**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18,976,370	-	-	**18,976,370**
სხვა ფინანსური აქტივები	596,484	-	-	**596,484**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**288,223,756**	**-**	**-**	**288,223,756**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები	97,929,162	-	-	**97,929,162**
ბანკების დეპოზიტები	23,625,199	-	-	**23,625,199**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,141,138	-	-	**20,141,138**
ნასესხები სახსრები	1,021,161	15,284,403	82,347,165	**98,652,729**
სუბორდინირებული სესხი	-	-	12,552,520	**12,552,520**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	503,412	-	57,788	**561,200**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**143,220,072**	**15,284,403**	**94,957,473**	**253,461,948**
წმინდა პოზიცია არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**145,003,684**	**(15,284,403)**	**(94,957,473)**	
სულ დაფარული:				
- სავალუტო სვოპები	-	-	162,770	
წმინდა პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**-**	**-**	**162,770**	**-**
წმინდა პოზიცია	**145,003,684**	**(15,284,403)**	**(94,794,703)**	

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2016 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	24,570,684	-	3,937,175	**28,507,859**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	19,384,781	-	-	**19,384,781**
კლიენტებზე გაცემული სესხები	202,123,615	-	-	**202,123,615**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	19,285,801	-	-	**19,285,801**
სხვა ფინანსური აქტივები	443,979	-	-	**443,979**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**265,808,860**	**-**	**3,937,175**	**269,746,035**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები	99,614,168	-	-	**99,614,168**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,091,304	-	-	**20,091,304**
ნასესხები სახსრები	1,708,320	15,207,140	95,707,668	**112,623,128**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	581,914	-	379,958	**961,872**
სუბორდინირებული სესხი	-	-	6,691,790	**6,691,790**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**121,995,706**	**15,207,140**	**102,779,416**	**239,982,262**
წმინდა პოზიცია არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**143,813,154**	**(15,207,140)**	**(98,842,241)**	
სულ დაფარული:				
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	-	-
წმინდა პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**-**	**-**	**-**	
წმინდა პოზიცია	**143,813,154**	**(15,207,140)**	**(98,842,241)**	

უზრუნველყოფა

ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ბანკში დანერგილია სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მისაღებია უზრუნველყოფის საგანი და ასევე უზრუნველყოფის სახეობების შეფასების პრინციპებს.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული სესხებისათვის, უძრავი ქონება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
- საცალო სესხებისათვის, საცხოვრებელი ფართის გირავნობა

ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებებს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას ხელშეკრულების შესაბამისად და აკვირდება მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას დანაკარგის რეზერვების ადეკვატურობის განხილვისას.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის საკუთრებაში მყოფი ისეთი ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული:

31 დეკემბერი, 2017	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	178,974	15,547,161	-	**15,726,135**
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	-	-	-	18,221,518	-	**18,221,518**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	979,602	-	**979,602**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	-	-	-	18,976,370	-	**18,976,370**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	596,484	**596,484**
31 დეკემბერი, 2016							
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	3,937,175	11,382,840	19,752	**15,339,768**
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	-	-	-	19,384,781	-	**19,384,781**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	-	-	-	19,285,801	-	**19,285,801**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	443,979	**443,979**

ბანკი ახორციელებს მრავალ გარიგებას, სადაც კონტრაგენტი არ ფასდება საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ. ისეთი კონტრაგენტებისათვის, რომლებიც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებში არ ფასდება, ბანკმა შეიმუშავა შეფასების შიდა მოდელი. მის მიხედვით იგი განსაზღვრავს კონტრაგენტის რეიტინგს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების რეიტინგს შეუდარდეს.

საბანკო სექტორი ზოგადად საკრედიტო რისკით ხასიათდება კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების არსებობის გამო. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკები კონცენტრირებულია საქართველოში. საკრედიტო რისკდამოკიდებულების მონიტორინგი რეგულარულად ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

მცირე და საშუალო ბიზნესებზე გასაცემი სესხების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ბანკში შემუშავდა მსესხებლის ქულებით შეფასების მოდელი. ქულებიანი მოდელი მიღებულია სტანდარტული სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებით და მოიცავს მსესხებლის ძირითად ინდიკატორებს: ფინანსური მდგომარეობა, ურთიერთობა მსესხებელთან, მმართველობითი ხარისხი, სამიზნე გამოყენება, ადგილმდებარეობა, საკრედიტო ისტორია, უზრუნველყოფა და სხვა.

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები ფასდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგით, რომელიც მათ მიენიჭა საერთაშორისო სააგენტოს, მაგ. "ფიტჩის", "სტანდარდ & ფუარზის" და "მუდისგან". მაქსიმალური შესაძლო რეიტინგია AAA. საინვესტიციო ჯგუფის ფინანსური აქტივების რეიტინგი AAA-BBB ფარგლებშია. ამაზე დაბალი რეიტინგის მქონე ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სპეკულაციური რანგის.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსათვის დადგენილი საკრედიტო რეიტინგი შეესაბამებოდა საინვესტიციო დონეს BB-.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი სახსრების არსებობა. ბანკში მთავარი ორგანო, რომელიც ლიკვიდობას მართავს ყოველთვიურად, არის აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი. კომიტეტის ანგარიშები, რომლებიც სხდომაზე

გადის, მოიცავს ფინანსური პოზიციის, მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის დეტალურ პროგნოზს მომდევნო 18 თვის განმავლობაში, რის შედეგადაც ზუსტად განისაზღვრება სამომავლო დაფინანსების საჭიროებები. მიმდინარე მოვლენების საფუძველზე კომიტეტში გამოყენებული პროგნოზები სულ მცირე ყოველთვიურად ახლდება.

სხვა საკითხებს შორის, ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის, შეხვედრების დროს კომიტეტი განიხილავს ლიკვიდობის სქემას, პროგნოზს და დაფინანსების განრიგს. კომიტეტში ლიკვიდობასთან დაკავშირებული განხილვების შედეგად ხდება სამომავლო დაფინანსების დონის განსაზღვრა (დრო, თანხა, ვალუტა), ლიკვიდობის სავარაუდო წყაროების გამოვლენა (თანხების პირდაპირ მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ფულის ბაზრის ინსტრუმენტების, ბანკთაშორისი დეპოზიტების, ვალუტის სვოპები, ა.შ. გამოყენება) და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომიტეტი აწესებს შიდა ლიმიტებს არასასესხო ლიკვიდობაზე (შეუზღუდავი ფული და ფულის ექვივალენტები).

მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება ხაზინის დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისათვის. ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს კლიენტებისა და სხვა ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ წილზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას. ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. მასში ნაჩვენები ინფორმაცია ეფუძნება ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ხელმისაწვდომ შიდა მონაცემებს.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017, სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	5.78%	12,181,745	-	-	-	-	**12,181,745**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	7.41%	56,195	5,978,087	11,019,088	1,923,000	-	**18,976,370**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.75%	-	979,602	-	-	-	**979,602**
კლიენტებზე გაცემული სესხები	23.69%	13,520,886	18,913,642	78,220,596	107,225,850	3,536,633	**221,417,607**
სულ ფინანსური აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		25,758,826	25,871,331	89,239,684	109,148,850	3,536,633	**253,555,324**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	0.96%	18,221,518	-	-	-	-	**18,221,518**
სულ ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		18,221,518	-	-	-	-	**18,221,518**
ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
ფული და ფულის ექვივალენტები		15,850,430	-	-	-	-	**15,850,430**
სხვა ფინანსური აქტივები		596,484	-	-	-	-	**596,484**
სულ ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე		16,446,914	-	-	-	-	**16,446,914**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017, სულ
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები		60,427,258	25,871,331	89,239,684	109,148,850	3,536,633	288,223,756
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	7.28%	22,834,886	790,313	-	-	-	**23,625,199**
კლიენტების დეპოზიტები	7.97%	20,981,627	3,706,767	52,278,122	13,874,755	340,170	**91,181,441**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.1%	-	-	20,141,138	-	-	**20,141,138**
ნასესხები სახსრები	7.92%	2,638,935	8,039,344	29,939,017	29,701,011	-	**70,318,307**
სუბორდინირებული სესხი	9.70%	-	148,034	250,346	6,451,300	5,702,840	**12,552,520**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		46,455,448	12,684,458	102,608,623	50,027,066	6,043,010	**217,818,605**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ნასესხები სახსრები	10.75%	446,805	480,983	8,843,874	18,562,760	-	**28,334,422**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		446,805	480,983	8,843,874	18,562,760	-	**28,334,422**
ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		6,747,722	-	-	-	-	**6,747,722**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		575,308	-	-	-	-	**575,308**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		7,323,030	-	-	-	-	**7,323,030**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		**54,225,283**	**13,165,441**	**111,452,497**	**68,589,826**	**6,043,010**	**253,476,057**
მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		(2,921,909)	12,705,890	(22,212,813)	40,559,024	(2,506,377)	**25,623,815**
ჯამური მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		**(2,921,909)**	**(9,783,981)**	**(31,996,794)**	**28,130,192**	**25,623,815**	
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები							
სულ დაფარული - სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები		-	-	109,220	53,550	-	**162,770**
სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	-	109,220	53,550	-	**162,770**
ლიკვიდობის დეფიციტი		**6,201,975**	**12,705,890**	**(22,103,593)**	**40,612,574**	**(2,506,377)**	**34,910,469**
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი		**6,201,975**	**18,907,865**	**(3,195,728)**	**37,416,846**	**34,910,469**	

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნია ლიკვიდობის უარყოფითი გეპი 3,196 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ეს ახსნილია 32-ე შენიშვნაში. ეს ძირითადად

დაკავშირებულია 20 მილიონი ლარის ოდენობით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის მოახლოებასთან.

ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ლიკვიდობის გეპი ეჭვქვეშ არ აყენებს მოქმედი საწარმოს პრინციპს, რადგან რეპორტინგის თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე დეფიციტი აღმოფხვრილია. კერძოდ, ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდის მფლობელმა დაადასტურა, რომ დოკუმენტის დაფარვის დღეს, ობლიგაციის განაღდების შემდეგ, იგი 6, 9 და 12 თვით განათავსებს სამ თანაბარი ოდენობის დეპოზიტს, სულ 15 მილიონი ლარის მოცულობით.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2016, სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	5.76%	5,003,691	-	-	-	-	**5,003,691**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	7.32%	54,522	714,786	16,593,493	1,923,000	-	**19,285,801**
მოთხოვნები ბანკების მიმართ		-	-	-	-	-	**-**
კლიენტებზე გაცემული სესხები	24.4%	13,339,715	18,952,705	76,043,653	90,041,407	3,746,135	**202,123,615**
სულ ფინანსური აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		18,397,928	19,667,491	92,637,146	91,964,407	3,746,135	**226,413,107**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	3.25%	5,987,698	-	-	-	-	**5,987,698**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	0.23%	19,384,781	-	-	-	-	**19,384,781**
სულ ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		25,372,479	-	-	-	-	**25,372,479**
ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
ფული და ფულის ექვივალენტები		17,516,470	-	-	-	-	**17,516,470**
სხვა ფინანსური აქტივები		443,979	-	-	-	-	**443,979**
სულ ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე		17,960,449	-	-	-	-	**17,960,449**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები		61,730,856	19,667,491	92,637,146	91,964,407	3,746,135	**269,746,035**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები		-	-	-	-	-	**-**
კლიენტების დეპოზიტები	9.56%	48,384,567	5,551,576	22,389,611	17,896,441	152,073	**94,374,268**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.1%	-	-	166,027	19,925,277	-	**20,091,304**
ნასესხები სახსრები	6.74%	16,428,755	5,564,622	16,965,443	28,020,699	-	**66,979,519**
სუბორდინირებული სესხი	11%	-	-	240,490	6,451,300	-	**6,691,790**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		64,813,322	11,116,198	39,761,571	72,293,717	152,073	**188,136,881**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ნასესხები სახსრები	8.82%	24,115,970	381,158	4,025,706	17,120,775	-	**45,643,609**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		24,115,970	381,158	4,025,706	17,120,775	-	**45,643,609**
ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე							

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2016, სულ
კლიენტების ანგარიშები		5,239,900	-	-	-	-	**5,239,900**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		961,872	-	-	-	-	**961,872**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		6,201,772	-	-	-	-	**6,201,772**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		95,131,064	11,497,356	43,787,277	89,414,492	152,073	**239,982,262**
მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		(45,158,885)	8,170,135	48,849,869	2,549,915	3,594,062	**18,005,096**
ჯამური მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		(45,158,885)	(36,988,750)	11,861,119	14,411,034	18,005,096	
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები							
სულ დაფარული							
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები		-	-	-	-	-	-
სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	-	-	-	-	-
ლიკვიდობის დეფიციტი		(33,400,208)	8,170,135	48,849,869	2,549,915	3,594,062	**29,763,773**
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი		(33,400,208)	(25,230,073)	23,619,796	26,169,711	29,763,773	

ზემოთ მოცემულ ცხრილში დაფარვამდე დარჩენილი ვადები შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის მოცემული თანხები შეიცვლება, თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისგან განსხვავებული იქნება.

შემდგომ ცხრილში მოცემულია ბანკის დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა შეთანხმებული დაფარვის პერიოდის მქონე ფინანსური ვალდებულებებისათვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების მიხედვით, იმ უადრესი თარიღის საფუძველზე, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილებში მოცემულია როგორც საპროცენტო, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. თუ საპროცენტო სარგებელი მცოცავი განაკვეთით იანგარიშება, არადისკონტირებული თანხა მიიღება საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთის მრუდების გამოყენებით. საკონტრაქტო ვადიანობა ეფუძნება იმ უადრეს თარიღს, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017, სულ
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	7.28%	22,853,074	795,178	-	-	-	**23,648,252**
კლიენტების დეპოზიტები	7.97%	21,205,199	4,187,690	55,163,797	15,068,156	1,066,883	**96,691,725**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017, სულ
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.1%	-	-	21,007,233	-	-	**21,007,233**
ნასესხები სახსრები	7.92%	2,661,361	8,232,003	34,127,912	32,166,501	-	**77,187,777**
სუბორდინირებული სესხი	9.7%	-	256,596	967,649	8,937,151	6,526,203	**16,687,599**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		46,719,634	13,471,467	111,266,591	56,171,808	7,593,086	**235,222,586**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ნასესხები სახსრები	10.75%	660,754	361,630	10,831,560	20,418,138	-	**32,272,082**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		660,754	361,630	10,831,560	20,418,138	-	**32,272,082**
ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		6,747,722	-	-	-	-	**6,747,722**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		575,308	-	-	-	-	**575,308**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		7,323,030	-	-	-	-	**7,323,030**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**54,703,418**	**13,833,097**	**122,098,151**	**76,589,946**	**7,593,086**	**274,817,698**

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2016, სულ
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები		-	-	-	-	-	-
კლიენტების დეპოზიტები	9.56%	48,528,139	5,828,999	24,132,706	19,487,666	576,917	**98,554,427**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.01%	-	-	2,020,000	21,007,233	-	**23,027,233**
ნასესხები სახსრები	6.74%	16,493,935	5,481,083	18,473,498	28,665,565	-	**69,114,081**
სუბორდინირებული სესხი	11%	-	-	709,643	7,585,565	-	**8,295,208**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		65,022,074	11,310,082	45,335,847	76,746,029	576,917	**198,990,949**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ნასესხები სახსრები	8.82%	24,243,614	391,683	5,507,570	20,439,569	-	**50,582,436**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		24,243,614	391,683	5,507,570	20,439,569	-	**50,582,436**
ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე							

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2016, სულ
კლიენტების დეპოზიტები		5,239,901	-	-	-	-	5,239,901
სხვა ფინანსური ვალდებულებები		961,872	-	-	-	-	961,872
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		6,201,773	-	-	-	-	6,201,773
სულ ფინანსური ვალდებულებები		**95,467,461**	**11,701,765**	**50,843,417**	**97,185,598**	**576,917**	**255,775,158**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოდგენილია, წმინდად ანგარიშსწორებად წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე არადისკონტირებული საკონტრაქტო ფულადი სახსრების შემოდინება/გადინების და ბრუტო ანგარიშსწორებად წარმოებულ ინსტრუმენტებზე არადისკონტირებული მთლიანი შემოდინება/გადინების საფუძველზე. როდესაც, გადასახდელი ან მისაღები თანხა ფიქსირებული არ არის, ცხრილში წარმოდგენილი თანხა განისაზღვრა პროგნოზირებული საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე, რაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ამონაგების მრუდს ეყრდნობა.

	1 თვემდე	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017 სულ
წმინდად ანგარიშსწორებადი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები:						
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	109,220	53,550	-	162,770
წმინდა ფულის გადინება	**-**	**-**	**(109,220)**	**53,550**	**-**	**162,770**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა გააუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან ბიზნეს მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო სპრედებს, სასაქონლო ფასებსა და კაპიტალის ფასებს, რომელთაც ბანკი იყენებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლისა და მართვის მეთოდებში, ასევე იმ რისკებში, რომლებიც მასზე ვრცელდება, ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საბაზრო რისკები, რომლებიც ამჟამად ბანკზე მოქმედებს, არის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძნობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ რისკდამოკიდებულებაზე დაყრდნობით. ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მცოცავია, ანალიზი

მზადდება იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში დასაფარი იყო. 1%-იანი საბაზისო პუნქტიანი ზრდა ან შემცირება გამოიყენება უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის საპროცენტო განაკვეთის რისკზე მოხსენების მომზადების შემთხვევაში და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთები რომ 1%-იანი საბაზისო პუნქტით მაღალი/დაბალი ყოფილიყო, ყველა სხვა ცვლადი კი მუდმივ დონეზე შენარჩუნებულიყო, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მოგება გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, შესაბამისად, და 256,238/(256,238) ლარით და 180,050/(180,050) ლარით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება შემოსავლებისა და ეკონომიკური ღირებულების მიდგომებით. ორივე მოდელში ძირითადი ამოსავალი წერტილია საპროცენტო განაკვეთის შოკები. მათი პარამეტრები განისაზღვრა, როგორც აქტივების/ვალდებულებების 2% უცხოურ ვალუტაში და 3% - ლარში. ლარისთვის შერჩეული პარამეტრიც ეფუძნება თბსგ1 (თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის) სარისკო ღირებულების ბოლო 3 წლის ცვლილებას. თბსგ1 მონაცემები ყოველდღიურად ქვეყნდება და ნაწილობრივ ასახავს საპროცენტო განაკვეთების მერყეობის ტენდენციებს. საშემოსავლო მიდგომის მოდელი კი ანგარიშობს საპროცენტო განაკვეთის შოკის ზეგავლენას ბანკის შემოსავლებზე მომდევნო 12 თვის განმავლობაში საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების/ვალდებულებების ვადიანობისა და გადაფასების სტრუქტურის მიხედვით.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც შესაფასებლად გამოიყენება, არის მოდიფიცირებული დურაციის მეთოდი, რომელიც ითვლის საპროცენტო განაკვეთის შოკის ზეგავლენას ბანკის ეკონომიკურ ღირებულებაზე. შოკის პარამეტრები იგივეა. გარდა ამისა, მოდიფიცირებული დურაციის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება ფონდის საშუალო შეწონილი ღირებულება. ორივე მეთოდის მეშვეობით არა მხოლოდ რისკების კალიბრაციაა შესაძლებელი, არამედ დამატებითი კაპიტალის ოდენობის დადგენაც მეორადი კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ბანკი ცდილობს, შეინარჩუნოს თითქმის მთლიანად დახურული ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

საბაზრო რისკების შესაფასებლად, თითოეული სპეციფიური რისკისათვის ბანკს შექმნილი აქვს სპეციალური მოდელები. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი იყენებს ბოლო რამდენიმე წლის (მთელი ეკონომიკური ციკლი) ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილებების 99%-იანი სარისკო განაკვეთის მოდელს. შედეგები შემდეგ გადადის 30 დღიან პერიოდზე.

ბანკის სავალუტო რისკდამოკიდებულება წარმოდგენილია ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	14,929,435	11,085,493	2,017,247	-	**28,032,175**
ფული და სავალდებულო ნაშთები სებ-ში	-	17,717,015	504,503	-	**18,221,518**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2017 სულ
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	979,602	-	-	**979,602**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18,976,370	-	-	-	**18,976,370**
კლიენტებზე გაცემული სესხები	172,683,207	48,734,400	-	-	**221,417,607**
სხვა ფინანსური აქტივები	596,484	-	-	-	**596,484**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**207,185,496**	**78,516,510**	**2,521,750**	**-**	**288,223,756**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	23,003,871	-	621,328	-	**23,625,199**
კლიენტების დეპოზიტები	52,291,938	43,794,955	1,842,270	-	**97,929,163**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,141,138	-	-	-	**20,141,138**
ნასესხები სახსრები	41,148,064	57,504,665	-	-	**98,652,729**
სუბორდინირებული სესხი	6,701,646	5,850,874	-	-	**12,552,520**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	348,668	222,571	4,069	-	**575,308**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**143,635,325**	**107,373,065**	**2,467,667**	**-**	**253,476,057**
ღია საბალანსო პოზიცია	**63,550,171**	**(28,856,555)**	**54,083**	**-**	**34,747,699**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ნეტ ანგარიშსწორება:					
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	(28,869,870)	29,032,640	-	-	162,770
ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**(28,869,870)**	**29,032,640**	**-**	**-**	**162,770**
ღია პოზიცია	**34,680,301**	**176,085**	**54,083**	**-**	**34,910,469**

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2. 6468 ლარი	ევრო 1 ევრო = 2. 7940 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2016 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	16,889,495	8,777,119	2,838,189	3,056	**28,507,859**
ფული და სავალდებულო ნაშთები სებ-ში		18,814,341	570,440	-	**19,384,781**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-		-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	19,285,801	-	-	-	**19,285,801**
კლიენტებზე გაცემული სესხები	112,835,289	89,288,326	-	-	**202,123,615**
სხვა ფინანსური აქტივები	443,979	-	-	-	**443,979**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**149,454,564**	**116,879,786**	**3,408,629**	**3,056**	**269,746,035**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2. 6468 ლარი	ევრო 1 ევრო = 2. 7940 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2016 სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	-	-	-	-	-
კლიენტების დეპოზიტები	58,001,891	38,188,441	3,423,836	-	**99,614,168**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,091,304	-	-	-	**20,091,304**
ნასესხები სახსრები	34,918,341	77,704,787	-	-	**112,623,128**
სუბორდინირებული სესხი	6,691,790	-	-	-	**6,691,790**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	337,319	624,226	327	-	**961,872**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**120,040,645**	**116,517,454**	**3,424,163**	-	**239,982,262**
ღია საბალანსო პოზიცია	**29,413,919**	**362,332**	**(15,534)**	**3,056**	**29,763,773**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ბრუტო ანგარიშსწორება:					
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	-	-	-
ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	-	-	-	-	-
ღია პოზიცია	**29,413,919**	**362,332**	**(15,534)**	**3,056**	**29,763,773**

მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობიარობას ლარის აშშ დოლართან კურსის 20%-იან ზრდისა და შემცირების მიმართ. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების მიმდინარე ნაწილს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 20%-იანი ცვლილებით. მგრძნობიარობის ანალიზში შევიდა როგორც საგარეო სესხები, ასევე სესხების ფარდობა ბანკთან განხორციელებული უცხოური ვალუტის ოპერაციებთან, სადაც სესხი გამსესხებლის ან მსესხებლის საქმიანობის განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ცხრილში დადებითი რიცხვი მიუთითებს მოგებისა და სხვა კაპიტალის ზრდაზე ლარის დოლართან კურსის 20%-იანი ზრდის პირობებში. იმავე კურსის 20%-იანი შემცირების შემთხვევაში, ცვლილებას მოგებასა და სხვა კაპიტალზე ასევე შესადარი ზეგავლენა აქვს და ქვევით მითითებული ნაშთები უარყოფითი იქნებოდა.

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	აშშ დოლარის გავლენა		აშშ დოლარის გავლენა	
	+20%	-20%	+20%	-20%
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე	35,217	(35,217)	72,466	(72,466)
გავლენა კაპიტალზე	29,934	(29,934)	61,596	(61,596)

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ძირითად დაშვებაში შეტანილი ცვლილებების შედეგებს, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება შეცვლილი იყოს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი რისკდამოკიდებულების მართვას. სხვადასხვა დონის მიმართ საინვესტიციო ბაზრის მოძრაობის პარალელურად, ბანკმა შეიძლება გაატაროს ზომები, რომლებიც მოიცავს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებას და სხვა დაცვით ღონისძიებებს. ამის შედეგად, დაშვების ცვლილებას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე. მეორე მხრივ, აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ ვითარებაში აქტივებისა და ვალდებულებების გაზომვის განსხვავებულმა მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს ჰიპოთეტიური საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რაც წარმოადგენს მხოლოდ ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვლა შეუძლებელია. მგრძნობიარობის ანალიზი ასევე უშვებს, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთის ქცევა იდენტურია.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ბანკზე მოქმედებს საფასო რისკი იმ პროდუქტების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებზე.

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ. გაუტანელი სესხების ვალდებულებებიდან წარმოშობილი დანაკარგების რისკები მცირდება სესხის ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების ჩადებით.

რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკის საქმიანობაში მონაწილე პირებს, კონტრაგენტებს, საზოგადოებას თუ საზედამხედველო ორგანოებს ორგანიზაციის იმიჯის შესახებ ექმნებათ უარყოფითი წარმოდგენა, იმის მიუხედავად, მართალია ასეთი წარმოდგენა თუ მცდარი.

რეპუტაციის რისკს მართავს რისკის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის რისკების კომიტეტის წინაშე. დეპარტამენტი განიხილავს და ამტკიცებს ყველა ახალ პროდუქტსა და მომსახურებას, რისი გატანაც ბანკს სურს ბაზარზე.

რისკის მართვის დეპარტამენტი იღებს რეპუტაციის რისკთან დაკავშირებულ მოვლენებს მარკეტინგის დეპარტამენტისგან და აანალიზებს მათ ზეგავლენას ბანკზე. გარდა ამისა, რისკის მართვის დეპარტამენტი იღებს კლიენტების მიერ მოწოდებულ საყვედურებს და ასევე აფასებს მათ.

რისკების დროულად გამოსავლენად რეგულარულად ტარდება კლიენტების კმაყოფილების შეფასების გამოკითხვები და მედია მონიტორინგი. მოქმედი საოპერაციო სისტემები და მექანიზმები, აგრეთვე ლოიალური კლიენტების ბაზა ბანკს ეხმარება აღნიშნული რისკის შემცირებაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ მოახდენს ყველა საოპერაციო რისკის თავიდან აცილებას, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით.

არსებული პროცესებისა და პროდუქტების რისკის შესაფასებლად და კონტროლის სათანადო დონის დასადგენად გამოიყენება რისკის რუქები. პროცესი გულისხმობს სხვადასხვა განყოფილების, მოვალეობისა თუ პროცესის ხარვეზების აღრიცხვა-დახარისხებას რისკის ტიპის მიხედვით. ეს პრაქტიკა ბანკს ეხმარება სისუსტეების გამოვლენასა და შემდგომი მმართველობითი ღონისძიებების დაგეგმვაში.

საოპერაციო რისკის მართვის, ანგარიშგებისა და ესკალაციის რეგულირებისათვის ბანკი იყენებს „სამდონიანი დაცვის" მოდელს.

საოპერაციო რისკი მინიმუმამდე მცირდება შემდეგი სტრატეგიების გამოყენებით:
ინციდენტების მიზეზების ანალიზი - დიდი ზარალების გამეორებისა და თავიდან აცილების მიზნით ასაცილებლად ხორციელდება პროცედურა, რომელიც გულისხმობს სისტემის ხარვეზების ანალიზსა და საკორექციო ზომების გატარებას.

დაზღვევა - მესამე მხარისათვის „დაბალსიხშირიანი, მაღალი ზეგავლენის მქონე" რისკის გადასატანად გამოიყენება შესაბამისი რისკების დაზღვევა.

ადექვატური პროცედურები - ბანკს, მსხვილი საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემცირების მიზნით, გააჩნია შესაბამისი პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები.

ანგარიშვალდებულება და მოვალეობათა განაწილება – ბანკი ახორციელებს ინტერესთა კონფლიქტების შეფასებას, მათ შეძლებისდაგვარად შემცირებას არსებული საკადრო რესურსების პირობებში. აღნიშნული კონტროლის მექანიზმების გამოყენება ხდება რეგულარულად და ასევე ბანკში ნებისმიერი ახალი ფუნქციის შექმნამდე.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმები - ბანკი ბიზნესის უწყვეტობის გეგმებს იყენებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკი შეძლებს უწყვეტად ფუნქციონირებას და ზარალის შემცირებას ბიზნეს-საქმიანობის ავარიული შეწყვეტის შემთხვევაში.

საოპერაციო რისკის ლიმიტები - მაღალრისკიან ტრანზაქციებზე დაწინდება ლიმიტები, რათა ამით მოხდეს კონკრეტულ პროდუქტებზე/მომსახურებაზე რისკდამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება (ასეთებად მოიაზრება ლიმიტები ნაღდი ფულით ტრანზაქციებზე, სახაზინო ლიმიტები და საოპერაციო ლიმიტები).

33. შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები არ გამოვლენილა.

34. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია 2018 წლის 23 მარტს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180490269
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,მტკვრის ქ.#4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	39797428888018

საქართველო/Georgia

მე, თამარ ახმეტელი, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის ქ.#4, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტის დიპლომირებული მთარგმნელის, ინგა რეხვიაშვილის (დაბადებული 10.02.1986, რეგისტრირებული მისამართი: ბოლნისი ფარნავაზ მეფის ქ. N 64, პირადი ნომერი: 10001017562, პ/მ სერია 13IC28849, დიპლომი ISU # 000258 გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

გადახდილია საზღაური: 444.00 ლარი, დღგ 79.92 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

I, Tamar Akhmeteli , Deputy of the notary David Chalatashvili, bureau located on : Mtkvari str.4, Tbilisi, Davit Chalatashvili, confirm the authenticity of signature of qualified translator Inga Rekhviashvili (born on 10.02.1986, address: Bolnisi, Farnavaz King st. #64, card number 13IC28849, P#10001017562, Diploma ISU # 000258 issued by Ilia Chavchavadze State University)Translator is warned about her responsibility of the accuracy of translation and she gives the guaranty of accurate translation.

The notary tax is paid: 444.00 GEL, VAT 79.92 lari pursuant to article 169 of Georgia tax code and 2.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12. 2011) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for notary chamber, rules of payment and approval of terms of service

ნოტარიუსის შემცვლელი პირი: თამარ ახმეტელი

Deputy Notary : Tamar Akhmeteli

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მასში შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სააქციო საზოგადოება
ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობით ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 1

მმართველობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მიმოხილვა 2
ფინანსური შედეგების მიმოხილვა 3
კორპორაციული მმართველობა 4
რისკების მართვა 7
კორპორაციული პასუხისმგებლობა 13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 18-20

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 21
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 22
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 23
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 24

1. ორგანიზაცია 24
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები 25
3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება 26
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები 33
5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყარო 51
6. ფული და ფულის ექვივალენტები 53
7. სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში 53
8. მოთხოვნები ბანკების მიმართ 54
9. კლიენტებზე გაცემული სესხები 54
10. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში 57
11. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური (ვალდებულებები)/აქტივები 58
12. ძირითადი საშუალებები 59
13. სხვა აქტივები 60
14. არამატერიალური აქტივები 60
15. ბანკების დეპოზიტები 61
16. კლიენტების დეპოზიტები 61
17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 62
18. ნასესხები სახსრები 62
19. სხვა ვალდებულებები 63
20. სუბორდინირებული სესხი 63
21. სააქციო კაპიტალი 64
22. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 64
23. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი 65
24. წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე 65
25. საკომისიო შემოსავალი 65
26. სხვა შემოსავლები 66
27. პერსონალის ხარჯები 66
28. სხვა საოპერაციო ხარჯები 66
29. მოგების გადასახადი 67
30. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 68
31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 70
32. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 71
33. კაპიტალის რისკის მართვა 74
34. რისკის მართვის პოლიტიკა 75
35. შემდგომი მოვლენები 100
36. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 100

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობით ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ბანკის მიერ მოქმედი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების შესატყვისი მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და განმარტავს ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასსის -ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება ბანკის დირექტორატის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 14 ივნისს.

დირექტორატის სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი **ვუსალ ვერდიევი**	**ფინანსური დირექტორის მოადგილე** **თენგიზ თავაძე**
14 ივნისი, 2019 თბილისი, საქართველო	14 ივნისი, 2019 თბილისი, საქართველო


სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

მმართველობითი ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიმოხილვა

სს „ფინკა ბანკი საქართველო“ (შემდგომში `ფინკა ბანკი~ ან `ბანკი~) არის საერთაშორისო საფინანსო ქსელის FINCA Impact Finance (“FIF”) წარმომადგენლობა საქართველოში, რომელიც 20 წლის განმავლობაში ვითარდებოდა ქართულ ბაზარზე. საერთაშორისო ქსელი 20 მიკროსაფინანსო და საფინანსო ინსტიტუტს აერთიანებს, რომელთა საშუალებით ორგანიზაცია დაბალი შემოსავლის მქონე მეწარმეებს და მცირე ბიზნესებს სთავაზობს სოციალურად პასუხისმგებელიან ფინანსურ მომსახურებას.

`ფინკას~ გლობალური საფინანსო ქსელი



`ფინკა~-მ საქართველოში ოპერირება დაიწყო 1998 წელს და 2013 წლის 6 აგვისტომდე საქმიანობდა როგორც მიკროსაფინანსო ინსტიტუტი.

2013 წლის 6 აგვისტოს ინსტიტუტმა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

ბანკის ხედვა

ფინკა ბანკი აკმაყოფილებს თავის დაინტერესებულ მხარეთა მომგებიანობის და სოციალური საქმიანობის მოლოდინებს მიკროსაფინანსო ბაზარზე დამკვიდრებული პოზიციით. ფინკა ბანკი არის ბანკი რომელიც არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც ნიშა ბაზარზე (მიკრო/მცირე ბიზნესი და სოფლის მეურნეობა, მიკრო და საცალო სეგმენტი) ასევე დასაქმების კუთხითაც, რომელიც აკმაყოფილებს ძირითად სეგმენტზე ფინანსური მომსახურების მოთხოვნების საჭიროებებს ტექნოლოგიურად ინოვაციური, გაზომვადი და დამატებითი ღირებულების მომტანი გადაწყვეტილებების შეთავაზებით.

ბანკი ერთგული კლიენტების ძირითად მასას ინარჩუნებს უწყვეტი (24/7) სერვისების, ინოვაციური არხების (სმარტფონი, ინტერნეტი, ქოლ-ცენტრი, ტექსტური შეტყობინებები), პროდუქტების ფართო სპექტრისა და მომხმარებლისათვის საინტერესოდ წარმოდგენილი შეთავაზებების წყალობით. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურების შედეგად ბანკი მომხმარებლების ციფრული წიგნიერების ამაღლებაზეც ზრუნავს. `ფინკას~ ბრენდის მიმართ ერთგულება, უმაღლესი ხარისხის მომსახურება, მოქნილობა და სერვისებზე წვდომის სიმარტივე ბანკს კონკურენტებისგან დადებითად გამოარჩევს.

ბანკის ხედვა მიიღწევა შემდეგ ძირითად კომპონენტებზე განსაკუთრებული ფოკუსირებით:

a. მთავარი სეგმენტების რაოდენობის ამბიციური ზრდა, განსაკუთრებით - სოფლად მცხოვრები მომხმარებლების
b. უმაღლესი ხარისხის მომსახურება როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლების
გ. საცალო დეპოზიტების ბაზის სტაბილური ზრდა

c. ინოვაციური და ციფრული გადაწყვეტილებები მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით
d. მაღალეფექტური ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნა და მუდმივი განვითარება

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას ბანკი მოქმედებს არსებული ხედვით და სოციალური პასუხისმგებლობით, რომლის საშუალებით, იგი დადებით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

ბანკის შეთავაზებები და გრძელვადიანი პოზიციონირება ბაზარზე

`ფინკა ბანკ საქართველოს~, როგორც ნიშურ ბანკს, ადგილობრივ ბაზარზე გრძელვადიანი ოპერირების მიზანი აქვს და ამას უზრუნველყოფს აქციონერთა დამოკიდებულება ინსტიტუტის მომავალთან, სათანადო მართვასთან, კორპორატიულ კულტურასთან და საქმიანობის ყოველდღიურ მართვასთან. ბანკი გამორჩეულია თავისი მიდგომებით, რაც სათანადოდ აისახება შემდეგ მიმართულებებში:

- ბრენდის პოზიციონირება, ლოიალურობის პროგრამები მთავარი სამიზნე ჯგუფებისათვის
- მიმზიდველი და სტაბილური პროდუქტის/მომსახურების პაკეტები, რომლებიც ხელმისაწვდომია 24/7 განმავლობაში. მომსახურება სწრაფი და მარტივია
- ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები/პლატფორმები, რომლებიც ამარტივებს მომსახურების მიწოდებას და საინტერესოა ახალგაზრდა თაობის მომხმარებელთათვის
- რენტაბელური სისტემები, რომლებიც იძლევა ყველა პროდუქტზე/მომსახურებაზე კონკურენტული ფასების შეთავაზების საშუალებას
- მოქნილობა, ენერგიულობა, სწრაფი რეაგირება ბაზრის ცვლილებაზე (ბიზნეს მიმართულებების, პროდუქტის დიზაინის, ფასის, მიწოდების არხების, კლიენტის გამოცდილებისა და ბანკის პრიორიტეტებით განპირობებული სხვა ასპექტების მიხედვით)
- მორგება ადგილობრივ საზოგადოებაზე - პერსონალთან სიახლოვე, სერვისების არხების სიმრავლე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით
- მმართველობის სიძლიერე, კორპორაციული კულტურის, შედეგებზე ორიენტირებულობის, შედეგობრივი მაჩვენებლების სტანდარტების უკომპრომისო დაცვისა და ეფექტიანი მართვის ჩათვლით.

სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები

`ფინკა ბანკ საქართველოს~ 2019 წლის სტრატეგიის მიხედვით, ყველა მხარდამჭერი სტრატეგია ორი ძირითადი მიმართულებით გაიშლება: 1. ბაზარზე ბანკის კონკურენტული პოზიციონირების გაზრდა (შესაბამისი პროდუქტებით, არხებით, პერსონალითა და რეორგანიზაციით) და 2. შიდა და გარე პროცესების შედეგიანობის მუდმივი უზრუნველყოფა. მენეჯმენტის აზრით, ამჟამად საქართველოს ფინანსური მომსახურებების ბაზარზე ბევრი შესაძლებლობაა და ბანკმა შესაბამისი ცვლილებები უნდა გაატაროს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით ეფექტურობის გაზრდისათვის.

`ფინკა ბანკის~ მთავარი საოპერაციო სეგმენტები

ბანკი გეგმავს წვდომის გაზრდას სოფლად (ამჟამად სოფლად მცხოვრებია არსებული კლიენტების 61%), რაც ხელს შეუწყობს მომსახურებების შეთავაზებასა და მრავალფეროვნებას ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში. ამ მიზნით `ფინკა ბანკი საქართველო~ ახორციელებს კლიენტების მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ინიციატივას, როგორებიცაა: სესხის დამუშავების პროცესისა და პროცედურების მოდიფიცირება უფრო სწრაფი მომსახურების შეთავაზების მიზნით, გაყიდვის დამატებითი არხების გახსნა ფინანსურ სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად, ახალი საბანკო სერვისებისა და პროდუქტების შემუშავება, რათა საჭირო მომსახურება/პროდუქტი კლიენტებმა დისტანციურადაც მიიღონ.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2018 წელი ბანკისათვის გამოწვევებითა და შესაძლებლობებით სავსე წელი იყო, რაც საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზეც აისახა.

ბანკზე ყველაზე მეტად იმოქმედა მარეგულირებელი და მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილებამ. მენეჯმენტმა ამ გამოწვევებს უპასუხა დეპოზიტების პორტფელის ზრდით და უწყვეტი მომგებიანობით. ბაზარზე სესხებზე დაწესებული შეზღუდვების ეფექტის შესამცირებლად, ბანკმა შეცვალა საცალო საბანკო სერვისების ოპერაციების სტრუქტურა და ამით უზრუნველყო საკომისიო შემოსავლების გაზრდა. სპეციალური აქტივობებისა და კამპანიების შედეგად, ბანკმა მნიშვნელოვნად გაზარდა ფულადი გზავნილების ტრანზაქციების რაოდენობა 21,956-

დან (2017 წელი) 82,701-მდე (2018 წელი), ასევე საკომისიო შემოსავლებიც, მათ შორის, ფულადი გადარიცხვების საკომისიო 4,056,977 ლარიდან შესაბამისად 5,019,938 ლარამდე გაიზარდა.

ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები	297,009,851	295,354,265
სესხების პორტფელი	217,825,841	221,417,607
დეპოზიტების პორტფელი	150,701,595	121,554,362
სულ კაპიტალი	42,011,647	41,054,038
საოპერაციო შემოსავალი	33,541,572	36,468,752
საოპერაციო ხარჯები	33,246,473	32,396,487
წმინდა შემოსავალი	718,437	3,524,236
უკუგება საშუალო კაპიტალზე	1.73%	8.97%
უკუგება საშუალო აქტივებზე	0.24%	1.23%

კორპორაციული მმართველობა

ზოგადი ინფორმაცია

`ფინკა ბანკ საქართველოს~ კორპორატიული მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა გენერალური კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. მათგან თითოეულს საქართველოს კანონისა და ბანკის წესდების შესაბამისი უფლება-მოვალეობები გააჩნია. ამჟამად ბანკი 100,000 კლიენტზე მეტს ემსახურება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მდებარე 36 ფილიალის საშუალებით.

აქციონერთა სტრუქტურა

სს `ფინკა ბანკ საქართველოს~ 100%-იან წილს ფლობს `ფინკა მიკროფაინანს კოოპერატივი~ (შემდგომში `კოოპერატივი~), რომელიც არის ჰოლანდიაში რეგისტრირებული კოოპერატივი, ამსტერდამის სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრში მინიჭებული ნომრით 53004698. მისი სათავო ოფისი ამსტერდამში მდებარეობს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოოპერატივის წევრები იყვნენ:

1. `ფინკა მიკროფაინანს ჰოლდინგ კომპანი~, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია აშშ-ის დელავერის შტატის კანონმდებლობით, რეგისტრირებული ოფისით მისამართზე აშშ, დელავერი 19808, ვილმინგტონი, სენტერვილ როუდი 2711, ოთახი 400. კომპანია, როგორც წევრი ა, ფლობს 99 ხმის უფლებას და როგორც წევრი ბ, 1 ხმის უფლებას.
2. `ფინკა ინთერნეშენალი~, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია აშშ-ის მერილენდის შტატის კანონმდებლობით, რეგისტრირებული ოფისით მისამართზე აშშ, მერილენდი 21202, ბალტიმორი, ისტ ჩეიზ სტრიტი 11. კომპანია, როგორც წევრი ბ, ფლობს 1 ხმის უფლებას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს `ფინკა მიკროფაინანს ჰოლდინგ კომპანის~ აქციონერები იყვნენ:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
FINCA International, Inc.	62.93%	62.93%
International Finance Corporation	14.27%	14.27%
KfW	8.87%	8.87%
Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.	7.25%	7.25%
Credit Suisse Microfinance Fund Management Company	2.96%	2.96%
Triodos Investment Management	2.05%	2.06%
Triple Jump (ASN-NOVIB FONDS)	1.67%	1.66%
სულ	100%	100%

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა. ის წელიწადში ერთხელ ან განსაკუთრებულ შემთხვევებში იკრიბება. შემდეგი ყოველწლიური კრება ჩატარდება წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დასრულებიდან ორ თვეში.

სამეთვალყურეო საბჭო

`ფინკა ბანკ საქართველოს~ სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი მოვალეობაა ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა და რისკის მართვა, იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკში არსებობდეს ეფექტურად მომუშავე შიდა კონტროლის სისტემა, ხოლო სტრატეგია შეესაბამებდეს `ფინკას~ ქსელის მისიის, დაგეგმილი ფინანსური და სოციალური მაჩვენებლების განხორციელებას, აგრეთვე შესაბამისი კანონმდებლობის დაცვა. სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხისმგებელია `ფინკა ბანკ საქართველოს~ ოპერაციების ზედამხედველობასა და შეფასებაზე ბანკის საწესდებო დოკუმენტაციისა და სხვა დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ოთხწლიანი ვადით. საერთო კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს საბჭოს წევრი ან აირჩიოს ახალი წევრი ვადის გასვლამდე. იმავდროულად, მისთვის სასურველ დროს გადადგომა შეუძლია საბჭოს ნებისმიერ წევრს. სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ირჩევს წევრების შემადგენლობიდან. საბჭოს შეხვედრები ტარდება სულ მცირე 3 (სამ) თვეში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ატარებს თვითშეფასებას საბჭოს საქმიანობასთან მოქმედი პროცესების, ეფექტურობის, წევრების შემადგენლობისა და საქმიანი და ეთიკური სტანდარტების შესაბამისობის თვალსაზრისით. შეფასების შედეგებს აქციონერები განიხილავენ.

`ფინკა ბანკი საქართველოს~ სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

ფლორინ ლილა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ფოლკერ რენერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ჩიკაკო კუნო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე
სრიდჰარ სრინივასანი, სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი

„ფინკა ბანკი საქართველო“-ს დირექტორატი

`ფინკა ბანკ საქართველოს~ დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან, ოპერაციების დირექტორისა და მთავარი იურიდიული მრჩეველისაგან.

ყოველ წევრს სამეთვალყურეო საბჭო ოთხწლიანი ვადით ირჩევს, თუმცა, წევრების უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგაც, სანამ სამეთვალყურეო საბჭო დირექტორატის ახალ წევრს (წევრებს) არ დანიშნავს. დირექტორატი პასუხს აგებს ბანკის საქმიანობის მართვასა და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. დირექტორატის წევრები შეიძლება არჩეულნი იყვნენ ერთი ან მეტი დამატებითი ვადით.
„ფინკა ბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

`ფინკა ბანკი საქართველო~-ს სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს აუდიტისა და რისკების კომიტეტს და აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტს (Asset-Liability Committee (“ALCO”). კომიტეტები ვალდებულნი არიან, სამეთვალყურეო საბჭოს მოახსენონ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული საკითხების შესახებ (კომიტეტების წესდებების მიხედვით) და გააცნონ მას შესაბამისი რეკომენდაციები.

აუდიტისა და რისკების კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ოთხწლიანი ვადით ნიშნავს აუდიტისა და რისკების კომიტეტის წევრებს. კომიტეტის წევრის უფლებამოსილება გრძელდება მის ჩანაცვლებამდე. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გაგრძელება შეიძლება ერთი ან მეტი დამატებითი ვადით.

აუდიტისა და რისკების კომიტეტი კომპლექტდება არა უმეტეს 3 (სამი) წევრით. კომიტეტის რეგულარული კრებები ტარდება სულ მცირე კვარტალში ერთხელ. საგანგებო კრება ტარდება სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნით.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს ფინანსურ რისკებს, რომლებიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ლიკვიდობის რისკი, დაფინანსების რისკი, კონტრაგენტის საკრედიტო რისკი, სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი. იგი აგრეთვე მონიტორინგს უწევს სხვა შესაბამის რისკებს, მათ შორის, სესხის გაცემის, საკრედიტო და საოპერაციო რისკებს და გასცემს რეკომენდაციებს შეუსაბამობების აღმოფხვრის, დაფინანსების მობილიზაციისა და აქტივების განაწილების თვალსაზრისით. კომიტეტი აფასებს და რეკომენდაციებს გასცემს კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე მართავს კაპიტალის ადეკვატურობას რისკის მართვის ზომების კონტექსტში და უზრუნველყოფს სებ-ისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (სსკ) პირობებთან შესაბამისობას.

კომიტეტი ყოველთვიურად იკრიბება. მის შემადგენლობაში შედიან გენერალური დირექტორი (თავმჯდომარე), ფინანსური დირექტორი (მდივანი), რეგიონული დირექტორი, ჰაბის წარმომადგენელი (ამზადებს დღის წესრიგს და აგროვებს მასალებს გასავრცელებლად), კაპიტალის ბაზრების ჯგუფის წარმომადგენელი და ხაზინადარი. კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ალკოს კრებას შეიძლება დაესწრონ პერიოდულად საგანგებო თემებზე მოწვეული სხვა სტუმრებიც.

კომიტეტი თავის ანგარიშს აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს (ყოველი ჩატარებული კრების შემდეგ), რომელშიც ჯამდება რისკთან დაკავშირებული საკითხები და ძირეული გამოწვევები, აგრეთვე აღწერილია კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საკრედიტო კომიტეტი

`ფინკა ბანკი საქართველო~-ს საკრედიტო კომიტეტს გააჩნია ყველა შემოტანილი სასესხო განაცხადების დამტკიცებაზე ან უარის თქმაზე საბოლოო გადაწყვეტილებების გადახედვის ან მიღების უფლებამოსილება. ის ასევე განიხილავს სესხების რესტრუქტურიზაციის აუცილებლობის, უზრუნველყოფის დონის და საკრედიტო მიმართულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

საკრედიტო კომიტეტში შეიძლება შედიოდნენ გენერალური დირექტორი, ოპერაციების დირექტორი, რეგიონული ოპერაციების მენეჯერი, სერვის-ცენტრის მენეჯერი, საკრედიტო მენეჯერი, იურისტი და შიდა კონტროლის დეპარტამენტის მენეჯერი. საკრედიტო კომიტეტი ყოველდღიურად იკრიბება აუცილებლობის შემთხვევაში და მისი ზუსტი შემადგენლობა დამოკიდებულია შესაბამისი სესხის ზომაზე.

ადამიანური რესურსების კომიტეტი

ადამიანური რესურსების კომიტეტი იკრიბება კვარტალურად. მის შემადგენლობაში შედიან ევრაზიის რეგიონული ადამიანური რესურსების დირექტორი, `ფინკა ბანკი საქართველო~-ს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი, `ფინკა ბანკი საქართველო~-ს აღმასრულებელი მენეჯმენტი - გენერალური დირექტორი, ოპერაციების/კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი და მთავარი იურიდიული მრჩეველი.

დისციპლინარული კომიტეტი

დისციპლინარული კომიტეტი განიხილავს `ფინკა ბანკი საქართველო~-ს თანამშრომელთა დისციპლინარულ გადაცდომებს, რომელიმე მათგანის არასათანადო ქცევის შესახებ დისციპლინარული კომიტეტისათვის შეტყობინების შემთხვევაში.

დისციპლინარულ კომიტეტში შედიან აღმასრულებელი მენეჯმენტი - გენერალური დირექტორი, ოპერაციების დირექტორი, ფინანსური დირექტორი, მთავარი იურიდიული მრჩეველი, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი და რისკების მართვის კომიტეტის უფროსი.

სხვა ფუნქციური მიმართულებები

ფინკა ბანკში ფუნქციონირებს რამდენიმე ფუნქციური მენეჯერული დონე, რომელთა მეშვეობით ხორციელდება გარკვეული ოპერაციებისა და პროცედურების ზედამხედველობა. მათ შორისაა შემდეგი მიმართულებები: ფინანსები, ოპერაციები, რისკის მართვა, შიდა აუდიტი, იურიდიული, ადამიანური რესურსები, მარკეტინგული კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისები. ფუნქციონალური მენეჯერები უზრუნველყოფენ სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველობისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულეს, სიზუსტესა და დროულობას, რაც შექმნის სათანადო გადაწყვეტილებების მიღების საშუალებასა და კონტროლის ისეთი მექანიზმების მოქმედების წინაპირობას, რომელთა მეშვეობით როგორც სამეთვალყურეო, აგრეთვე

დირექტორატის მიერ განსაზღვრული სტრატეგიები, დირექტივები და ინსტრუქციები სისტემატურად და ეფექტურად განხორციელდება.

რისკების მართვა

რისკების სტრატეგია

ბანკის რისკების სტრატეგიით განისაზღვრება რისკის აპეტიტის დონე და კონტროლდება დამტკიცებულ ლიმიტებთან შესაბამისობა. მისი საშუალებით ხდება ბანკის დირექტორატის მხრიდან ბანკის ბიზნეს-სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერა.

რისკის აპეტიტი არის რისკის ის დონე, რომელიც ბანკმა შეიძლება გასწიოს სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად. იგი აგრეთვე ასახავს პოტენციური ზარალის გაწევის შესაძლებლობას ალბათობის სხვადასხვა დონეზე, კაპიტალის ხელმისაწვდომი რესურსების საფუძველზე. ბანკის რისკის აპეტიტს სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს. რისკის აპეტიტი ასახავს მმართველების თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ რა რისკის გაწევა შეუძლია ბანკს რისკის პროფილის თაობაზე ქვედა დონეებზე, ბიზნესის თითოეულ ხაზში არსებული მოსაზრების საფუძველზე. რისკის გამოვლინების კონტროლის მიზნით, ბანკი ლიმიტებს აწესებს რისკის ყველა შესაბამის სახეობაზე (საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა რისკებზე). რისკის აპეტიტის ყოველწლიურად დაწესებისას მხედველობაში მიიღება ბანკის უნარი, ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას. ბანკი ზომავს შედეგებს რისკის აპეტიტის მიმართ და კვარტალურად მოახსენებს შედეგებს დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოებს.

ბანკი რეგულარულად ამოწმებს რისკის პროფილზე შესაბამის წერტილებში შესანარჩუნებელი ფინანსური შედეგების პოტენციური გადახრის დონეს. ეს უკანასკნელი დგინდება სტრატეგიულ ამოცანებთან და ბიზნეს-გეგმებთან მიმართებაში, წლიური ფინანსური სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ჩათვლით. `ფინკა ბანკის~ რისკების სტრატეგია მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- ბანკის ფინანსური სტაბილობისა და რენტაბელობის დაცვა;
- ბანკის ციფრული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურის დაცვა;
- რეპუტაციის რისკისგან ბანკის დაცვა;
- ახალი პროდუქტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობა რისკი-უკუგების თვალსაზრისით ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად.

ბანკის რისკების სტრატეგიასა და აპეტიტს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. რისკების მართვის კომიტეტი ზედამხედველობს სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონეების დაცვის პროცესს. რისკის აპეტიტი აისახება ბანკის შესაბამის პოლიტიკებში, პროცედურებსა და დაწესებულ ზღვრებში.

რისკის კულტურა

ბანკის რისკის მართვისა და მმართველობის ცენტრალური საკითხი მისი რისკის კულტურაა. რისკის კულტურა განისაზღვრება უმაღლესი მმართველობის ხედვით. იგი აისახება ბანკის რისკების სტრატეგიაში, რისკის აპეტიტის განმსაზღვრელ დოკუმენტსა და ყოველდღიურ პროცესებში.

რისკების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს ფუნქციური ერთეულებისათვის. ბანკს ჩატარებული აქვს რისკზე ცნობიერების ამაღლების ტრენინგები რისკის სხვადასხვა მიმართულებისათვის, როგორებიცაა საოპერაციო რისკი, საკრედიტო რისკი, ინფორმაციის უსაფრთხოების რისკი და შესაბამისობის რისკი.

ქცევის კოდექსი

`ფინკა ბანკის~ ქცევის კოდექსში აღწერილია ის ეთიკური სტანდარტები, რომელთა დაცვა მოეთხოვება `ფინკასთან~ და მის პარტნიორებთან დაკავშირებულ ყველა პირს. კონკრეტული მოთხოვნები და პოლიტიკები მოცემულია `ფინკას~ პერსონალის ცნობარში და `ფინკას~ მიერ დადგენილ სხვა პოლიტიკებში.

კოდექსის მიხედვით, `ფინკას~ პოლიტიკა გულისხმობს იმას, რომ ყველა თანამშრომელმა იმოქმედოს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. ამ პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით, დირექტორატმა და წევრებმა მიიღეს ქცევის კოდექსი, რომელიც უნდა დაიცვას `ფინკას~ ყველა წარმომადგენელმა - თანამშრომლებმა, დირექტორთა თუ მრჩეველთა საბჭოს წევრებმა, კონსულტანტებმა და მოხალისეებმა, აგრეთვე სხვა პირებმა, რომლებიც მოქმედებენ `ფინკას~ სახელით, სადაც არ უნდა იყვნენ. ქცევის კოდექსის დარღვევით

განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს `ფინკასთან~ ნებისმიერი სამუშაოზე აყვანის გარიგების თუ სხვა ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველს.

კანონის დაცვა - არავინ აქვს ნებისმიერი კანონისა თუ მთავრობის რომელიმე რეგულაციის დარღვევის უფლება, ასევე არავის აქვს უფლება უბიძგოს სხვა თანამშრომელსა თუ ნებისმიერ პირს `ფინკას~ სახელით კანონის თუ რეგულაციის დარღვევისკენ.

საზოგადოებრივი აზრი და კეთილსინდისიერი გარიგებები - `ფინკა~ თავის კლიენტებთან, მომწოდებლებთან, პარტნიორებთან და თანამშრომლებთან საქმიანობას ახორციელებს კეთილსინდისიერად, ისე, რომ გარიგებათა გასაჯაროების შემთხვევაში, `ფინკა~ წარმოჩინდეს დადებითად.

რისკების მართვის ორგანიზება

ბანკში ფუნქციონირებს რისკების მართვის სისტემა, რომლის მთავარი მიზანია ბანკის დაცვა რისკისგან და მის მიერ დასახული შედეგობრივი მაჩვენებლების მიღწევის უზრუნველყოფა.

ბანკის რისკების მართვის ამოცანების განსაზღვრაზე ზოგადად პასუხისმგებელია დირექტორატი, რომელიც, ინარჩუნებს რა ამ სფეროში საბოლოო პასუხისმგებლობას, თავისი უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს ამოცანების გადაჭრისა და პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობის უზრუნველმყოფი პროცესების დაგეგმვასა და აღსრულებას, დელეგირებული აქვს ორგანიზაციის ფინანსურ ფუნქციებზე.

რისკების მართვის სისტემაში შედის ის ინსტრუმენტები, ქმედებები, რესურსები და პროგრამები, რომელთა მიზანია რისკების ეფექტურად გამოვლენა, შეფასება და მართვა.

დირექტორატის რისკის დონის კომიტეტის მიზანია, ზედამხედველობა და მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის პროცესს, რისკების მართვის სისტემას, რისკის აპეტიტსა და რისკის პოლიტიკებს.

`ფინკა ბანკის~ მასშტაბით რისკების მართვაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. იგი ამტკიცებს ბანკის სტრატეგიებსა და პოლიტიკებს, რომელთაც საბჭოს დირექტორატი სთავაზობს. დირექტორატი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე პოლიტიკებისა და პროცედურების ფორმით და ამ პოლიტიკების აღსასრულებლად ეფექტური იერარქიის დაწესებაზე.

რისკების მართვის ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, რისკების მართვის ანგარიშვალდებულების დონეები სტრუქტურირებულია დაცვის სამი ხაზის პრინციპით:

I. დაცვის პირველი ხაზი
`ფინკა ბანკის~ ბიზნეს-დანაყოფებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა მათი ოპერაციებისას წარმოშობილ რისკებზე. ბიზნესი პასუხისმგებელია რისკის იდენტიფიცირებაზე, მართვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ყოველდღიურმა ოპერაციებმა ჩაიაროს რისკისა და კონტროლის გარემოში. დაცვის პირველი ხაზი პირველ რიგში პასუხისმგებელია ბიზნეს-სფეროებში მიღებულ დანაკარგებზე.

II. დაცვის მეორე ხაზი
რისკების მართვის ფუნქცია - ზედამხედველობს და აკონტროლებს ორგანიზაციაში მიმდინარე რისკის მართვის პროცესებს. რისკების მართვის დეპარტამენტი აწესებს რისკების მართვის სისტემას და ადგენს რისკის დონეებს. დეპარტამენტი ატარებს რისკის პროფილის დამოუკიდებელ მონიტორინგს და ხელს უწყობს ბიზნესს რისკის შემცირების პროცედურების, ინსტრუმენტებისა და პოლიტიკების შემუშავებაში. გარდა ამისა, რისკების მართვის ფუნქციის ვალია რეკომენდაციების შემუშავება კონკრეტულ რისკებზე შემცირების ქმედებებთან დაკავშირებით. რისკების მართვისა და შესაბამისობის განყოფილება ანგარიშვალდებულია პირდაპირ გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

III. დაცვის მესამე ხაზი
შიდა აუდიტის ფუნქცია - დამოუკიდებელი შემოწმების ფუნქცია პირდაპირ ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

რისკების ანგარიშგება

რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს მოხსენებას რისკების შესახებ რისკების მართვის კომიტეტისათვის. მოხსენებაში განხილულია რისკების ტენდენციები და არსებული რისკის გამოვლინებები.

სამეთვალყურეო საბჭოს კვარტლურად მიეწოდება დეტალური ანგარიშები რისკის შესახებ, რომელშიც მოცულია ყველა მნიშვნელოვანი რისკები, როგორებიც არის საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი და შესაბამისობის რისკი.

რისკის მოხსენებაში წარმოდგენილია რისკის აპეტიტის დონეების დაცვის მიმოხილვა და რისკის ძირითადი ინდიკატორების ტენდენცია რისკის ყველა მნიშვნელოვანი სახეობისათვის.

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკის ძირითად საქმიანობას მიკროსესხების გაცემა წარმოადგენს. ამით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკების გამოვლენისა და ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდს იყენებს.

ბანკის საკრედიტო და სესხის გაცემის კონტროლის პოლიტიკა დგინდება კრედიტების გაცემის სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით. ბანკის სესხის გაცემის პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია კლიენტების ჭარბვალიანობის თავიდან აცილება. შესაბამისად, სესხის გაცემის წესის შედგენისას დაცულია კლიენტის გადახდისუნარიანობის დეტალურად შემოწმების პრინციპი. პროცედურების მაღალ ხარისხს აგრეთვე განაპირობებს `ფინკა ინთერნეშენალის~ პროფესიონალების მიერ 30 წლის განმავლობაში შემუშავებული ჯანსაღი საკრედიტო პრაქტიკა.
ბანკი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩართული (ვაჭრობის, წარმოების, სოფლის მეურნეობისა და სხვათა ჩათვლით) დაბალშემოსავლიანი მეწარმეებისათვის მიკრო-კრედიტის მიწოდებაზე კონცენტრირდება.

ბანკის სასესხო პროდუქტები ინდივიდუალური სესხებითაა წარმოდგენილი. სადაც ეს შესაძლებელია და, ასეც ხდება სესხების უმეტესობის შემთხვევაში, ბანკი იღებს პირად გარანტიას ან/და უზრუნველყოფას. თუმცა, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი საცალო სესხებია, სადაც ამგვარი საშუალებების მოპოვება შეუძლებელია. ასეთ დროს აპლიკანტის თანხმობით, საკრედიტო ბიუროში მოწმდება მისი საკრედიტო ისტორია.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომლის მოვალეობაში შედის, გაანალიზოს სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაცია. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე ან შეცვალოს სესხის პირობები, რესტრუქტურიზაციის ჩათვლით.

საკრედიტო რისკის შესაფასებლად ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს, რომლებიც სებ-ის მიერ მოწოდებულ პარამეტრებს ეფუძნება და მოიცავს როგორც პირდაპირ საკრედიტო რისკს, აგრეთვე ვალუტით გამოწვეულ საკრედიტო რისკს (ვგსრ).

ბანკი აფასებს კონცენტრაციის სხვადასხვა განზომილებას, მათ შორის, დარგს, გეოგრაფიას, საკრედიტო რეიტინგს, კლიენტების სეგმენტსა და ინდივიდუალურ კონტრაგენტებზე ან ურთიერთდაკავშირებული კონტრაგენტების ჯგუფზე რისკის არსებულ გამოვლინებას.

კონცენტრაციის რისკის გასაანალიზებლად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი.

პორტფელის კონცენტრაცია ინდივიდუალურ მსესხებელთა დონეზე ძალზე შეზღუდულია პორტფელის გრანულარულობის გამო. რისკის შეფასება უჩვენებს, რომ ბანკში ზოგადი კონცენტრაციის რისკი დაბალია. ბანკი კვლავაც აგრძელებს გონივრული საკრედიტო პოლიტიკის წარმოებას. ყველა საკრედიტო ღონისძიება გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებაზეა მიმართული, რათა ამით ბანკმა სტაბილურ მომგებიანობას მიაღწიოს და გრძელვადიანი სტაბილურობისათვის საფრთხის შემქმნელი დაკრედიტება აიცილოს თავიდან.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი სახსრების არსებობა. მთავარი ორგანო, რომელიც ლიკვიდობას მართავს ყოველთვიურად, არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (შემდგომში ALCO).

ALCO ყოველთვიურად იკრიბება და მასში შედიან ბანკის გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ევრაზიის რეგიონული დირექტორი, სათავო ოფისის მთავარი ხაზინადარი და კაპიტალის ბაზრების წარმომადგენელი.

მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისათვის.

ბანკი ასევე ატარებს ლიკვიდობის შიდა კოვენანტების მონიტორინგს და უზრუნველყოფს მათ დაცვას. არსებული სახსრები იმართება მიმდინარე ბიზნეს-ოპერაციების დასაფინანსებლად და ამ პროცესის მიზანია ფულისა და ფულის ექვივალენტების საჭირო დონის შენარჩუნება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა გააუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან საქმიანობის მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო სპრედებს, სასაქონლო ფასებსა და კაპიტალის ფასებს, რომელთაც ბანკი იყენებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლისა და მართვის მეთოდებში, ასევე იმ რისკებში, რომლებიც მასზე ვრცელდება, ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საბაზრო რისკები, რომლებიც ამჟამად ბანკზე მოქმედებს, არის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკი რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს ბაზარზე კონიუნქტურაში წარმოქმნილი უარყოფითი ცვლილებებით განპირობებული პოტენციური ზარალის პერიოდული შეფასებით. ბანკის მენეჯმენტი ატარებს ბანკის მიმდინარე ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძნობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ და მის ზეგავლენას ბანკის რენტაბელობაზე. ბანკის მიერ შეთავაზებული დეპოზიტებისა და სესხების საპროცენტო განაკვეთები ძირითადად ფიქსირებულია, მაგრამ ზოგიერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან აღებული სესხები ცვლადგანაკვეთიანია.

ფინკა ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს ადგენს ყველა იმ აქტივის, ვალდებულებისა და არასაბალანსო პოზიციის ანალიზით, რომლებიც მგრძნობიარობას ამჟღავნებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ, კერძოდ:

- ატარებს ადგილობრივ და გლობალურ საფონდო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მონიტორინგს;
- ატარებს ცვლადი განაკვეთების მიმართ სენსიტიური ახალი სახსრების მოზიდვის, აგრეთვე არსებული სახსრების დაბრუნების მონიტორინგს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით, `ფინკა ბანკი~ რეგულარულად ამოწმებს ლიმიტებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, რეგულარულად ატარებს სტრეს-ტესტებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, გამოიანგარიშოს საპროცენტო განაკვეთის რყევის უკიდურესად მძიმე სცენარების შემთხვევაში მისაღები ზარალი.

ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მოდელი ეფუძნება ბაზელ 2-ის მოთხოვნებს და ეკონომიკური ღირებულების ცვლილების პროგნოზირებისათვის იყენებს 6, ხოლო მოგების ცვლილების პროგნოზირებისათვის - 2 შოკურ სცენარს. ბანკი მიზნად ისახავს ისეთი საპროცენტო განაკვეთის მარჟების შენარჩუნებას, რომლებშიც საპროცენტო განაკვეთის რისკი გათვალისწინებულია.

საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირება ხდება ALCO-ს მიერ დადგენილი პოლიტიკებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირების მიზნით, ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ფარდობის ცვლილებას ამტკიცებს ALCO. გადაწყვეტილებას ასევე ესაჭიროება დამტკიცება ბანკის რეგიონული დირექტორის, `ფინკა ინთერნეშენალის~ ფინანსური დირექტორისა და ხაზინადარის მხრიდან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ბანკი ცდილობს, შეინარჩუნოს თითქმის მთლიანად დახურული ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება. საბაზრო რისკების შესაფასებლად, თითოეული სპეციფიური რისკისათვის ბანკს შექმნილი აქვს სპეციალური მოდელები. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი იყენებს ბოლო რამდენიმე წლის (მთელი ეკონომიკური ციკლი) ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილებების 99%-იანი სარისკო განაკვეთის მოდელს. შედეგები შემდეგ გადაიანგარიშება 30 დღიან პერიოდზე.

ფინკა ბანკი სავალუტო რისკს აფასებს, როგორც კონსოლიდირებულ მთლიან ღია სავალუტო პოზიციას `კომერციული ბანკების მიერ მთლიანი ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გამოთვლისა და შენარჩუნების რეგულაციის~ შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის, ALCO-სა და ბანკისათვის სესხის გამცემების მიერ დადგენილი სავალუტო რისკის კოეფიციენტები (მათ შორის ყველაზე მკაცრის დაცვით) რეგულარულად კონტროლდება.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით.

საოპერაციო რისკის მართვა ხორციელდება ბიზნეს-დანაყოფებში, რადგან საოპერაციო რისკი მათი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია და აისახება სტრატეგიულ და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საოპერაციო რისკის განყოფილება ბიზნეს-ხაზებს ეხმარება საოპერაციო რისკის გამოვლენა-მართვაში მათთვის შესაბამისი ინსტრუმენტების მიწოდებითა და გამოცდილების გაზიარებით.

ადრეულ ეტაპზე პოტენციური საოპერაციო რისკის შესაფასებლად გამოიყენება რისკის ძირითადი ინდიკატორები. მათი მეშვეობით ხდება იმ ფაქტორების მონიტორინგი, რომლებიც საოპერაციო რისკს ზრდის. რისკის ინდიკატორების მოხსენება კვარტლურად წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

საოპერაციო რისკის მოვლენებით გამოწვეული რისკის ზარალის ანალიზისა და მსგავსი მოვლენების განმეორების თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური ზომების დასაგეგმად გამოიყენება საოპერაციო რისკის მონაცემთა ბაზა.

საოპერაციო რისკის მართვის, ანგარიშგებისა და ესკალაციის სათანადო მონიტორინგის მიზნით ბანკი იყენებს `სამხაზიანი დაცვის~ მოდელს.

საოპერაციო რისკის შემცირება მიიღწევა შემდეგი სტრატეგიების გამოყენებით:

ინციდენტის მიზეზის ანალიზი - მსხვილი ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ხორციელდება პროცედურა, რომელიც გულისხმობს სისტემის ხარვეზების ანალიზსა და კორექციული ზომების განხორციელებას.

დაზღვევა - `დაბალი სიხშირის, მძიმე ზემოქმედების~ ხასიათის რისკის მესამე მხარეზე გადასატანად გამოიყენება სადაზღვევო პოლისები.

შესაბამისი პროცედურები - მსხვილი საოპერაციო რისკის კონტროლისა და შემცირების მიზნით ბანკი იყენებს შესაბამის პოლიტიკებს, პროცესებსა და პროცედურებს.

ანგარიშვალდებულება და მოვალეობათა დანაწილება - ინტერესთა კონფლიქტის შეფასება და მათი მაქსიმალური შემცირება პერსონალის მოცემული მოდელის დონეზე, აგრეთვე შემცირების მექანიზმების გამოყენება ხდება რეგულარულად და ახალი ფუნქციის მინიჭებისას.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმები - ბიზნესის უწყვეტობის გეგმები გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკმა შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირება და ზარალის შემცირება ბიზნესის შეწყვეტის შემთხვევაში.

საოპერაციო რისკის ლიმიტები - კონკრეტულ პროდუქტებზე/სერვისებზე რისკის გამოვლინების მინიმუმამდე შესამცირებლად წესდება ლიმიტი მაღალრისკიან ტრანზაქციებზე (თანხის ლიმიტი, სახაზინო ლიმიტი და საოპერაციო ლიმიტი).

შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკი ნიშნავს სამართლებრივი ან მარეგულირებელი სანქციების, მსხვილი ფინანსური ზარალის ან რეპუტაციის შელახვის რისკს, რომელიც ბანკს შეიძლება დაეკისროს საბანკო კანონმდებლობასთან, წესებთან და სტანდარტებთან, აგრეთვე ქცევის კოდექსებთან შეუსაბამობის გამო.

ორგანიზაციის გამართულობისა და პროფესიული და ეთიკური ქცევის რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით, ფინკა ბანკის მენეჯმენტი და ყველა თანამშრომელი მოვალეა, კარგად იცნობდეს და მკაცრად დაიცვას შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ბიზნეს-ოპერაციები.

ფინკა ბანკის მოქმედი შესაბამისობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეფექტური კონტროლისა და პროგრამების განხორციელებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისობის რისკი იმართოს ეფექტურად და ზედამხედველობისა და საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად.

შესაბამისობა, როგორც ბანკის კულტურის განუყოფელი ნაწილი, იწყება იერარქიის ზედა საფეხურიდან. ამ თვალსაზრისით მაგალითის მიმცემებად გვევლინებიან დირექტორატი და უმაღლესი ხელმძღვანელობა. იგი ვრცელდება ბანკის შიგნით მომუშავე ყველა პირზე და ბანკის ბიზნეს-საქმიანობის ყველა მიმართულებაზე.

ეფექტურობის მიზნით, შესაბამისობის ფუნქცია ეფუძნება დამოუკიდებლობის, უფლებამოსილების (ინფორმაციაზე წვდომის ჩათვლით) და ანგარიშგების პრინციპებს.

- შესაბამისობა არ მონაწილეობს ბანკის რომელიმე სხვა ბიზნესში, რათა არ წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი;
- შესაბამისობას ეძლევა წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციასა და პერსონალზე, რაც საჭიროა მოვალეობების შესასრულებლად. შესაბამისობას სრული და თავისუფალი წვდომა აქვს დირექტორატის დონის რისკისა და შესაბამისობის კომიტეტზე და შეუძლია, პირდაპირ მოახსენოს მას შესაბამისობის პოლიტიკასთან თუ სხვა პოლიტიკასთან, კანონთან, წესთან და რეგულაციასთან შეუსაბამობის შემთხვევების შესახებ;
- ანგარიშგების სისტემა უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატისთვის საკმარისი მაღალი დონის ინფორმაციის მიწოდებას, რათა საბჭოებმა შეძლონ ბანკის შესაბამისობის ზოგადი პროფილის აღქმა და ბიზნესისათვის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ პერსპექტივებზე კონცენტრირება.

კორპორაციული პასუხისმგებლობა

`ფინკა~ თავის სოციალურ მისიას განიხილავს, როგორც ბიზნეს-მოდელის განუყოფელ ნაწილს - ამ პრიორიტეტს იზიარებს `ფინკას~ თითოეული შვილობილი კომპანია. `ფინკა~ ლიდერია დარგში სოციალური პროგრამების თვალსაზრისით `სმარტ კამპანიის~, `მიკროდაფინანსების გამჭვრივალეობისა~ და `სოციალური საქმიანობის სამუშაო ჯგუფის~ საშუალებით და ახორციელებს საკუთარ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული მისიის დაცვასა და პრიორიტეტულობას სოციალური საქმიანობის აუდიტის კომიტეტის საშუალებით. კომიტეტი არის `ფინკას~ საერთაშორისო დირექტორთა საბჭოს მუდმივი კომიტეტი და ზედამხედველობს და აღასრულებს სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც `ფინკას~ მოდელის ღერძს წარმოადგენს.

`ფინკა ბანკი საქართველო~ მუდმივად აძლიერებს სოციალურ საქმიანობას და შეიმუშავებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც აფართოებს და აღრმავებს კლიენტისათვის ბანკისგან მიწოდებულ სარგებელს. სოციალური ფუნქციის მონიტორინგის მექანიზმი ეფუძნება პერიოდულ, საცხოვრებელი სტანდარტების გაზომვის კვლევების სტატისტიკურ ანალიზს.

სოციალური საქმიანობის გარდა, `ფინკას~ კვლევითი პროგრამა ხელს უწყობს კლიენტების საჭიროებათა დაკმაყოფილებას რენტაბელური პროექტების (მაგ. სპეციალური სოციალური საწარმოები, ა.შ.) მხარდაჭერის საშუალებით.

`ფინკას~ განმარტებით, სოციალური საქმიანობა არის:

- ფართო წვდომა ფინანსურ სერვისებზე, განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისა და რეგიონებისათვის, სადაც ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე დაბალია;
- მეტი დასაქმება და შემოსავალი;
- გაუმჯობესებული ცხოვრების სტანდარტები;
- კლიენტებსა და მათს ოჯახებს შორის პირადი მისწრაფებების მიღწევის ხელშეწყობა;
- პასუხისმგებლიანი და თანასწორი მიდგომა ყველა პირისადმი, რომლებთანაც ბანკს აქვს შეხება.

`ფინკა ბანკი საქართველო~ ახორციელებს კლიენტების მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ინიციატივას, კერძოდ: სესხის დამუშავების პროცესისა და პროცედურების მოდიფიცირება კლიენტების სწრაფად მომსახურების მიზნით, გაყიდვის დამატებითი არხების გაშვება ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გასაზრდელად, ახალი საბანკო სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა, რათა კლიენტებმა დისტანციურად შეძლონ სასურველი სერვისებისა და პროდუქტების მიღება. `ფინკა ბანკი საქართველო~ მუდმივად ზრუნავს სამიზნე სეგმენტებისათვის პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებაზე. ბანკის ყველა ძალისხმევა კლიენტის საჭიროებების ანალიზს ეფუძნება.

`ფინკა ბანკის~ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) პროექტები

`ფინკა ბანკი~ ახორციელებს რამდენიმე ინიციატივას, რომლებიც ქვეყნის ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესებაზეა მიმართული. ვინაიდან ბანკი სანდო პარტნიორია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც კლიენტს ფინანსური რესურსების მიღება სურს, არამედ მაშინაც, როდესაც კლიენტს სჭირდება პროფესიონალებისგან სათანადო რჩევის მიღება. ჩვენი მისია გულისხმობს იქ ყოფნას, სადაც კლიენტს სათანადო მხარდაჭერა სჭირდება მიზნის მისაღწევად. ამდენად, ფინანსური წიგნიერების პროექტები და ინიციატივები ამ მიზანსაც ემსახურება.

`ფინკა ბანკი~ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების კომიტეტის წევრია, რაც შეესაბამება ბანკის მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში ფინანსური ცოდნის ამაღლების პროცესში.

`ფინკა ბანკის~ კლიენტების უმეტესობა დედაქალაქის გარეთ ცხოვრობს. მათი უმრავლესობა სოფლად ან ცენტრიდან დაშორებული ადგილებიდან არის, სადაც ფინანსურ სერვისებზე წვდომა ზოგადად ჯერაც შეზღუდულია. `ფინკა ბანკი საქართველო~ კვლავაც ძირითადად იმ დაბალშემოსავლიანი მეწარმეების მიკროდაკრედიტებაზე კონცენტრირდება, რომელთა ფულადი ნაკადები შემოსავლის მომტანი საქმიანობიდან მოდის (მათ შორის, ვაჭრობიდან, წარმოებიდან, სოფლის მეურნეობიდან და სხვა სფეროებიდან). ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, ბანკმა გააფართოვა შეთავაზებების სპექტრი და მოიცვა მცირე და საშუალო საწარმოები.

კლიენტების ფინანსური წიგნიერების გასაზრდელად რამდენიმე პროექტი განხორციელდა:

- `ფინკა ბანკმა~, არასამთავრობო ორგანიზაციასთან `საზოგადოება და ბანკები~ და `გერმანიის შემნახველი~ ბანკების ფონდთან ერთად გააგრძელა ტრენინგების ციკლი ბანკის კლიენტებისათვის. ტრენინგები ჩატარდა 5 ქალაქში და მათ 200-მდე მეწარმე და ფერმერი დაესწრო. ტრენინგების მთავარი თემები იყო საბანკო პროდუქტები და მათი ეფექტურად გამოყენების გზები, ბიუჯეტის შედგენა და ფინანსების მართვა, გაცვლითი კურსი, ონლაინ-სესხები, დაზღვევა და მისი მნიშვნელობა.
- `ფინკა ბანკი~ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული კამპანიის მონაწილე. კამპანია 5 წელია ხორციელდება და ფულის გლობალურ დღეს ემღვნება. 2018 წელს `ფინკა ბანკმა~ დაამზადა სპეციალური სანიშნეები წარწერებით დანაზოგების შესახებ. სანიშნეები საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებში დარიგდა და ასევე ამ პერიოდში მომსახურებულ მომხმარებლებსაც დაურიგდა.
- `ფინკა ბანკი~ შეუერთდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და გერმანიის შემნახველი ბანკის ინიციატივას და უკვე 4 წელია, აღნიშნავს დაზოგვის გლობალურ დღეს. 2018 წელს დამზადდა სპეციალური ბროშურა დანაზოგების მნიშვნელობის შესახებ, რომლის 5,000 ასლი დაურიგდა `ფინკა ბანკის~ ფილიალებში მომხმარებლებს.
- `ფინკა ბანკი საქართველო~ მართავდა ფინანსური წიგნიერებისა და დანაზოგების კულტურის რუბრიკას 2018 წლის 1-ელ კვარტალში, საბავშვო ჟურნალში `ჰიპო~. `ფინკა ბანკმა საქართველომ~ დაამზადა გაზეთ `ჯორჯია თუდეი ედუქეიშენ~-ის 2018 წლის ყველა ნომრისათვის ფინანსური წიგნიერების რუბრიკა (გაზეთის მკითხველები არიან სკოლის მოსწავლეები თბილისსა და რეგიონებში. ყოველთვიური ტირაჟი 3000 ასლია).

- `ფინკა ბანკმა~ რეგიონებში მაცხოვრებელი ბავშვებისათვის ჩაატარა საინფორმაციო სესიები, რომელთა მიზანი იყო დანაზოგების კულტურის ხელშეწყობა და მათ შესახებ ცოდნის გავრცელება. `ფინკა ბანკმა~ დააფინანსა ზუგდიდში ინოვაციების ბანაკი, რაც საქართველოს ეროვნული ბანკისა და `ჯუნიორ ეჩივმენტის~-ის ინიციატივით ჩატარდა. `ფინკა ბანკის~ გუნდის წევრები მენტორებისა და ჟიურის როლს ასრულებდნენ. ბანაკში დაახლოებით 120 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.
- `ფინკა ბანკი~ უშვებს `ფინკა ბანკის~ საინფორმაციო გაზეთს კლიენტების ინფორმირებისა და ცოდნის ასამაღლებლად. აქ გამოქვეყნებული ინფორმაცია შეეხება საბანკო პროდუქტებისა და სერვისების გონივრულად გამოყენების გზებს. სულ დაიბეჭდა 121,000 ასლი (3 ნომერი). გაზეთი დაურიგდათ არსებულ და პოტენციურ კლიენტებს `ფინკა ბანკი საქართველოს~ საოპერაციო რეგიონებში. გაზეთში შედის სპეციალური რუბრიკა, რომელიც ფინანსურ წიგნიერებას ეძღვნება.

ფინანსური წიგნიერების ამაღლება 2019 წელსაც `ფინკა ბანკი საქართველოს~ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტი იქნება.

თანამშრომელთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურა

`ფინკა ბანკი საქართველო~ არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მასობრივი ფინანსური ინკლუზიის მიღწევას მსოფლიოს ბაზრებზე, სადაც ბევრი გამოწვევებია და ამას პასუხისმგებლიანი ფინანსური სერვისების გაწევით გეგმავს.

ბრენდი თანამშრომლებს და კლიენტებს პირდება `უფრო ნათელი მომავლის შექმნას~. ყველა იმ რეგიონში, სადაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ეს დაპირება ასახულია ბანკის ყველა აქციასა და პროექტში.

`ფინკა ბანკის~ თითოეული თანამშრომელი ხელს უწყობს და იზიარებს `ფინკას~ ბრენდის ღირებულებებს და მაღალხარისხიან სერვისს უზრუნველყოფს არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა კლიენტებისთვისაც. `ფინკა ბანკის~ მმართველობა ორიენტირებულია თითოეულ თანამშრომელთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე და ამ მიზნით ახორციელებს პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც თანამშრომელთა განვითარებასა და შენარჩუნებას ემსახურება. ბრენდის დაპირება აისახება მის პოლიტიკასა და პროცედურებში:

თანაბარი დასაქმება - ყველა პირისათვის დასაქმებისა და დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, `ფინკა ბანკში~ სამუშაოზე აყვანის გადაწყვეტილებები ეფუძნება კანდიდატის კვალიფიკაციას და უნარებს. დასაქმების დროს `ფინკა ბანკი~ არ ეწევა დისკრიმინაციას რასობრივი, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, გენდერის, ასაკის თუ კანონით დაცული რომელიმე სხვა მახასიათებელთა მიმართებით.

გენდერული მრავალფეროვნება - `ფინკა ბანკი~ ხელს უწყობს გენდერულ მრავალფეროვნებასა და თანასწორობას და ინარჩუნებს ინკლუზიურობის კულტურას, სადაც ყველა გენდერს ერთი და იგივე შესაძლებლობები, უფლებები, ხელშეწყობა და შედეგები აქვს.

ფინკა ბანკის მიზანია, გენდერული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის მიღწევა, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარი მონაწილეობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობას ხუთ ძირითად სფეროში: მმართველობა და ხელმძღვანელობა, კლიენტები, თანამშრომელთა დაქირავება და დაკომპლექტება, განვითარება, წინსვლის შესაძლებლობები და სამუშაო გარემო.

ფინკა ბანკი გენდერულ მრავალფეროვნებასა და თანასწორობას სამუშაო გარემოსა და კლიენტების თვალსაზრისით აღიარებს ორგანიზაციის განუყოფელ ნაწილად. ბანკი ცდილობს, ხელი შეუწყოს გენდერულ მრავალფეროვნებასა და თანასწორობას სამუშაო გარემოში ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობისთვის ბარიერების მოხსნის გზით. ბანკი უზრუნველყოფს შეუზღუდავ და უშუალო ხელმისაწვდომობას ლიდერობის როლზე ქალებისა და მამაკაცებისთვის და ხელს უწყობს ისეთი კულტურის დანერგვას, სადაც ყველა სქესის წარმომადგენელი სარგებლობს ერთი და იმავე შესაძლებლობებით, უფლებებით მხარდაჭერითა და შედეგებით.

ქცევის სტანდარტები და კოდექსი - `ფინკა ბანკის~ ბიზნეს-ოპერაციები და რეპუტაცია აგებულია თანამშრომლების სამართლიანი მოპყრობისა და ეთიკური ქცევის პრინციპებზე. ჩვენი რეპუტაცია, რომელიც ჯანსაღ ორგანიზაციასა და საუკეთესო ხარისხს გულისხმობს, მოითხოვს შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ყურადღებით დაცვას როგორც სულისკვეთებით, აგრეთვე პირდაპირი მნიშვნელობით, აგრეთვე ქცევისა და პირადი პასუხისმგებლიანობის მაღალი სტანდარტების პატივისცემას.

`ფინკა ბანკის~ უწყვეტი წარმატება ეფუძნება კლიენტების ნდობას და ბანკი მოწოდებულია, ეს ნდობა შეინარჩუნოს. თანამშრომლები `ფინკა ბანკის~, კლიენტებისა და აქციონერების წინაშე ვალდებულნი არიან, ისე მოიქცნენ, რომ მათმა ქცევამ ხელი შეუწყოს საზოგადოების ბანკისადმი ნდობას.

`ფინკა ბანკი საქართველო~ იცავს ყველა შესაბამის კანონსა და რეგულაციას და პერსონალისგან მოელის ბრენდის სულისკვეთების, განზრახვისა და დადგენილი მიდგომების დაცვას, აგრეთვე უკანონო, უპატიოსნო ან არაეთიკური ქცევისგან თავის შეკავებას.

`ფინკა ბანკის~ ქცევის სტანდარტები და `ფინკა ინტერნეშენალის~ ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ბიზნეს-ეთიკის პრინციპებს. ზოგიერთ სიტუაციაში სწორი შეფასებების გაკეთება მაღალეთიკური პრინციპების გამოყენებით განაპირობებს თანამშრომლის სათანადო ქცევას. ისეთ სიტუაციებში, სადაც შემდგომი მართებული ნაბიჯების განჭვრეტა რთულია, საკითხი განხილული უნდა იქნას ღიად უშუალო უფროსთან, უმაღლეს დონეზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანური რესურსების დეპარტამენტთან.

კორპორატიული ინფორმირების პოლიტიკა - ამ პოლიტიკის დანიშნულებაა, ყველა თანამშრომელს მოუწოდოს, გაამხილოს იმ არასწორი საქციელის შემთხვევები, რომელსაც შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიაზე, მის კლიენტებზე, აქციონერებზე, თანამშრომლებზე, ინვესტორებზე და ფართო საზოგადოებაზე, თანაც იმაში დარწმუნებით, რომ ასეთი თანამშრომელი არ დაექვემდებარება რაიმე უარყოფით ზომას დასაქმების თვალსაზრისით. პოლიტიკა მოუწოდებს თანამშრომლებს, კომპანიას აცნობონ სხვა თანამშრომლის ან ხელმძღვანელის მიერ ჩადენილ უკანონო ან თაღლითურ საქციელზე კონფიდენციალურად ან ანონიმურად.

თანამშრომლებს ბანკი დაჟინებით მოუწოდებს, კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო და ეთიკური ნაბიჯები განიხილოს უშუალო უფროსთან, მენეჯერებთან, ადამიანური რესურსების დეპარტამენტთან თუ სხვა შესაბამის პერსონალთან.

სექსუალური და სხვა უკანონო დევნა - `ფინკა~ მოწოდებულია, შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალია ყველა სახის დისკრიმინაციისა და ისეთი ქცევისგან, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს დევნად, იძულებად, აგრესიულად, მათ შორის, სექსუალური დევნისგან. ქმედებები, სიტყვები, ხუმრობები თუ კომენტარები, რომლებიც რომელიმე პირის სქესს, რასას, ფერს, ეთნიკურ კუთვნილებას, ასაკს, რელიგიას, შეზღუდულ უნარს, სექსუალურ ორიენტაციას თუ კანონით დაცულ სხვა მახასიათებელს ეხება, ბანკისთვის მიუღებელია.

სექსუალური დევნა განიმარტება, როგორც არასასურველი სექსუალური შევიწროება ან სექსუალური ხასიათის ვიზუალური, სიტყვიერი თუ ფიზიკური ქცევა. ამ განსაზღვრებაში შედის აგრესიული ქცევის ბევრი ფორმა, მათ შორის, ადამიანის გენდერული შევიწროება იმავე სქესის ადამიანის მიერ. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების დეპარტამენტი სავალდებულო ტრენინგის სახით ატარებს ტრენინგებს (ასევე ტესტებს) სექსუალური შევიწროების შესახებ.

ღია კარის პოლიტიკა - `ფინკა ბანკი საქართველო~ მოწოდებულია, შექმნას დადებითი სამუშაო გარემო და ღია კომუნიკაციის ატმოსფერო.
თანამშრომლებს ბანკი მოუწოდებს, პოზიტიური და კონსტრუქციული კრიტიკოსის როლი შეასრულონ სამუშაო გარემოსა და პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

ღია კარი ნიშნავს, რომ მენეჯერის კარი ყოველთვის ღიაა და თანამშრომლები კომფორტულად გრძნობენ თავს თავის მენეჯერთან სხვადასხვა საკითხზე ან წამოჭრილ პრობლემებზე საუბრისას. ხშირად მენეჯერთან საუბარი ყველაზე ეფექტური გზაა პრობლემების გადასაჭრელად და თანამშრომლის სამუშაოს, პოლიტიკისა და პროცედურების გასაგებად.

`ფინკას~ განვითარების აკადემია - ფინკას განვითარების აკადემია პასუხისმგებელია გლობალური სწავლა-განვითარების სტრატეგიის მიწოდებაზე, რომლის მიზანია, უზრუნველყოს პროფესიული განვითარება და ტრენინგები (ტექნიკური და სხვა უნარები). განვითარების აკადემია მართავს კომპანიის გლობალური სწავლა-განვითარების სისტემას და მინიმალურ სტანდარტებს აწესებს ფინკას საერთაშორისო ქსელში. განვითარების აკადემიის ფარგლებში ყოველწლიურად მენეჯერული პოზიციის თანამშრომლები გადიან მენეჯერული ტრენინგების სერიას და მოდულებს, რომლებიც უზრუნველყოფს ლიდერული უნარებისა და ცოდნის ზრდას.

გარდა ამისა, თანამშრომლებს ბანკი სთავაზობს შიდა და გარე ტრენინგებს განვითარებისათვის.

თანამშრომელთა პროფესიული ადაპტაციისა და ახალი თანამშრომლების ორიენტაციის პროგრამები - თითოეული ახალი თანამშრომელი გადის პროფესიული ადაპტაციის პროგრამას (1 დღე ადამიანური რესურსების სპეციალისტთან ერთად), 4 დღიან ინტენსიურ ტრენინგს მენეჯერთან ერთად, აგრეთვე ახალი თანამშრომლების

ორიენტაციის ტრენინგებს. ადაპტაციის პროგრამები სხვადასხვაა თანამშრომლის თანამდებობის მიხედვით. ადაპტაციისა და ორიენტაციის პროგრამები ახალმოსულებს ეხმარება `ფინკა ბანკის~ კომპანიის კულტურაში დადებითად და ეფექტურად ინტეგრაციაში.

სტაჟირების შესაძლებლობები და პროგრამები - `ფინკა ბანკის განვითარების ცენტრი~ - `ფინკა ბანკმა~ დააფუძნა საკრედიტო ოფიცრებისა და კლიენტების მომსახურების ოფიცრების განვითარების ცენტრი. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს აქტიურ და ეფექტურ სწავლასა და განვითარებას მათთვის, ვინც გეგმავს დაიწყოს ან გააგრძელოს კარიერა საბანკო სექტორში. თითოეულ სტუდენტს მრავალი შესაძლებლობა ეძლევა, გამოცდილი ექსპერტებისგან შეიძინოს ცოდნა და იმავდროულად დაიწყოს მუშაობა და შემოსავლის მიღება. კურსზე ჩაწერის მოთხოვნები მარტივია (სამუშაო გამოცდილება საჭირო არაა), რაც ხელს უწყობს იმას, რომ კურსის სტუდენტებს საქართველოს ყველა რეგიონიდან საშუალება აქვთ, ისწავლონ და იმავდროულად იმუშაონ `ფინკა ბანკის~ ფილიალებში, რომლებიც 30 ქალაქში მდებარეობს.

ინდივიდუალური განვითარების გეგმა - ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიული და კარიერული მიზნების მიღწევაში კარგი დაგეგმვისა და ეფექტური საქმიანობის გზით. ეს არის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლებს მოკლე და გრძელვადიანი კარიერული მიზნების დაძლევაში, აგრეთვე შედეგების გაუმჯობესებაში. ინდივიდუალური განვითარების გეგმა მოიცავს თვითშეფასებასაც, სადაც თანამშრომლები თვითონ ადგენენ თავის საჭიროებებს და ადგენენ მკაფიო გეგმას ამ მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური განვითარების გეგმა ეფუძნება ზიარ პასუხისმგებლობას თანამშრომელსა და მენეჯერს შორის. განხილვებითა და თანამშრომლობით მენეჯერი და თანამშრომელი აყალიბებენ სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელშიც მოცემულია მიზნები, სასწავლო აქტივობები და გრაფიკი. ინდივიდუალური განვითარების გეგმის ფარგლებში დისკუსიები კარგი შესაძლებლობაა თანამშრომლის კარიერული საჭიროებებისა და ინტერესების, ძლიერი და გასავითარებელი მხარეების დასადგენად. ამასობაში, სხვა ფუნქციონალური ხაზები / სხვა დეპარტამენტები უზრუნველყოფს სრულ მხარდაჭერას განვითარების პროცესში მყოფი თანამშრომლებისთვის, თუ მათი როლი ინდივიდუალური განვითარების გეგმაში განისაზღვრა.

მონაწილეობა თავისუფალია და მასზე გადაწყვეტილებას თანამშრომელი იღებს. ეს არის ოთხეტაპიანი პროცესი: მონაწილეობა - თვითშეფასება; შეხვედრა უშუალო მენეჯერთან და კონსულტაციის მიღება კარიერული მისწრაფებებისა და ამოცანების შესახებ; სამოქმედო გეგმის დასახვა (საგანგებოდ მორგებული განვითარების პროგრამის ჩათვლით) და საბოლოო თვითშეფასება და უშუალო ტრენერის შეფასება.

თანამშრომელთა ანაზღაურება და ბენეფიტები - `ფინკა ბანკის~ ანაზღაურების სტრატეგია ფინანსურ სექტორში ხელფასების პაკეტების შესაბამისია - ბანკი ითვალისწინებს ბაზრის ტენდენციებს. `ფინკა ბანკი საქართველო~ მონაწილეობს ხელფასების / ანაზღაურების ბაზრის კვლევაში, რათა დარწმუნდეს, რომ მის ფარგლებში ანაზღაურება შეესაბამება და კონკურენტულია მოცემული ბაზრის პირობებში.

ანაზღაურების სისტემები განსხვავდება და თანამდებობაზეა დამოკიდებული. გაყიდვების მიმართულებით `ფინკა ბანკი საქართველო~ იყენებს ფიქსირებულ და შედეგებზე დამოკიდებულ ანაზღაურებას და ითვალისწინებს, რომ ცვლადი ანაზღაურება მიზნის გარშემო იქმნება.

სხვა თანამდებობების შემთხვევაში, კომპანია ატარებს წლიურ ანალიზს და რწმუნდება, რომ ფულადი ჯილდო და ანაზღაურება სათანადოდ ემსახურება თანამშრომლის მოტივაციისა და შენარჩუნების მიზნებს.

გარდა სამართლიანი და კონკურენტული ანაზღაურების სისტემებისა, `ფინკა ბანკი საქართველოს~ თანამშრომლებს ეძლევათ ჯანმრთელობის ოჯახური დაზღვევის პაკეტი (მასში შედის ოჯახის წევრების დაზღვევა. პაკეტის ღირებულებას მთლიანად ფარავს ბანკი).

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება `ფინკა ბანკ საქართველოს~ აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკ საქართველოს („ბანკი") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში `*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*~. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებელი პირი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი `პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი~ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ბანკის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (მოქმედი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს მოქმედი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ბანკის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც

ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს.

გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიეთ და შევასრულეთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.

ჯონ რობინსონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

თბილისი, საქართველო
2019 წლის 14 ივნისი

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	35,593,350	28,032,175
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	7	14,814,367	18,221,518
მოთხოვნები ბანკების მიმართ	8	987,500	979,602
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	217,825,841	221,417,607
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	10	18,739,844	18,976,370
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	11	-	162,770
ძირითადი საშუალებები	12	4,706,972	3,864,363
გადავადებული საგადასახადო აქტივები	29	219,435	-
არამატერიალური აქტივები	14	1,635,255	2,363,038
სხვა აქტივები	13	2,487,287	1,336,822
სულ აქტივები		**297,009,851**	**295,354,265**
ვალდებულებები:			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	11	750,750	-
ბანკების დეპოზიტები	15	6,105,137	23,625,199
კლიენტების დეპოზიტები	16	144,596,458	97,929,163
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	17	-	20,141,138
ნასესხები სახსრები	18	82,431,875	98,652,729
მიმდინარე მოგების გადასახადი		17,672	83,650
სხვა ვალდებულებები	19	1,051,639	825,548
სუბორდინირებული სესხი	20	20,044,670	12,552,520
გადავადებული მოგების გადასახადი	29	-	490,280
სულ ვალდებულებები		**254,998,201**	**254,300,227**
კაპიტალი:			
ბანკის აქციონერთა კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	25,643,200	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება		16,368,450	20,840,438
სულ კაპიტალი		**42,011,650**	**41,054,038**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**297,009,851**	**295,354,265**

დირექტორატის სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორის მოადგილე
თენგიზ თავაძე

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

25-101 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	22	62,523,808	59,861,501
საპროცენტო ხარჯი	22	(23,191,648)	(21,165,326)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე		39,332,160	38,696,175
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	23	(7,609,790)	(3,846,222)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**31,722,370**	**34,849,953**
(ზარალი)/მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე		(1,914,800)	162,770
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	24	331,956	(800,962)
საკომისიო შემოსავლები	25	2,564,370	1,559,353
საკომისიო ხარჯები		(56,291)	(61,821)
სხვა შემოსავლები	26	893,967	759,459
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		**1,819,202**	**1,618,799**
საოპერაციო შემოსავალი		**33,541,572**	**36,468,752**
პერსონალის ხარჯები	27	(15,333,713)	(15,007,830)
ცვეთა და ამორტიზაცია	12, 14	(2,639,380)	(2,487,413)
სხვა საოპერაციო ხარჯები	28	(15,273,380)	(14,901,244)
მოგება მოგების გადასახადამდე		**295,099**	**4,072,265**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	29	423,338	(548,028)
პერიოდის წმინდა მოგება		**718,437**	**3,524,237**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**718,437**	**3,524,237**

დირექტორატის სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორის მოადგილე
თენგიზ თავაძე

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

25-101 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ბანკის აქციონერთა კაპიტალი
1 იანვარი, 2017		**20,213,600**	**17,316,201**	**37,529,801**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	3,524,237	3,524,237
31 დეკემბერი, 2017		**20,213,600**	**20,840,438**	**41,054,038**
კორექტორება ფასს 9 ზე გადასვლის შედეგად გადასახადის გადახდის შემდეგ	29	-	(1,528,050)	(1,528,050)
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)		**20,213,600**	**19,312,388**	**39,525,988**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	718,437	718,437
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები	21	5,429,600	-	5,429,600
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	(3,662,375)	(3,662,375)
31 დეკემბერი, 2018		**25,643,200**	**16,368,450**	**42,011,650**

დირექტორატის სახელით:

_____
აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდიევი

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

_____
ფინანსური დირექტორის მოადგილე
თენგიზ თავაძე

14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო

25-101 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
სულ წლის სრული მოგება		718,437	3,524,237
უნაღდო ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	23	7,609,790	3,846,222
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება		(24,493)	(29,567)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		243,750	1,224,944
მოგება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	11	913,520	(162,770)
დარიცხული პროცენტის (კლება)/ზრდა, წმინდა		(1,544,302)	(592,509)
ცვეთა და ამორტიზაცია	12, 14	2,639,380	2,487,413
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	29	(423,338)	548,028
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		10,132,744	10,845,998
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მოთხოვნები ბანკების მიმართ		22,723	(948,022)
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში		3,761,726	805,614
კლიენტებზე გაცემული სესხები		(3,943,186)	(26,134,145)
სხვა აქტივები		(1,095,931)	(370,950)
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები		-	-
კლიენტების დეპოზიტები		44,573,951	(1,861,081)
ბანკების დეპოზიტები		(17,798,255)	23,556,449
სხვა ვალდებულებები		124,907	(310,716)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე		35,778,679	5,583,147
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		35,778,679	5,583,147
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(2,764,414)	(1,587,754)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		34,702	35,529
სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესყიდვა		1,157,580	1,417,106
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,572,132)	(135,119)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა		(20,000,000)	-
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		12,672,712	5,518,998
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		-	-
ნასესხები სახსრებიდან მიღებული ფულადი სახსრები		38,814,444	50,705,848
ნასესხები სახსრების დაფარვა		(54,867,748)	(62,263,893)
გადახდილი დივიდენდები		(3,662,375)	-
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(27,042,967)	(6,039,047)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ თანხაზე		397,595	115,335
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		7,163,580	(475,684)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისი		28,032,175	28,507,859
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლო		35,593,350	28,032,175

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 32,790,826 ლარი და 52,501,976 ლარი, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 26,252,326 ლარი და 51,665,664 ლარი შესაბამისად.

დირექტორატის სახელით:

_____	_____
აღმასრულებელი დირექტორი	**ფინანსური დირექტორის მოადგილე**
ვუსალ ვერდიევი	**თენგიზ თავაძე**
14 ივნისი, 2019	14 ივნისი, 2019
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

25-101 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ორგანიზაცია

სს `ფინკა ბანკი საქართველო~ (`ბანკი~) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში, თბილისში რეგისტრირებულია 2007 წლის 20 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით 205235262. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე. ბანკი საქმიანობას წარმართავს საბანკო საქმიანობის #252 გენერალური ლიცენზიის შესაბამისად. სესხები გაიცემა როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოურ ვალუტაში.

`ფინკა ბანკი საქართველოს~ 100%-იანი წილის მფლობელია FINCA Microfinance Coöperatief U.A.", კოოპერატივი, რომელიც რეგისტრირებულია ნიდერლანდებში, ამსტერდამის სავაჭრო პალატის სარეგისტრაციო ნომრით 53004698 და რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ამსტერდამში.ფუნქციონირებს ამსტერდამშ(შემდგომში `კოოპერატივი~).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოოპერატივის წევრები იყვნენ:

1. აშშ-ს დელავერის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია FINCA Microfinance Holding Company LLC ", რომლის იურიდიული მისამართია: 2711, სენტერვილ როუდი, 400, უილმინგტონი, დელავერი 19808, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 99 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ა წევრი და 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.
2. აშშ-ს მერილენდის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია FINCA International LLC", რომლის იურიდიული მისამართია: 11, ისტ ჩეიზ სტრიტი, ბალტიმორი, მერილენდი 21202, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 0186. ბანკს საქართველოში აქვს 36 (2017: 37) სერვის-ცენტრი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში დასაქმებული არის 540 ადამიანი (2017: 577).

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „FINCA Microfinance Holding Company LLC"-ის აქციონერებს წარმოადგენდნენ:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
FINCA International, Inc.	62.93%	62.93%
International Finance Corporation	14.27%	14.27%
KfW	8.87%	8.87%
Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.	7.25%	7.25%
Credit Suisse Microfinance Fund Management Company	2.96%	2.96%
Triodos Investment Management	2.05%	2.06%
Triple Jump (ASN-NOVIB FONDS)	1.67%	1.66%
სულ	100%	100%

FINCA International Inc " არის აშშ კანონმდებლობით მოქმედი არაკომერციული კორპორაცია .მისი წევრები არ ფლობენ წილს კომპანიაში და, შესაბამისად, არ გააჩნიათ ეკონომიკური უფლებები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, FINCA International Inc " წევრები არიან: რუპერტ სკოფილდი, ჯონ ჰეტჩი, რობერტ ჰეტჩი, რიჩარდ უილიამსონი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 14 ივნისს ბანკის დირექტორატის მიერ.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ბანკი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის არსებულ თანმიმდევრულ ტრანზაქციაში მიიღებდა პირი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულებების გასხვისებისთვის, იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაზომვისას ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის ან/და განმარტების მიზნით სამართლიანი ღირებულება დგინდება აღწერილი მიდგომით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ექვემდებარება დაკვირვებას სამართლიანი ღირებულების გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს მონაცემები სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებსა ან ვალდებულებებზე დადგენილი ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული დადგენილი ფასებისაგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია აღნიშული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები გაზომილია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ბანკის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან

ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და, შესაბამისად, განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ბანკის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულია ფასს 9 `ფინანსური ინსტრუმენტები~ და ფასს 15 `შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან~. ძირითად საბუღალტრო პოლიტიკებში შეტანილი ცვლილებები აღწერილია შენიშვნაში #3.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ბანკმა ფასს -9 და ფასს-15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, ბანკმა ნაადრევად დაიწყო 2017 წლის ოქტომბერში გამოშვებული `წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით~ (შესწორება ფასს-9).

ფასს - 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები"*.

ბანკში ბასს-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოცემული ფასს 9-ის დანერგვის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებამ გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების ცვლილებები და ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე აღიარებული თანხების კორექტირების აუცილებლობა.

ფასს 9-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა, არ გადაეფასებინა შესადარისი რიცხვები. ფასს 9-ზე გადასვლის დღისათვის დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება აისახა მიმდინარე პერიოდის საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და სხვა რეზერვებში. ამდენად, 2017 წლის ინფორმაცია არ ასახავს ფასს 9-ის მოთხოვნებს და, შესაბამისად, არ ედრება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის ინფორმაციას. შესაბამისად, განმარტების მიზნებისათვის, ფასს 7-ით გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისი შესწორება გამოყენებული იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე. შესადარი პერიოდის განმარტებები ემთხვევა წინა წლის განმარტებებს.

ფასს 9-ის მიღებამ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების ცვლილება. ფასს 9-ის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელ სხვა სტანდარტებში, მაგალითად, ფასს 7: `ფინანსური ისნტრუმენტები: განმარტება~.

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი ძირითადად ვრცელდება შემდეგზე:

- გაუფასურების ახალი მოდელის გამო, ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ზრდა/კლება;
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებები;
- ცვლილება ჩამოწერის პოლიტიკასა და აქამდე ჩამოწერილი ინსტრუმენტების აღდგენაში.

ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში გამოყენებულია რეტროსპექტიულად, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში #4.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ნაშთების შედარება ბასს 39-სა და ფასს 9-ს შორის

ბანკში ჩატარდა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელებისა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ერთმანეთს არის შედარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის მიხედვით შეფასების წინანდელი კატეგორიისა და 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლისას მიღებული შეფასების ახალი კატეგორიის მიხედვით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	28,032,175	28,032,175
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	18,221,518	18,221,518
მოთხოვნები ბანკების მიმართ	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	979,602	979,602
კლიენტებზე გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	221,417,607	219,626,262
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	დაფარვის ვადამდე	ამორტიზებული ღირებულება	18,976,370	18,970,963
სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	596,484	596,484
სულ ფინანსური აქტივები			**288,223,756**	**286,427,004**
ბანკების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	23,625,199	23,625,199
კლიენტების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	97,929,163	97,929,163
ნასესხები სახსრები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	98,652,729	98,652,729
სუბორდინირებული სესხი	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	12,552,520	12,552,520
სხვა ფინანსური ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	575,307	575,307
სულ ფინანსური ვალდებულებები			**233,334,918**	**233,334,918**
წმინდა ფინანსური ვალდებულებები			**54,888,838**	**53,092,086**
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი			**(1,796,752)**	
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლის გამო აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის კორექტირება			268,702	
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მიღების ეფექტი გაუნაწილებელ მოგებაზე, წმინდა			**(1,528,050)**	

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების თავდაპირველი კატეგორიები ბასს 39-ის მიხედვით და შეფასების ახალი კატეგორიები ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება ბასს	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება ფასს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები				
სესხებიდან და მოთხოვნებიდან	**288,223,756**	**(288,223,756)**	**-**	**-**
ფული და ფულის ექვივალენტები	28,032,175	-	-	28,032,175
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	18,221,518	-	-	18,221,518
მოთხოვნები ბანკების მიმართ	979,602	-	-	979,602
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,417,607	-	(1,791,345)	219,626,262
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,976,370	-	(5,407)	18,970,963
სხვა ფინანსური აქტივები	596,484	-	-	596,484
ამორტიზებულ ღირებულებაში	-	**288,223,756**	**(1,796,752)**	**286,427,004**
დაფარვის ვადამდე ფლობილიდან	**18,976,370**	**(18,976,370)**	**-**	**-**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	18,976,370	(5,407)	18,970,963
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**18,976,370**	**(5,407)**	**18,970,963**
ფინანსური ვალდებულებები				
ბასს 39 ამორტიზებული ღირებულებიდან	**233,334,918**	**(233,334,918)**	**-**	**-**
ბანკების დეპოზიტები	23,625,199	-	-	23,625,199
კლიენტების დეპოზიტები	97,929,163	-	-	97,929,163
ნასესხები სახსრები	98,652,729	-	-	98,652,729
სუბორდინირებული სესხი	12,552,520	-	-	12,552,520
სხვა ფინანსური ვალდებულებები	575,307	-	-	575,307
ფასს 9 ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**233,334,918**	**-**	**233,334,918**
ფინანსური აქტივები				
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებიდან	**162,770**	**(162,770)**	**-**	**-**
წარმოებულ ფინანსურ აქტივებში	-	**162,770**	**-**	**162,770**

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი, გადასახადის გარეშე, გაუფასურების დანაკარგის ანარიცხებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. ეფექტი დაკავშირებულია გაუნაწილებელ მოგებასთან. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებზე ეფექტი არ ფიქსირდება.

გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	**20,840,435**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აქტიურ სესხებზე ფასს 9-ის მიხედვით	(3,893,997)
ჩამოწერილი სესხების საბალანსო ღირებულება	13,625,728
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ჩამოწერილ სესხებზე	(11,523,076)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში	(5,407)
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	268,702
გადაფასებული საწყისი ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)	**19,312,385**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – შემოსავლები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მიდგომას შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;

- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება", რომელიც ეხება საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, ძირითადი და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე, ლიცენზირების გამოყენების პროცედურებს.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ბანკის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ, მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება;
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ბანკი ვალდებულია, ფასს 16 `იჯარები~ 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს. ბანკმა შეაფასა ის სავარაუდო ეფექტი, რასაც ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე იქონიებს. ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ბანკს ფასს 16 უკვე მიღებული აქვს.

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 საიჯარო და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარასა (არასაბალანსო) და ფინანსურ იჯარას (საბალანსო) შორის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება ყველა სახის იჯარის შემთხვევაში. აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ყოველი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების

მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

მოიჯარის მხრიდან აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში მეიჯარის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა დასრულა ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზეგავლენის საწყისი შეფასება. თავდაპირველი გამოყენების პერიოდში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფასს 16-ის რეალური ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, ბანკის სესხების პორტფელის განვითარებაზე, ბანკის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების ოფციას და იმაზე, თუ რა მასშტაბით გადაწყვეტს იგი პრაქტიკული საშუალებებისა და არასავალდებულო აღიარების უფლების გამოყენებას.

მომავალში ბანკი აღიარებს ფილიალებისა და საოფისე ფართის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ახალ აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ხარჯების ბუნება შეიცვლება, რადგან ფასს 16-ით საოპერაციო იჯარის ხარჯის წრფივი ასახვა იცვლება გამოყენების უფლებით ფლობილ აქტივებზე - ცვეთის ხარჯითა და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის შემოტანით.

სტანდარტის მიღებამდე ბანკი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებდა, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის დროში განსხვავება იყო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პროგნოზით, მან უნდა აღიაროს 7,383 ათასი ლარის ოდენობის საიჯარო ვალდებულება ფასს 16-ის შესაბამისად.

ბანკი ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექციული მიდგომით. ამდენად, ფასს 16-ის გამოყენების კუმულატიური ეფექტი აღიარდება როგორც 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი, შესადარისი ინფორმაციის გადაფასების გარეშე.

ბანკი გეგმავს უარი თქვას ახალ ფასს-ზე გადასვლსას იჯარის განსაზღვრების გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფასს 16-ს გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ და ბასს 17 და ფაისკ 4-ით იჯარად იდენტიფიცირებულ კონტრაქტებზე.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარმოდგენისა და განმარტების პრინციპები. ის „ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს“ ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა `ზოგად მოდელს~, რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც `ცვლადი ანაზღაურების მიდგომად~ განისაზღვრება. `ზოგადი მოდელი~ მარტივდება `პრემიუმის განაწილების მიდგომის~ გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

`ზოგად მოდელში~ გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ გამსაზღვრავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სავარაუდოდ, სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომის მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც კომპანია პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს, რომლებიც ამ კომპანიებში პირის წმინდა ინვესტიციების ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

ბასს 12 - მოგების გადასახადი
შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები
შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები
ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, სამართლიანი ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუღიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და კეთილ ნებას.

ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ კომპანიამ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, კომპანია არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიციტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. კომპანიებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება მთელი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, კომპანიის შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიასა თუ ერთობლივ საწარმოს შორის

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღირიცხება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებული პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი

აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - ***მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება***

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკების აღწერა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება შემდეგ ერთეულებს:

- საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოქმნილი ფინანსური აქტივები. მათ შემთხვევაში ბანკი კრედიტზე შესწორებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოქმნილი ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდგომ გაუარესდა. მათ შემთხვევაში ბანკი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას ბანკი მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, გარდა სესხის ზარალისა. გამოთვლაში შედის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და/ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების ზარალის დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში სასესხო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიოები აღიარდება შემოსავლებში მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-ში დადგენილია ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთი კონტრაქტის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები. აღნიშნულმა სტანდარტმა ჩაანაცვლა ბასს 39 `ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება~. ფასს 9-ის მოთხოვნები ბასს 39-ისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მასში მოცემულია სიღრმისეული ცვლილებები ფინანსური აქტივების ბუღალტრულ აღრიცხვასთან და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით.

ბანკმა მიიღო ფასს 7 `ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები~, რომელიც ვრცელდება 2018 წლის განმარტებებზე, მაგრამ შესადარ ინფორმაციაზე არ გავრცელებულა.

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში შევიდა ფასს 9-ის მიღების შედეგად. სტანდარტის მიღების სრული ეფექტი აღწერილია შენიშვნაში #3.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ გარიგების ხარჯების დამატებით, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ შესყიდვასა და გამოშვებას.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები. ფასს 9-ით კლასიფიკაცია ჩვეულებრივ ეფუძნება იმ ბიზნეს-მოდელს, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ახალი სტანდარტით ბასს 39-ის კატეგორიები - დაფარვის ვადამდე ფლობილი, სესხები და მოთხოვნები, გასაყიდად განკუთვნილი - უქმდება. ფასს 9-ის მიხედვით, ბანკის ფინანსური კლასიფიკაცია იხილეთ შენიშვნაში #3.

ფასს 9-ში მთლიანობაში შენარჩუნებულია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის ბასს 39-ით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის, ბანკს შეუძლია განახორციელოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინვესტიციისათვის ცალკე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

საწყისი აღიარებისას ბანკს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რომელიც ექვემდებარება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ასახვით ბათილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში.

ბანკის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
ფული და ფულის ექვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
შეზღუდული ფული	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სესხები და ბანკებზე გაცემული ავანსები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	რეალური ღირებულება მოგება-ზარალის გავლით (სავალდებულო)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

ბანკი აფასებს ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა, რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ბანკის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;

- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-მოდელზე (და ამ ბიზნეს-მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების შესახებ იზოლირებულად კი არ განიხილება, არამედ იმ ინფორმაციის შეფასების ნაწილად, რომელიც ეხება ფინანსური აქტივების მართვის დადგენილი მიზნების მიღწევასა და ფულადი ნაკადების რეალიზებას.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას ბანკი განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- სესხებისა და საკუთარი კაპიტალის შეფარდებას;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან; და
- იმ ასპექტებს, რომლებიც ცვლის დროში ფულის ღირებულების აღქმას (მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება).

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული შეუზღუდავი ნაშთებისა და მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებზეც მოქმედებს რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი და რომელთაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

სავალდებულო რეზერვი სებ-ში

სებ-ში განთავსებული სავალდებულო რეზერვი აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელთა გამოყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად დაუშვებელია. ამდენად, ეს ნაშთი არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსის სახით, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით გასცემს ფულს კონტრაგენტ ბანკებზე. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ბანკის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიციკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ქვემოთ).

გაუფასურება

ფასს 9 სტანდარტმა ჩაანაცვლა ბასს 39-ის `გაწეული ზარალის~ მოდელი `მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის~ („მსზ“) მოდელით. გაუფასურების ახალი მოდელი აგრეთვე ვრცელდება სესხის გაცემის ზოგიერთ ვალდებულებასა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებზე, მაგრამ არა კაპიტალში ინვესტიციებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ით იყო გათვალისწინებული.

ბანკი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შემენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (მოიხსენიება როგორც 1-ელი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (მოიხსენიება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა მოთხოვნების დანაკარგების რეზერვი ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მსზ-ის ტოლი თანხით. მსზ არის საკრედიტო ზარალის მიმდინარე ღირებულების ალბათობაზე შეწონილი ოდენობა. იგი ფასდება როგორც ბანკის მიერ ხელშეკრულებით მისაღები ფულადი ნაკადებისა და რამდენიმე მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვით წარმოშობილი მისაღები ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ესგ).

ისეთ სესხების პორტფელებს, რომლებიც მსგავსი ეკონომიკური რისკებით ხასიათდება, ბანკი მსზ-ს აფასებს ჯგუფურად.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 32-ე შენიშვნაში, რომელშიც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი ჯგუფურად შეფასების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობებით, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში არ დათახმდებოდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური პრობლემების გამო; ან
- მაღალი ალბათობა, რომ სესხის ამღები გაკოტრდება ან წამოიწყებს სხვაგვარ ფინანსურ რეორგანიზაციას.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ბანკი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში. ასეთ აქტივებზე დადებითი ცვლილება გაუფასურების მოგებას წარმოშობს. ბანკს 2017 და 2018 წლების განმავლობაში საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები არ შეუსყიდია და არ შეუქმნია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში მეთოდით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის შეფასების რეზერვის აღიარება არ ხდება, რადგან საბალანსო ღირებულება მოცემულია რეალური ღირებულებით.

- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც უზრუნველყოფა; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც ათვისებულ, ისე აუთვისებელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა ნაჩვენებია, როგორც ათვისებული კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე წარმოდგენილია, როგორც რეზერვი.

ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებელი, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის დადგენისას, მნიშვნელოვნად ხომ არ გაიზარდა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის რისკი საწყისი აღიარებისას, ბანკი აფასებს დიდი ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ დასაბუთებულ ინფორმაციას. აღნიშნული მოიცავს როგორც რაოდენობრივ, აგრეთვე, ხარისხობრივ ინფორმაციასა და ანალიზს ბანკის ისტორიულ გამოცდილებასა და ექსპერტთა საკრედიტო შეფასებაზე დაყრდნობით და პროსპექტიულ ინფორმაციას. შეფასების მიზანია, იმის დადგენა, ხომ არ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა რომელიმე რისკგამოვლინებაში შემდეგი ინფორმაციის შედარებით:

- დარჩენილი ვადის დეფოლტის რისკი საანგარიშგებო თარიღში; შემდეგთან
- რისკგამოვლინების საწყისი აღიარებისას შეფასებული დარჩენილი ვადის დეფოლტის რისკი დროის მოცემული მომენტისათვის (წინასწარი გადახდის პროგნოზებში ცვლილებებით კორექტირების საფუძველზე).

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოიყენება სამი კრიტერიუმი:

- რაოდენობრივი ტესტი დეფოლტის ალბათობის ცვლილების საფუძველზე;
- გადახდების გადავადების სტატუსი; და
- 30 დღიანი ვადაგადაცილების ბარიერი.

„გადახდის გადავადება“ დგება რესტრუქტურიზაციის ანუ პროცენტის ან ძირი თანხის გადახდის პირობების გახანგრძლივებისას, თუ ეს მოხდა მსესხებლის ფინანსური პირობების ისეთი გაუარესების შედეგად, რის დროსაც სესხის წარმოშობის ან სესხის გადახდის ცვლილების მოთხოვნის მომენტში მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა ამჟამინდელისგან განსხვავდება. რესტრუქტურიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკის

შესაბამისი განყოფილება საკმაოდ დარწმუნებულია, რომ მსესხებელი შეძლებს გადახდების განახლებული გრაფიკის დაკმაყოფილებას.

საწყისი აღიარებისას და შემდგომ საანგარიშგებო თარიღებში დეფოლტის ალბათობის საფუძვლად აიღება რამდენიმე ეკონომიკური სცენარი. თითოეული მათგანი სხვადასხვა დეფოლტის ალბათობას იძლევა. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი დეფოლტის ალბათობა, რომელიც ამ სხვადასხვა სცენარის შეწონვით მიიღება. საპროგნოზო ინფორმაცია მოიცავს ეკონომიკური ექსპერტებისგან, ფინანსური ანალიტიკოსებისგან, სახელისუფლებო ორგანოებიდან, ანალიტიკური ცენტრებიდან და სხვა მსგავსი ორგანიზაციებიდან მიღებულ საპროგნოზო ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკის შესახებ, აგრეთვე, ითვალისწინებს რეალური და საპროგნოზო ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებს.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება ხდება, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში. მოდიფიცირების ზეგავლენა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან/და დროზე მყისიერია ან მომავალში მოსალოდნელი.

ბანკი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას (ძირი თანხიდან და პროცენტიდან) და სხვა პირობების შეცვლას. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი თვლის, რომ ახალი მოლაპარაკება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი მოლაპარაკებისგან, რაც იწვევს აღიარების შეწყვეტას.

თუ ახალი პირობები ძველისგან არსებითად განსხვავდება, ბანკი წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას, რეალური ღირებულებით აღიარებს `ახალ~ აქტივს და ამ აქტივისათვის ანგარიშობს ესგ-ს. მოლაპარაკების თარიღი ითვლება აქტიბის საწყისი აღიარების თარიღად გაუფასურების გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის, იმის განსასაზღვრად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა.

თუ ახალი პირობები ძველისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ხელახალი მოლაპარაკება ან მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას და ბანკი მთლიან საბალანსო ღირებულებას ანგარიშობს ფინანსური აქტივის კორექტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე და მოგებაში ან ზარალში აღიარებს მოდიფიკაციით მიღებულ მოგებას ან ზარალს. ახალი მთლიანი საბალანსო ღირებულება გადაითვლება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების საწყისი ესგ-ით დისკონტირებით (ან საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივებისათვის - კრედიტით კორექტირებული ესგ-ით დისკონტირებით).

ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში) ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ბანკი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ

აქტივს, ის აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია აქტივისა და თანხების გადახდაზე ვალდებულების ინტერესი. თუ ბანკი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, იგი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება, როდესაც ბანკს არ აქვს იმის გონივრული მოლოდინი, რომ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება აღდგება (მთლიანად ან ნაწილობრივ). ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოსაწერად განკუთვნილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა, კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, ბანკის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად. სააღსრულებო ზომებით გამოწვეული აღდგენა გამოიწვევს გაუფასურების მოგების აღიარებას.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფულად-სასესხო გარანტია არის კრედიტის გაცემის დამოწმებული გარანტია წინასწარ განსაზღვრული პირობებით.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები შედის გაუფასურების რეზერვში.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ ისინი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულად არ ითვლება, შემდგომში იზომება შემდეგიდან უმეტესით:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულობის მოცულობა ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა (შესაბამის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის თანახმად აღიარებული ჯამური ამორტიზაციის გამოკლებით).

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: `მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები~, `დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", `სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ბანკის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, სავაჭროდ განკუთვნილი ინვესტიციები, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები, სესხები და მოთხოვნები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს მოკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტებზე გაცემულ ავანსებს 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომლებიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარეზერვო დეპოზიტს, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი და რომელიც ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ გამოიყენება. ამდენად, სავალდებულო რეზერვი არ მიეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და დაფარვის ფიქსირებული ვადით, რომელთა შენარჩუნება მათ დაფარვამდე აქვს განზრახული ბანკს და ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

თუ ბანკი გადაწყვეტს, დაფარვის ვადის დადგომამდე გაყიდოს ან გადააკლასიფიციროს დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ ეს არ ხდება კონკრეტულ სპეციფიურ ვითარებაში), ეს ქმედება გავრცელდება მთელ კატეგორიაზე. ასეთ შემთხვევაში გაუყიდავად დარჩენილი ნაწილი უნდა გადაკლასიფიცირდეს გასაყიდად არსებულ აქტივებად. გარდა ამისა, ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის კლასიფიცირება დაფარვის ვადამდე ფლობილად მიმდინარე და მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე (მათ შორის მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც ,,სესხები და მოთხოვნები''. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა, გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ბაზარზე კოტირებული და არაკოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც გასაყიდად განკუთვნილად ითვლება, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა მისი თვითღირებულების ქვემოთ წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფურად. სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებელი შეიძლება

იყოს ბანკის წარსული გამოცდილება თანხების ამოღების თვალსაზრისით, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რიცხვის ზრდა, ასევე, ისეთი შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია მოთხოვნების დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება გაუქმებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში ისე, რომ გაუფასურების აღდგენის დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ამორტიზებული ღირებულების იმ ოდენობას, რომელიც ორგანიზაციას ექნებოდა, გაუფასურება რომ არ ეღიარებინა.

სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

სადაც ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად, მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხების და გაცემული ავანსების ჩამოწერა

სესხებისა და გაცემული ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და გაცემული ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას მას შემდეგ, რაც ბანკმა ამოწურა თანხის ამოღების ყველა ზომა და გაყიდა ყველა ხელმისაწვდომი უზრუნველყოფა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და, შესაბამისად, აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ

მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი

გამოშვებული სესხისა და გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი საკონტრაქტო შეთანხმებების არსიდან გამომდინარე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სხვა პირისათვის ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების გაცვლას ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არასასურველია ბანკისათვის, ან ისეთი კონტრაქტი, რომელზე ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომელიც არის არაწარმოებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია ან შეიძლება ვალდებული გახდეს, პირს მიაწოდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა ან წარმოებული კონტრაქტი საკუთარ კაპიტალზე, რომელზე ანგარიშსწორება მოხდება ან შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული ოდენობის გადახდის გარდა სხვა გზით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება.

თუ ბანკმა ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტით არ აღრიცხა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაიანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით და მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, მოდიფიცირებით გამოწვეული მოგების ან ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება ისე, რათა მასში აისახოს მოდიფიცირების მომენტში არსებული საბაზრო პირობები. გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა, როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება, როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტები და სუბორდინირებული სესხი

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტებსა და იმ სუბორდინირებულ სესხებს, რაც წარმოადგენს ბანკის აღებული სესხებით დაფინანსების წყაროებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, პირდაპირი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

კაპიტალის ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ფორვარდები არის საკონტრაქტო გარიგებები ორ მხარეს შორის, რომლებიც ითვალისწინებს დროთა განმავლობაში დაკონკრეტებული პირობითი ოდენობის გადახდების მიმოცვლას წინასწარ დადგენილი უცხოური ვალუტის კურსის საბაზო ინდექსის ცვლილებასთან მიმართებაში.

სავალუტო ფორვარდების მეშვეობით ბანკი იხდის კონკრეტულ თანხას ერთ ვალუტაში და იღებს კონკრეტულ თანხას სხვა ვალუტაში. ანგარიშსწორება სავალუტო ფორვარდებზე ხდება ურთიერთჩათვლით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობები ითვალისწინებს მოიჯარისთვის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე იჯარის მოქმედების პერიოდის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით განაწილებას სისტემატიზაციის სხვა მიდგომა უკეთ ასახავს.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად გათვალისწინებულია საიჯარო შეღავათები, ისინი აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი აღიარდება წრფივად, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით განაწილებას სისტემატიზაციის სხვა მიდგომა უკეთ ასახავს.

დასაკუთრებული აქტივები

გარკვეულ ვითარებაში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტიანი სესხების უზრუნველყოფის დაკავების შედეგად. დასაკუთრებული აქტივები იზომება, ერთი მხრივ, საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების აღიარებული დანაკარგები, თუ ასეთი არსებობს.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას ისე, რომ აქტივები წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს მათი სასარგებლო მოხმარების ვადის მანძილზე. ცვეთა გამოითვლება წრფივ საფუძველზე სასარგებლო მოხმარების შემდეგი ვადების გამოყენებით:

	წელი
შენობა ნაგებობები	*10*
ავეჯი და მოწყობილობები	*3-5*

კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	*3-6*
სატრანსპორტო საშუალებები	*5*
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	*საიჯარო კონტრაქტის მიხედვით*
სხვა	*2-5*

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას ერიცხება ამორტიზაცია იჯარით აღებული შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი გაწევის მომენტში და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ კაპიტალიზაციის ჯგუფის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველ საანგარიშო დღეს იმის შემოწმების მიზნით, ხომ არ არის ძირითადი საშუალება აღრიცხული ამოღებად თანხაზე მეტი თანხით. ამოღებადი თანხა არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. თუ საბალანსო ღირებულება აჭარბებს სავარაუდო ამოღებად თანხას, ხდება აქტივების ჩამოწერა ამოღებად თანხამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდეგ, ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა კორექტირდება მომავალ პერიოდებში აქტივების შესწორებული საბალანსო ღირებულებისა და მისი ნარჩენი ღირებულების (თუ ასეთი არსებობს) სხვაობის გადასანაწილებლად მოხმარების სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება, როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღრიცხული საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილების აღმოჩენის მიზნით. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების გაუფასურება მოწმდება, თუ არსებობს იმისი ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება გაუფასურებული იყოს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

<u>მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა.</u> ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკი განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ამოღებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები, ასევე, ნაწილდება ფულადი სახსრების გამომუშავებელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც ჯერ გამოსაყენებლად არაა მზად, გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ აქტივის გაუფასურების ნიშანი.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირება არსებული დისკონტირების განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება ამოღებადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც მატება გადაფასების შედეგად.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ, სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს გუდვილისგან ან სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრ მოგებას არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო კანონმდებლობისა და განაკვეთის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადასახადები სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ ერთეულებთანაა დაკავშირებული. ასეთ დროს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები შესაბამისად აისახება სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე, ცნობილია, როგორც კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვით დაბეგვრა ხდება არა დასაბეგრი მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში.

კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას არ გულისხმობს. მასში დაბეგვრა უბრალოდ გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათ განაწილებამდე; ანუ დაბეგვრის ობიექტი განაწილებული მოგებაა. საქართველოს საგადასაადო კოდექსის განსაზღვრებით, განაწილებული მოგება არის აქციებზე დივიდენდის სახით განაწილებული მგოება. თუმცა, მოგების განაწილებად ითვლება ზოგიერთი სხვა ტრანზაქციაც, მაგალითად, საერთაშორისო ტრანზაქცია დაკავშირებულ პირებს შორის ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან საგადასახადო მიზნებისათვის აგრეთვე ითვლება მოგების განაწილებად. გარდა ამისა, გადასახადის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს თუ სხვა გადახდებს, თუ ისინი არაა დაკავშირებული პირის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას და ზედმეტად დიდ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლებში გაუნაწილებელი მოგება 2019 წელს ან შემდგომ წლებში განაწილდა, შესაძლებელია მათზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის დაბრუნება.

დივიდენდების გადახდისგან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მათი გადახდის თარიღის თუ პერიოდის მიუხედავად.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ყველა პირის შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტების გარდა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასაადო პერიოდებზე. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, კანონი თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვარს. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადასწია.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, ბანკს სავარაუდოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვებად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მესამე მხარისგან ნაწილობრივი ან სრული ეკონომიკური სარგებლის ამოღება, რომელიც საჭიროა რეზერვების ფორმირებისათვის, ამასთან როდესაც გადახდა სარწმუნოა, ხოლო მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით, მოთხოვნები აისახება აქტივებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსურ ანგარიშგებაში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

ფულად ერთეულებზე მოქმედი გაცვლითი კურსის სხვაობა მოგებაში ან ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2018	**31 დეკემბერი, 2017**
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი /1 ევრო	3.0701	3.1044

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროების მიხედვით. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, საწარმოთა გაერთიანების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყარო

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად, შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განსჯა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განსჯის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, ეხება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას. დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში - 2018 წლის 1 იანვრამდე

ხელმძღვანელობამ განიხილა ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 18,976,370 ათას ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში.

შეფასების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით და, ასევე, გათვლების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები საანგარიშო პერიოდის ბოლოს. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული დაშვებები და წყაროები გამოიწვევს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების აუცილებლობას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება ამორტიზებული ღირებულებით და მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისათვის ის სფეროა, რომელიც რთული მოდელებისა და მომავალი ეკონომიკური პირობებისა და კრედიტის ქცევის (მაგ. რამდენად სავარაუდოა, კლიენტმა განიცადოს დეფოლტი და რა შესაბამისი ზარალი მიადგება ბანკს) შესახებ მნიშვნელოვანი დაშვებების გამოყენებას მოითხოვს.

მსზ-ის შეფასების მოთხოვნების მისადაგებისას, ასევე, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის კრიტერიუმების დადგენა;
- მსზ-ის შეფასების მოდელებისა და დაშვებების შერჩევა;
- პროდუქტის/ბაზრის თითოეული ტიპისა და შესაბამისი მსზ-თვის საპროგნოზო სცენარების რაოდენობისა და ფარდობითი წონის დადგენა; და
- მსზ-ის შესაფასებლად მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფების შედგენა.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის სესხის გაუფასურების რეზერვები ისე დგება, რომ მოხდეს არა მხოლოდ უკვე გაწეული გაუფასურების ზარალის აღიარება სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში, არამედ, აგრეთვე, ის ზარალიც, რაც ბანკმა შეიძლება მომავალში მიიღოს.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების შეფასებისას, ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა როგორც წარსულში ზარალის გამოცდილებას, აგრეთვე, მომავალში პორტფელის ხარისხზე მაკროეკონომიკური სცენარების შეფასებულ ეფექტს. ეს მას საშუალებას აძლევს, ისეთი გარემოებები გაითვალისწინოს, რაც ისტორიულ მონაცემებში არ აისახება. ბანკი სესხების პორტფელს გაუფასურებაზე ამოწმებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა მთლიანმა სესხებმა და მათზე გაუფასურების დანაკარგის რეზერვმა შეადგინა 225,089,727 და 3,672,120 ლარი, შესაბამისად.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ბანკის ხელმძღვანელობა განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს თითოეული წლიური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან მიმართებაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე, აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთისა და ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების შეფასება

2018 წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომერციული ბანკები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე 2023 წლის 1 იანვრიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2023 წლის 1 იანვარს შედის ძალაში და მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა აქვს გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის, ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, 219,435 ლარი და 490,280 ლარი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის მიმდინარეობისას ბანკი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. თუ ამგვარი ტრანზაქციების მოქმედი ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს, ეფუძნება თუ არა ტრანზაქციის ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. ამისათვის დგინდება, თუ როგორ ხდება ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების შემთხვევაში და კეთდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 31-ე შენიშვნაში.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	14,611,716	12,306,040
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებთან	6,035,089	5,588,121
საკორესპონდენტო ანგარიშები სებ-ში	14,946,545	10,138,014
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**35,593,350**	**28,032,175**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები კლასიფიცირებულია, როგორც ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები.

7. სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში (`სებ~) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხას. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, სებ-ში განთავსებული ჰქონდეთ პროცენტიანი სავალდებულო რეზერვი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდულ თანხებზე. სებ-ში განთავსებული სავალდებულო რეზერვი პროცენტიანი ფინანსური აქტივია.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	14,814,367	18,221,518
სულ სავალდებულო რეზერვი სებ-ში	**14,814,367**	**18,221,518**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვი სებ-ში არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი.

8. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ვადიანი დეპოზიტები	987,500	979,602
სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ	**987,500**	**979,602**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიანი დეპოზიტები შეადგენდა 987,500 და 979,602 ლარს შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 987,500 და 979,602 ლარის ოდენობის ვადიანი ანაბარი გამოყენებული იქნა, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგროვილმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, ნული და ნული ლარი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ბანკების მიმართ არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადგენილი კონტრაგენტების რეიტინგებით.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	237,084,478	225,089,727
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(19,258,637)	(3,672,120)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**217,825,841**	**221,417,607**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დარგობრივი ანალიზი:		
სოფლის მეურნეობა	95,683,337	80,670,951
ვაჭრობა	63,380,157	64,240,172
მომსახურება	58,522,945	57,391,856
წარმოება	12,939,980	15,538,878
სამომხმარებლო	4,057,597	3,675,727
სხვა	2,500,462	3,572,143
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(19,258,637)	(3,672,120)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**217,825,841**	**221,417,607**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	მომსახურება	წარმოება	სოფლის მეურნეობა	სამომხმარებლო	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	17,295,559	15,338,651	4,369,473	7,157,921	413,408	445,635	**45,020,647**
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი	39,687,046	34,955,366	7,116,236	67,080,409	2,042,545	633,544	**151,515,146**
დეპოზიტებით უზრუნველყოფილი	28,436	170,072	46,895	-	-	365,562	**610,965**
სხვა უზრუნველყოფა	37,443	167,444	-	-	-	-	**204,887**
უზრუნველყოფის გარეშე	6,331,673	7,891,413	1,407,375	21,445,007	1,601,644	1,055,721	**39,732,833**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	63,380,157	58,522,946	12,939,979	95,683,337	4,057,597	2,500,462	**237,084,478**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(4,588,612)	(4,068,839)	(1,155,176)	(8,890,035)	(244,112)	(311,863)	**(19,258,637)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	58,791,545	54,454,107	11,784,803	86,793,302	3,813,485	2,188,599	**217,825,841**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	23,278,820	6,681,342	19,858,331	7,880,618	303,391	804,879	**58,807,381**
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი	34,211,247	52,147,971	28,652,832	6,173,643	1,685,523	1,016,482	**123,887,698**
დეპოზიტებით უზრუნველყოფილი	131,094	-	50,045	34,008	-	130,139	**345,286**
სხვა უზრუნველყოფა	65,098	14,258	264,155	246	-	-	**343,757**
უზრუნველყოფის გარეშე	6,553,913	21,827,381	8,566,494	1,450,361	1,686,813	1,620,643	**41,705,605**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	64,240,172	80,670,952	57,391,857	15,538,876	3,675,727	3,572,143	**225,089,727**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(808,023)	(1,850,163)	(219,823)	(638,880)	(69,758)	(85,473)	**(3,672,120)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**63,432,149**	**78,820,789**	**57,172,034**	**14,899,996**	**3,605,969**	**3,486,670**	**221,417,607**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ინდივიდუალური ექსპრეს სესხი	120,790,870	105,786,736
ინდივიდუალური სასოფლო სესხი	95,217,871	80,510,429
მცირე და საშუალო ზომის საწარმოს სესხი	14,282,394	32,271,009
სამომხმარებლო სესხი	5,275,364	5,255,856
თანამშრომელთა სესხი	1,056,326	1,105,176
აგრო-განვადება	461,653	160,521
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(19,258,637)	(3,672,120)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**217,825,841**	**221,417,607**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი (მთლიანი პორტფელის 100%) გაიცა რეზიდენტ ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა პირობები შეიცვალა, შეადგენდა, შესაბამისად, 9,799,829 და 8,909,089 ლარს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ნული და 4,842,000 ლარის ოდენობის კლიენტებზე გაცემული სესხები გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხების რეფინანსირებისათვის.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
ჯგუფურად გაუფასურებული სესხები							
- ვადაგადაუცილებელი	57,728,856	84,106,759	53,664,589	11,461,147	3,812,836	2,053,929	**212,828,116**
- 1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	983,291	2,457,767	1,508,706	334,719	31,702	107,774	**5,423,959**
- 31-60 დღემდე ვადაგადაცილებული	644,214	1,260,143	292,827	139,864	17,856	28,950	**2,383,854**
- 61-90 დღემდე ვადაგადაცილებული	302,230	764,224	156,559	66,600	9,990	12,356	**1,311,959**
- 91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	1,025,689	1,838,201	637,325	239,379	27,869	77,999	**3,846,462**
- 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	2,695,875	5,256,243	2,262,939	698,272	157,345	219,454	**11,290,128**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**63,380,155**	**95,683,337**	**58,522,945**	**12,939,981**	**4,057,598**	**2,500,462**	**237,084,478**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(4,588,612)	(8,890,035)	(4,068,839)	(1,155,176)	(244,112)	(311,863)	**(19,258,637)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**58,791,543**	**86,793,302**	**54,454,106**	**11,784,805**	**3,813,486**	**2,188,599**	**217,825,841**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
ჯგუფურად გაუფასურებული სესხები							
- ვადაგადაუცილებელი	61,973,018	76,483,291	55,555,241	14,819,412	3,574,727	3,408,231	**215,813,920**
- 1-30 დღემდე ვადაგადაცილებული	1,040,961	1,409,792	786,698	315,924	32,937	73,981	**3,660,293**
- 31-60 დღემდე ვადაგადაცილებული	295,764	737,374	275,582	167,822	23,718	16,748	**1,517,008**
- 61-90 დღემდე ვადაგადაცილებული	387,752	731,553	323,045	53,096	4,895	23,898	**1,524,239**
- 91-180 დღემდე ვადაგადაცილებული	416,670	1,141,187	386,871	128,201	39,451	45,516	**2,157,896**
- 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	126,007	167,754	64,419	54,424	-	3,767	**416,371**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**64,240,172**	**80,670,951**	**57,391,856**	**15,538,879**	**3,675,728**	**3,572,141**	**225,089,727**
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(808,023)	(1,850,163)	(638,880)	(219,823)	(69,758)	(85,473)	**(3,672,120)**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**63,432,149**	**78,820,788**	**56,752,976**	**15,319,056**	**3,605,970**	**3,486,668**	**221,417,607**

10. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	7.10%-7.36%	16,750,162	7.05%-7.33%	16,976,921
ფინანსთა სამინისტროს თამასუქები	9.05%	1,997,440	9.05%	1,999,449
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი	-	-	-	-
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი		(7,758)		-
სულ ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში		**18,739,844**		**18,976,370**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული რეფინანსირების სესხების უზრუნველსაყოფად შეტანილი იქნა, შესაბამისად, 18,739,844 და 18,976,370 ლარის ოდენობის ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალო ინსტრუმენტებში ინსვეტიციებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 74,441 და 74,106 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში, ლიკვიდობის ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკმა შეისყიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები და თამასუქები და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები.

11. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური (ვალდებულებები)/აქტივები

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები მოიცავს:

	პირობითი თანხა	31 დეკემბერი 2018	პირობითი თანხა	31 დეკემბერი 2017
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები:				
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	16,810,350	(750,750)	28,869,870	162,770
სულ მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური (ვალდებულებები)/აქტივები	**16,810,350**	**(750,750)**	**28,869,870**	**162,770**

წარმოებული ინსტრუმენტებით ვაჭრობის საქმიანობის უდიდესი წილი მოიცავს ბანკებთან სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს.

ბანკი სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს იყენებს მხოლოდ ღია საბალანსო სავალუტო პოზიციების ჰეჯირებისათვის. ამდენად, თუმცა ამ ფორვარდული კონტრატების რეალური ღირებულებები ძალზე მერყეობს, მათი დაბალანსება ხდება ღია საბალანსო სავალუტო პოზიციის გადაფასებით, რაც ფორვარდული კონტრაქტების სრული სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინების შედეგად იწვევს ფიქსირებული, წინასწარ ცნობილი ჰეჯირების ხარჯების წარმოშობას.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	ოჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	კომპიუტე-რული მოწყობილობები	ავეჯი და საოფისე მოწყობი-ლობები	ტრანს-პორტი	სხვა	სულ
თავდაპირველი ღირებულებით							
1 იანვარი, 2017	1,439,131	2,088,134	2,766,038	1,396,706	301,628	1,074,304	9,065,941
შესყიდვა	-	439,884	430,930	299,206	-	82,903	1,252,923
რეალიზაცია	-	(89,314)	(43,418)	(50,101)	(60,326)	(50,179)	(293,338)
31 დეკემბერი, 2017	1,439,131	2,438,704	3,153,550	1,645,811	241,302	1,107,028	10,025,526
შესყიდვა	6,831	165,256	2,078,906	175,764	-	51,381	2,478,138
რეალიზაცია	-	(87,392)	(158,928)	(63,342)	(60,325)	(89,529)	(459,516)
31 დეკემბერი, 2018	1,445,962	2,516,568	5,073,528	1,758,233	180,977	1,068,880	12,044,148
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
1 იანვარი, 2017	(83,782)	(902,328)	(2,178,652)	(892,853)	(301,628)	(668,350)	(5,027,593)
დარიცხული ცვეთა	(143,931)	(437,448)	(457,323)	(230,130)	-	(130,862)	(1,399,694)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	71,637	42,755	43,600	60,326	47,806	266,124
31 დეკემბერი, 2017	(227,713)	(1,268,139)	(2,593,220)	(1,079,383)	(241,302)	(751,406)	(6,161,163)
დარიცხული ცვეთა	(144,499)	(349,946)	(758,181)	(232,234)	-	(140,461)	(1,625,321)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	86,475	157,460	62,648	60,325	82,400	449,308
31 დეკემბერი, 2018	(372,212)	(1,531,610)	(3,193,941)	(1,248,969)	(180,977)	(809,467)	(7,337,176)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018	**1,073,750**	**984,958**	**1,879,587**	**509,264**	**-**	**259,413**	**4,706,972**
31 დეკემბერი, 2017	**1,211,418**	**1,170,565**	**560,330**	**566,428**	**-**	**355,622**	**3,864,363**

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისში წარმოდგენილი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე დარიცხულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაუფასურებულმა აქტივებმა შეადგინა, შესაბამისად 4,492,649 და 4,036,067 ლარი.

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სხვა ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები	1,752,340	596,484
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები	338,365	276,430
წინასწარ გადახდილი ქირა	7,200	22,250
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა	220,203	68,578
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	3,421	16,634
არამიმდინარე აქტივების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები	22,090	45,931
დასაკუთრებული აქტივები	114,503	204,604
სხვა	29,165	105,911
სულ სხვა აქტივები:	**2,487,287**	**1,336,822**

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები	სულ არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით		
1 იანვარი, 2017	4,666,042	4,666,042
დამატება	356,083	356,083
ჩამოწერა		
31 დეკემბერი, 2017	5,022,125	5,022,125
დამატება	286,276	286,276
31 დეკემბერი, 2018	5,308,401	5,308,401
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება		
1 იანვარი, 2017	(1,571,368)	(1,571,368)
დარიცხული ამორტიზაცია	(1,087,719)	(1,087,719)
31 დეკემბერი, 2017	(2,659,087)	(2,659,087)
დარიცხული ამორტიზაცია	(1,014,059)	(1,014,059)
31 დეკემბერი, 2018	(3,673,146)	(3,673,146)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი, 2018	**1,635,255**	**1,635,255**
31 დეკემბერი, 2017	**2,363,038**	**2,363,038**

15. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვადიანი დეპოზიტები	5,315,137	621,328
სებ-დან მიღებული მოკლევადიანი სესხები	790,000	23,003,871
სულ ბანკების დეპოზიტები	**6,105,137**	**23,625,199**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 315,137 და 14,319 ლარი.

16. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- შემნახველი დეპოზიტები	2,402,880	24,241
- ვადიანი დეპოზიტები	14,128,351	16,193,885
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	5,605,329	4,187,455
- შემნახველი ანაბრები	14,436,823	13,610,559
- ვადიანი დეპოზიტები	78,042,682	38,901,511
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	2,200,986	2,560,267
- შემნახველი დეპოზიტები	1,254,772	3,379,148
- ვადიანი დეპოზიტები	26,524,635	19,072,097
სულ კლიენტების დეპოზიტები	**144,596,458**	**97,929,163**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 2,575,768 და 1,639,547 ლარი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ვადიან და შემნახველ დეპოზიტებზე კლიენტებს სთავაზობდა შემდეგ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	მინ	მაქს	მინ	მაქს
GEL	5.5%	12.5%	5.5%	12.5%
USD	1%	4.5%	1%	5.5%
EUR	0.1%	3%	0.1%	3.5%

17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	დაფარვის ვადა თვე/წელი	წლიური კუპონის / საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარში დენომინირებული ობლიგაციები	01/06/2018	10.1%	-	20,141,138
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			**-**	**20,141,138**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალო ფასიან ქაღალდებში შესულმა დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა, შესაბამისად, ნული და 166,027 ლარი.

18. ნასესხები სახსრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი ნაწილი		სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	55,360,850	11,368,147	66,728,997
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	15,356,894	-	15,356,894
სამთავრობო დაწესებულებები	345,984	-	345,984
სულ ნასესხები სახსრები	**71,063,728**	**11,368,147**	**82,431,875**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი ნაწილი		სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	24,842,499	57,504,666	82,347,165
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	15,284,403	-	15,284,403
სამთავრობო დაწესებულებები	1,021,161	-	1,021,161
სულ ნასესხები სახსრები	**41,148,063**	**57,504,666**	**98,652,729**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხებ სახსრებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 1,647,576 და 1,297,533 ლარი.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არც ერთი შეთანხმება არ დაურღვევია.

19. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
ანგარიშსწორება სხვა ოპერაციებზე	405,915	388,311
პროფესიული მომსახურების ანაზღაურება	200,084	105,834
ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივისათვის გადასახდელი როიალტები	111,337	-
სხვა გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ	62,374	71,896
გადასახდელები დაქირავებული პირების მიმართ	4,438	9,266
	784,148	575,307
სხვა არასაფინანსო ვალდებულებები:		
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	92,337	112,816
სხვა	175,154	137,425
სულ სხვა ვალდებულებები	**1,051,639**	**825,548**

ყველა ზემოაღნიშნული ვალდებულება უნდა დაიფაროს წლის ბოლოდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში.

20. სუბორდინირებული სესხი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი ნაწილი		სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი	-	-	-
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,687,848	13,356,822	20,044,670
სულ სუბორდინირებული სესხი	**6,687,848**	**13,356,822**	**20,044,670**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი ნაწილი		სულ დაუფარავი ნაწილი
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი	-	5,850,874	5,850,874
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,701,646	-	6,701,646
სულ სუბორდინირებული სესხი	**6,701,646**	**5,850,874**	**12,552,520**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 324,967 და 398,380 ლარი.

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ ბანკის ვალდებულებების გადახდის შემდეგ.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ სუბორდინირებულ სესხთან დაკავშირებული კოვენანტები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს. ეს შეთანხმებები სესხის აქსელერაციას არ იწვევს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკს არ დაურღვევია არც ერთი კოვენანტი.

21. სააქციო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ავტორიზებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა, შესაბამისად, 2,914 და 2,297 ჩვეულებრივი აქციისაგან, თითოეული ნომინალური ღირებულებით 8,800 ლარის ოდენობით.

2018 წლის 29 მაისს, "FINCA Microfinance Cooperatif"-ისგან მიღებული 2,200,000 აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი, დარიცხული 1,516 აშშ დოლარის ჩათვლით, კონვერტირდა ბანკის 617 ჩვეულებრივ აქციად, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 8,800 ლარი. სუბორდინირებული სესხის კონვერტირება მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გამოცხადებული აქვს დივიდენდები 3,662,375 ლარის ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს დივიდენდები არ ჰქონდა გამოცხადებული.

22. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	60,567,708	58,066,085
მოთხოვნები ბანკების მიმართ	843,950	481,282
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	1,112,150	1,314,134
სულ საპროცენტო შემოსავალი	**62,523,808**	**59,861,501**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ხარჯი:		
სუბორდინირებული სესხი	(1,279,873)	(1,054,500)
აღებული სესხები	(10,582,907)	(8,955,010)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(880,321)	(2,070,693)
კლიენტების დეპოზიტები	(8,931,538)	(7,838,844)
ბანკების დეპოზიტები	(1,517,009)	(1,246,279)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(23,191,648)**	**(21,165,326)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**39,332,160**	**38,696,175**

23. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე შეადგენს:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სამომხმარებლო	სხვა	სულ
1 იანვარი, 2017	**998,234**	**2,128,524**	**829,203**	**260,425**	**9,107**	**27,324**	**4,252,817**
აღიარებული დამატებითი რეზერვები	815,041	2,090,515	763,163	28,897	93,269	55,337	3,846,222
აქტივების ჩამოწერა	(1,601,012)	(3,263,987)	(1,434,105)	(354,885)	(39,466)	(30,557)	(6,724,012)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	595,760	895,111	480,619	285,385	6,848	33,370	2,297,093
31 დეკემბერი, 2017	**808,023**	**1,850,163**	**638,880**	**219,822**	**69,758**	**85,474**	**3,672,120**
კორექტირება ფასს 9-ის პირველ გამოყენებაზე	4,044,910	6,402,345	3,581,430	1,263,122	66,721	58,545	15,417,073
აღიარებული დამატებითი რეზერვები	1,665,854	3,689,231	1,516,901	438,158	114,683	184,963	7,609,790
აქტივების ჩამოწერა	(1,930,176)	(3,051,704)	(1,668,372)	(765,926)	(7,050)	(17,118)	(7,440,346)
31 დეკემბერი, 2018	**4,588,611**	**8,890,035**	**4,068,839**	**1,155,176**	**244,112**	**311,864**	**19,258,637**

24. წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2018	2017
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	575,706	423,982
საკურსო სხვაობა, წმინდა	(243,750)	(1,224,944)
სულ წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	**331,956**	**(800,962)**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა საბალანსო ღია სავალუტო პოზიციას 17,061,300 და 29,032,640 ლარის ოდენობით, რომელიც ჰეჯირებული იყო სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებით. კონვერტაციის უარყოფითი სხვაობა ასახავს მხოლოდ საბალანსო ღია სავალუტო პოზიციის გადაფასებას.

25. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი შეადგენს:

	2018	2017
შემოსავალი ანგარიშსწორების ტრანზაქციებიდან	1,399,459	963,069
სხვა საკომისიო შემოსავალი	1,164,911	596,284
სულ საკომისიო შემოსავალი	**2,564,370**	**1,559,353**

26. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები შეადგენს:

	2018	2017
იურიდიული მომსახურების ანაზღაურება	490,658	496,959
მიღებული გრანტები	65,193	202,040
სხვა	338,116	60,460
სულ სხვა შემოსავლები	**893,967**	**759,459**

27. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეადგენს:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	14,662,553	14,368,997
ჯანმრთელობის დაზღვევა	573,806	547,332
თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	83,605	89,580
კორპორაციული მასპინძლობა და გართობა	13,749	1,921
სულ პერსონალის ხარჯები	**15,333,713**	**15,007,830**

28. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
საოპერაციო ოჯარა	3,859,434	4,186,807
პროფესიული მომსახურება	3,048,414	2,513,264
ხელმძღვანელობის მომსახურების ანაზღაურება	1,585,569	2,708,631
სარეკლამო ხარჯები	1,219,626	697,518
როიალტი	816,437	815,517
კომუნალური ხარჯები	686,081	599,057
იურიდიული მომსახურების ანაზღაურება	676,266	570,081
საკანცელარიო ხარჯები	513,339	430,563
კომუნიკაციის ხარჯები	426,063	390,594
წარმომადგენლობითი ხარჯები	350,014	73,871
საინკასაციო მომსახურების ხარჯები	303,254	336,705
საწვავის ხარჯები	302,523	267,895
მივლინების ხარჯები	282,992	268,579
დაცვის ხარჯები	222,401	247,413
დეპოზიტის დაზღვევის ხარჯები	136,351	100,000
ფოსტისა და კურიერის მომსახურება	114,741	125,168
ძირითადი საშუალებების რემონტი	102,488	91,152
ტრენინგები	84,776	83,444
დაზღვევის ხარჯები	78,714	69,115
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	69,595	74,846
საწევრო გადასახადები	37,352	37,817
სამუშაოზე დაქირავების ხარჯები	23,830	7,730
საბროკერო ხარჯები	-	33,303
სხვა ხარჯები	333,120	172,174
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**15,273,380**	**14,901,244**

2011 წლის 18 ნოემბერს FINCA Microfinance Cooperatief U.A ("FMC") და ს.ს. "ფინკა ბანკ საქართველოს" შორის ხელმოწერილი ინტელექტუალური ქონების ლიცენზირების ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკი მეორე მხარეს გადაუხდის როიალტის მთელ სამომავლო საპროცენტო შემოსავალზე. 2013 წლის 6 აგვისტოს როიალტის დაანგარიშების მეთოდი შეიცვალა და დადგინდა საოპერაციო შემოსავლის შემდეგი წილების დონეზე: 0%, 1.5%, 2% და 3%, შესაბამისად, თუ საოპერაციო შემოსავალი ნაკლებია 500,000 აშშ დოლარზე, მერყეობს 500,000 და 1,000,000 აშშ დოლარს შორის, მერყეობს 1,000,000 და 2,500,000 აშშ დოლარის ფარგლებში და აღემატება 2,500,000 აშშ დოლარს.

29. მოგების გადასახადი

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისგან. იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება, როგორც დაუბეგრავი, ბანკს უჩნდება გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან/ვადებთან და, ასევე, გარკვეული სახის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით. მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე (განსაზღვრების მიხედვით).

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები) შეადგენს:

	2018	2017
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები), რომლებიც წარმოიშვა შემდეგთან დაკავშირებით:		
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები	59,945	232,024
კლიენტებზე გაცემული სესხები	230,763	(408,579)
ნასესხები სახსრები	(71,273)	(81,701)
წმინდა გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	219,435	(258,256)
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარების გარეშე	-	(232,024)
წმინდა გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	**219,435**	**(490,280)**

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	295,098	4,072,265
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	44,265	610,840
წინა წლების მიმდინარე გადასახადთან დაკავშირებით მიმდინარე წელს აღიარებული შესწორება	(21,663)	28,682
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	(213,916)	(34,852)
ცვლილება უღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში	(232,024)	(56,642)
მოგების გადასახადის ხარჯი	**(423,338)**	**548,028**
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	17,675	-
კორექტირება 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლის გამო	268,702	
გადავადებული საგადასახადო ხარჯი/(სარგებელი)	(709,715)	548,028
მოგების გადასახადის ხარჯი	**(423,338)**	**548,028**

გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	**2018**	**2017**
1 იანვარი - გადავადებული საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივი	(490,280)	57,748
გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთის მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	709,715	(548,028)
31 დეკემბერი - გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი	**219,435**	**(490,280)**

30. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს არასაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე ზარალის რეზერვი.

კაპიტალური ვალდებულებები – 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა არსებითი ოდენობის კაპიტალური ვალდებულებები.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – ს.ს. "ფინკა ბანკ საქართველოს" საოპერაციო იჯარით აღებული აქვს რამდენიმე ოფისი. იჯარა ჩვეულებრივ 3-5 წელი გრძელდება და ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელების საშუალებას ითვალისწინებს. საიჯარო გადახდები ყოველ 2-3 წელიწადში იზრდება საბაზრო ფასების პარალელურად. ზოგ შეთანხმებაში გათვალისწინებულია იჯარის დამატებითი გადახდები, რომლებიც ადგილობრივი ფასების ინდექსის ცვლილებას ეფუძნება.

ქვემოთ მოცემულია სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები დაქირავებული ოფისების საოპერაციო იჯარის ისეთი ხელშეკრულებებით, რომელთა გაუქმება შეუძლებელია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 წელზე ნაკლები	3,540,758	3,491,108
1 წლის შემდეგ, არა უგვიანეს 5 წლისა	9,672,238	11,137,980
5 წელზე მეტი	1,050,084	1,220,290
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები	**14,263,080**	**15,849,378**

სასამართლო დავები – ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და ამგვარად ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესაბამისი ზარალის რეზერვს.

გადასახადები –საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე, არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ საქმიანობისას სადავო დასკვნების გაკეთების საშიშროება. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ბანკის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

2014 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც სატრანსფერო ფასწარმოქმნას არეგულირებს. შემოვიდა ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები დააკისროს გარკვეულ ტრანზაქციებს, მათ შორის, გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ, მათი აზრით, ტრანზაქციის ფასი საბაზრო ფასს არ შეესაბამება. 2017 და 2018 საანგარიშო წლებში სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების შესაძლო ზემოქმედების შესასწავლად, ბანკმა დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტები დაიქირავა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო დასკვნა ჯერ არ მომზადებულა, ბანკის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციებზე აღნიშნული ცვლილების ზეგავლენა 2017 და 2018 საანგარიშო წლებისთვის შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შექმნასა და გარიგებების საბაზრო ფასის დადგენაში, ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხების და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის და რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების უფრო ნაკლებად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გადასახადის ყველა თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი პრინციპები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარების მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და მონეტარულ ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2017 და 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 "განმარტებები დაკავშირებულ მხარეების შესახებ" მიხედვით, დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებულია, როგორც:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით აკონტროლებენ ბანკს ან კონტროლდებიან მისი მხრიდან ან მასთან ერთად იმყოფებიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებლებს, შვილობილ კომპანიებს და იმავე დამფუძნებლის შვილობილ სტრუქტურებს); ბანკში გააჩნიათ წილი, რაც მათ ანიჭებს ბანკზე მნიშვნელოვან ზეგავლენას; და ახორციელებენ ბანკზე ერთობლივ კონტროლს;
ბ) ბანკის ან მისი დამფუძნებლის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები;
გ) ა) ან ბ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის ოჯახის წევრი;
დ) მხარეები, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან ექვემდებარება მნიშვნელოვან ზეგავლენას ბ) ან გ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის მხრიდან, პირდაპირ ან ირიბად, ან რომელშიც ასეთი პირი ხმათა უფლებების მნიშვნელოვან წილს ფლობს.

თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან არსებული ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის ხასიათს, არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ინფორმაცია ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებათა შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სუბორდინირებული სესხი	-	-	5,850,874	12,552,520
- დამფუძნებელი	-		5,850,874	
სხვა ვალდებულებები	173,711	1,051,639	71,896	825,547
- დამფუძნებელი	111,337		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	62,374		71,896	
კლიენტების დეპოზიტები	1,114,824	144,596,458	1,302,031	97,929,163
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	74,762		228,255	
- უმაღლეს ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პირი	25,252		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	1,014,810		1,073,776	

ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება	1,474,048	15,333,713	1,135,261	15,007,830
სულ	**1,474,048**	**15,333,713**	**1,135,261**	**15,007,830**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო ხარჯები	238,120	23,191,648	444,936	21,165,326
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	988		659	
- დამფუძნებელი	198,587		335,001	
- უმაღლეს ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირი	1,275		-	
- კომპანიაზე ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პირები	37,270		109,276	
სხვა საოპერაციო ხარჯები	3,087,425	15,273,380	4,247,764	14,901,244
- დამფუძნებელი	2,402,006		3,524,148	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	685,419		723,616	
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	-		-	

32. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

განმარტება ფინანსური ინსტრუმენტების დადგენილი რეალური ღირებულების თაობაზე კეთდება ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება" და ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა". ფასს რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც თანხას, რომელსაც ორგანიზაცია მიიღებდა აქტივის გაყიდვის დროს ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად გაზომვის დღეს.

ბანკი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას ადგენს სხვადასხვა სახის საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, თუ ასეთი არსებობს, და შეფასების სათანადო მეთოდოლოგიის საშუალებით. თუმცა, სავარაუდო რეალური ღირებულების დასადგენად საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისათვის შეფასებების გაკეთება აუცილებელია. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთ მახასიათებელს. ეკონომიკური პირობები ჯერ კიდევ ზღუდავს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობას. შეიძლება ბაზრის კოტირებები მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ტრანსაქციებს, რაც ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას რეალურად არ ასახავს. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრისას მთელი ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა რეალური ღირებულება უახლოვდება საბალანსო ღირებულებას

ფული და ფულის ექვივალენტები - ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც მიმდინარე რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში - სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

მოთხოვნები ბანკების მიმართ - ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთები მოიცავს "ფინკა ბანკ საქართველოს" მიერ წლის ბოლოს ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აისახება, მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ბანკების დეპოზიტები - ბანკების დეპოზიტები მოიცავს „ფინკა ბანკ საქართველოში" წლის ბოლოს ადგილობრივი ბანკების მიერ განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აისახება, მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებითა და გადასახდელებით, ამდენად, ჩაითვალა, რომ მათი საბალანსო ღირებულება რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოვებული გონივრულ ფარგლებში.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით რეგულარულად არ იზომება (მაგრამ რეალური ღირებულების ჩვენება აუცილებელია)

კლიენტებზე გაცემული სესხები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომლებიც, ბანკის ვარაუდით, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია ვალუტაზე, ვადიანობაზე, ასევე კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში - სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულება დგინდება შეფასების საყოველთაოდ გავრცელებული მოდელების საფუძველზე და ეფუძნება მსგავს ინსტრუმენტებზე არსებული მიმდინარე საბაზრო ტრანსაქციების გამოყენებით გაანგარიშებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

კლიენტების დეპოზიტები - მოკლევადიანი დეპოზიტების შემთხვევაში ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და უვადო მიმდინარე ანგარიშებზე. კლიენტების გრძელვადიანი დეპოზიტების რეალური ღირებულება განისაზღვრა მსგავსი რისკისა და ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე. დისკონტირებული განაკვეთები შეესაბამება ბანკის საკრედიტო რისკს და აგრეთვე დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და დაფარვის ვადაზე.

აღებული სესხები, სავალო ფასიანი ქაღალდები და სუბორდინირებული სესხი - სუბორდინირებული სესხის, სავალო ფასიანი ქაღალდებისა და აღებული სესხების რეალური ღირებულება დგინდება ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით გაანგარიშებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე შედგენილი საყოველთაოდ გავრცელებული შეფასების მოდელებით. ცვლადი განაკვეთით ნასესხები სახსრების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფიქსირებული განაკვეთი შეიძლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთად ჩაითვალოს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოყვანილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი შესაბამისი საბალანსო ღირებულება. ხელმძღვანელობის აზრით, აქ აღწერილის გარდა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული:

	რეალური ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
		საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	217,825,841	224,588,394	221,417,607	216,735,359
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	მე-2 დონე	18,739,844	18,673,390	18,976,370	19,010,963
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	144,596,458	144,817,517	97,929,163	98,268,072
ბანკების დეპოზიტები	მე-3 დონე	6,105,137	6,105,137	23,625,199	23,625,199
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	მე-3 დონე	-	-	20,141,138	19,948,322
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	82,431,875	82,682,245	98,652,729	99,627,577
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	20,044,670	20,159,267	12,552,520	12,612,571

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით რეგულარულად იზომება

ბანკის ზოგიერთი ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებით იზომება. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, როგორ განისაზღვრება მათი რეალური ღირებულება, კერძოდ, შეფასების ტექნიკასა და გამოყენებულ მონაცემებს:

	რეალური ღირებულება					
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების ტექნიკა და მონაცემები	მნიშვნელოვანი მონაცემები დაკვირვების გარეთ	მათი კავშირი რეალურ ღირებულებასთან
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	162,770	მე-2 დონე	სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობა ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის საფუძველზე (საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაკვირვებადი ფორვარდული გაცვლითი კურსიდან) და საკონტრაქტო ფორვარდული კურსის გამოყენებით.	N/A	N/A
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	750,750	-	მე-2 დონე	სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობა ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის საფუძველზე (საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაკვირვებადი ფორვარდული გაცვლითი კურსიდან) და საკონტრაქტო ფორვარდული კურსის გამოყენებით.	N/A	N/A

33. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება.

კაპიტალის მართვის პროცესში ბანკი იყენებს კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცესს, რომელიც მოიცავს კაპიტალის შეფასებას საქმიანობის გარემოს, ზრდისა და სტრატეგიულ/საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში.

შიდა პროცესი იძლევა რისკის პროფილის პოტენციური ცვლილებების შეფასების საშუალებას და, შესაბამისად, ადგენს სამომავლოდ აუცილებელ გადახდისუნარიანობის დონეს. პროცესის შედეგად მიღებული მონაცემები კაპიტალის გეგმაში გამოიყენება. კაპიტალის გეგმა აისახება ბანკის 5-წლიანი ფინანსური პროგნოზირებისათვის. გარდა ამისა, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აფასებს და იძლევა რეკომენდაციებს კაპიტალის სტრუქტურის თაობაზე და მართავს კაპიტალის ადეკვატურობას რისკის მართვის პროცესების ფარგლებში.

კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცესი გულისხმობს იმ ეკონომიკური კაპიტალის შეფასებას, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის ზომას, რაც ბანკს მოულოდნელი ზარალის სალიკვიდაციოდ დასჭირდება. ამ კონტექსტში ბანკის ეკონომიკური კაპიტალი გამიზნულია ზარალის ასანაზღაურებლად ერთწლიან პერიოდში 99%-იანი დონით. ბანკი ეკონომიკურ კაპიტალს ანგარიშობს საკრედიტო, საბაზრო (მათ შორის, არასაბირჟო საპროცენტო განაკვეთის), საოპერაციო და რეპუტაციის რისკებთან მიმართებაში. ბანკი ეკონომიკური კაპიტალის დათვლის მეთოდოლოგიას რეგულარულად აუმჯობესებს და შედეგებს გარე მაჩვენებლებს უსადაგებს.

“ფინკა მაიკროფაინანს ჰოლდინგის” “კაპიტალის ბაზრის ჯგუფი” ხელს უწყობს ფინანსების კომერციული წყაროების (სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები) მოძიებას ფინკას ქსელისათვის და/ან ცალკეული შვილობილი კომპანიებისათვის.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის ზედამხედველობის პროცესში დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად. დგება ანგარიშები, რომლებშიც მიმოხილულია მათი გამოთვლის პროცესი. ანგარიშებს ამოწმებენ და ხელს აწერენ ბანკის გენერალური დირექტორი და ფინანსური მენეჯერი. შემდეგ ისინი გადაიგზავნება სებ-ში. კაპიტალის მართვის დანარჩენი ამოცანები მუდმივად ფასდება.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით, არსებული კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან:

ა) ფლობდნენ სააქციო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით:

1. 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2. 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
3. 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების მარეგულირებელი კაპიტალის კოეფიციენტი და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების („საწესდებო კაპიტალის კოეფიციენტი“) მინიმალური ფარდობა:

- ჩვეულებრივი აქციების პირველადი კაპიტალის ფარდობა რისკზე შეწონილ აქტივებთან 4.5% ან მეტი;
- პირველადი კაპიტალის ფარდობა რისკზე შეწონილ აქტივებთან 6% ან მეტი;
- მარეგულირებელი კაპიტალის ფარდობა რისკზე შეწონილ აქტივებთან 8% ან მეტი.

ამ მინიმალური მოთხოვნის გარდა, ბანკმა უნდა შეინარჩუნოს კონსერვაციის ბუფერი - 2.5% და სხვა რისკის ბუფერები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2018 წლის დეკემბრისათვის არსებულ კაპიტალის მოთხოვნებსა და რეალურ ლიმიტებს:

	მოთხოვნილი ლიმიტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კოეფიციენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნილი ლიმიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კოეფიციენტები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ჩვეულებრივი აქციების პირველადი კაპიტალი	8.10%	14.69%	7.61%	12.75%
პირველადი კაპიტალი	9.97%	14.69%	9.31%	12.75%
მარეგულირებელი კაპიტალი	16.57%	20.64%	11.58%	15.83%

ბანკის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საკუთარ კაპიტალს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რაც კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაშია ნაჩვენები.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის რესურსები სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად:

	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
სააქციო კაპიტალი	25,643,200	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება	15,182,683	15,970,272
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(1,635,255)	(2,363,038)
პირველადი კაპიტალი	39,190,628	33,820,834
ზოგადი რეზერვები (არა უმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა)	2,502,528	2,477,667
სუბორდინირებული სესხები (არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50%-ისა)	13,383,000	5,702,840
მეორადი კაპიტალი	15,885,528	8,180,507
სულ მარეგულირებელი კაპიტალი	**55,076,156**	**42,001,341**
რისკზე შეწონილი აქტივები	**266,788,410**	**265,267,661**
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14,69%	12.75%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.64%	15.83%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის, მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალის გამოთვლაში შეიტანა მიღებული სუბორდინირებული სესხი, არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50%-ისა. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ამ სესხის გადახდა მოხდება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

34. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა ფუნდამენტურ როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს

- საოპერაციო რისკს
- კონცენტრაციის რისკს
- რეპუტაციის რისკს
- სხვა რისკებს

რისკის მართვის პრინციპები

ბანკი აღიარებს, რომ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია რისკის მართვის ქმედითი და ეფექტური მართვის პროცესების არსებობა. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის ჩარჩო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

ბანკის რისკის მართვის ამოცანებისა და პოლიტიკის დადგენაზე ზოგადად ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ფუნქციების გარკვეული და ძირითადი ნაწილი ამ ორგანოშია შენარჩუნებული, ამოცანებისა და პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პროცესების შემუშავება-წარმართვის უფლებამოსილება სხვა ორგანოებზეა დელეგირებული.

ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანაა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზანია რისკების მაქსიმალურად შეზღუდვა ბანკის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის შეზღუდვის გარეშე. რისკის მართვის სქემის საშუალებით ბანკი მართავს ზემოთ აღნიშნულ რისკებს,

რისკის მართვის პრინციპები აერთიანებს ინსტრუმენტებს, ზომებს, რესურსებსა და სისტემებს, რომელთა ერთობლივი მიზანი რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვაა.

ხელმძღვანელობის დონის რისკების კომიტეტი ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს რისკის მართვის პროცესს, პრინციპებს, რისკის აპეტიტსა და რისკის მართვის პოლიტიკას.

ბანკის რისკის მართვისა და ზედამხედველობის პროცესში ცენტრალური როლი უკავია რისკის კულტურას. რისკის კულტურა განიმარტება, როგორც ხელმძღვანელობის მხრიდან მომავალი აქცენტები. იგი წარმოადგენს ბანკის რისკის სტრატეგიის, რისკისადმი მიდრეკილობის ანგარიშისა და ყოველდღიური პროცესების განუყოფელ ნაწილს. რისკის მართვის საქმის წარმოება ხდება სამხაზოვანი დაცვითი მოდელის საშუალებით. რისკის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები იყოფა შემდეგი ხაზების - ბიზნესი, რისკის მართვა და შიდა აუდიტი - მიხედვით.

რისკის მართვის სტრატეგია და რისკის აპეტიტი

რისკის მართვის სტრატეგია და რისკის აპეტიტი არის მაჩვენებლები, რომლებსაც განსაზღვრავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო ბანკის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. მათი მიზანია რისკის, კაპიტალისა და მომგებიანობის შესაბამისობაში მოყვანა ბანკის სამიზნე მაჩვენებლებთან.

ბანკის ამჟამინდელი ხედვიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს: ჩამოყალიბდეს გლობალურ ქსელად, რომელიც კოლექტიურად მოემსახურება მომგებიანობისა და მდგრადობის კომერციულ პრინციპებზე მომუშავე დაბალშემოსავლიან მეწარმეებს, რისკის მართვის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება რისკზე კორექტირებული მომგებიანობის უზრუნველყოფით;
- ბანკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა რისკის ანალიზის, გაზომვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის განხორციელების გზით;

ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და ყველა თანამშრომელი ბანკის რისკის სტრატეგიის პრინციპების ერთგულია და ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსაც რისკი/სარგებლის მიდგომის მიხედვით იღებს.

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკის ძირითად საქმიანობას მიკროსესხების გაცემა წარმოადგენს. ამით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკების გამოვლენისა და ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდს იყენებს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა დგინდება კრედიტების გაცემის სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე, მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით.

ბანკი კვლავაც საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩართული (ვაჭრობის, წარმოების, სოფლის მეურნეობისა და სხვათა ჩათვლით) დაბალშემოსავლიანი მეწარმეებისათვის მიკრო-კრედიტის მიწოდებაზე კონცენტრირდება. მან, აგრეთვე, გააფართოვა კრედიტები და მოიცვა მცირე და საშუალო საწარმოები ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ბანკის სასესხო პროდუქტები ინდივიდუალური სესხებითაა წარმოდგენილი. სადაც ეს შესაძლებელია და, ასეც ხდება სესხების უმეტესობის შემთხვევაში, ბანკი იღებს გარანტიას ან/და უზრუნველყოფას. თუმცა, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საცალო სესხებს, სადაც ამგვარი საშუალებების მოპოვება შეუძლებელია. ასეთ დროს აპლიკანტის თანხმობით, საკრედიტო ბიუროში მოწმდება მისი საკრედიტო ისტორია.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც მოვალეა, გაანალიზოს სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაცია. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე ან შეცვალოს სესხის პირობები, რესტრუქტურიზაციის ჩათვლით.

საკრედიტო კომიტეტების დონე, სესხის ოდენობის მიხედვით, სხვადასხვაა. არსებობს სესხის დამტკიცების ალტერნატიული მეთოდი, რომელიც მცირე ოდენობის სესხებისათვის საკრედიტო ბიუროების საკრედიტო რეიტინგებს ეფუძნება (5,000 ლარზე ან 3,000 აშშ დოლარზე ნაკლები სესხებისთვის). საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების მიღება სრულად კომპიუტერიზებულია. გადაწყვეტილების მიღების ფარგლებს მმართველობითი ინფორმაციის სისტემა ავტომატურად აკონტროლებს წინასწარ განსაზღვრული წვდომის დონეების მიხედვით.

„ფინკა ბანკი საქართველო“ ბანკად გარდაქმნის შემდეგ კვლავაც ძალზე გონივრულ საკრედიტო პოლიტიკას აწარმოებს. შიდა კონტროლის დანაყოფი რეგულარულად ამოწმებს საკრედიტო ანალიზის ხარისხს. ყველა საკრედიტო ღონისძიება გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებაზეა მიმართული, რათა ამით ბანკმა სტაბილურ მომგებიანობას მიაღწიოს და გრძელვადიანი სტაბილურობისათვის საფრთხის შემქმნელი დაკრედიტება აიცილოს თავიდან.

ბანკი მის მიერ გაწეული საკრედიტო რისკის დონეებად ორგანიზებას ეწევა ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფთან ან საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ოდენობაზე შესაბამისი ლიმიტების დაწესებით. ბანკი ყურადღებით აკონტროლებს საკრედიტო პორტფელის ცვლილებას. საკრედიტო რისკის შესაფასებლად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს, სებ-ის მიერ მოწოდებული პარამეტრების საფუძველზე. ის მოიცავს ორივეს პირდაპირ საკრედიტო რისკს და ვალუტით გამოწვეულ საკრედიტო რისკს.

სტრეს-ტესტის შედეგი უჩვენებს, რომ ბანკი, ეკონომიკური დაღმავლობის პირობებში, გამძლეობის მაღალ ხარისხს შეინარჩუნებს. ამასვე ადასტურებს კრიზისთან წარმატებით გამკლავების გამოცდილება.

პორტფელის კონცენტრაცია ინდივიდუალურ მსესხებელთა დონეზე ძალზე შეზღუდულია პორტფელის გრანულარულობის გამო. ხოლო სექტორული კონცენტრაცია უფრო აქტუალური პრობლემაა, რადგან პორტფელი სულ რამდენიმე სექტორშია კონცენტრირებული. ეს რისკი გათვალისწინებული იქნა კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცესში მეორე რიგის კაპიტალის გაანგარიშების დროს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა

ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ცვალებადია და განპირობებულია როგორც ინდივიდუალური რისკებით, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებითაც. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო ფინანსური აქტივების მაქსიმალურ საკრედიტო რისკდამოკიდებულებას. ბალანსის უწყისში ასახული ფინანსური აქტივების მაქსიმალური რისკდამოკიდებულება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე ან უზრუნველყოფამდე. პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა, საპასუხო მოთხოვნები ან გარანტია გაუფასურდა და პირობითი ვალდებულებება ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების საკონტრაქტო ღირებულებით.

	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება
2018 წლის 31 დეკემბერი	
ფული და ფულის ექვივალენტები	20,981,634
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	14,814,367
მოთხოვნები ბანკების მიმართ	987,500
კლიენტებზე გაცემული სესხები	217,825,841
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,739,844
სხვა ფინანსური აქტივები	1,752,340
2017 წლის 31 დეკემბერი	
ფული და ფულის ექვივალენტები	15,726,135
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	18,221,518
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,417,607
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,976,370
სხვა ფინანსური აქტივები	596,484

<u>არასაბალანსო რისკი</u>

არასაბალანსო რისკების სამართავად გამოიყენება რისკის მართვის არსებითად ისეთივე პოლიტიკა, როგორიც საბალანსო რისკების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკის გაზომვა

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ბანკის საკრედიტო რისკს "დეფოლტის ალბათობით" ("PD"), "დეფოლტის რისკის პოზიციით ("EAD") და "დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით" ("LGD"). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ფასს 9-ის შესაბამისად, ბანკში გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკის მატარებელი თავდაპირველი შეფასებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე და მისი საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს.
- თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (სრმზ) გამოვლენის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 ეტაპზე, მაგრამ საკრედიტო რისკის მატარებლად ჯერ არ ითვლება.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკის მქონეა, ის შემდეგ გადადის მე-3 ეტაპზე.
- 1-ელი ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეზომება არსებობის მანძილზე იმ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, რომლებიც მომდევნო 12 თვეში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით იქნება გამოწვეული. მე-2 და მე-3 ეტაპის ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ზარალის საფუძველზე.
- ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვის საზოგადო კონცეფციის შესაბამისად, საპროგნოზო ინფორმაცია მხედველობაში არ მიიღება.
- საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები ის ფინანსური აქტივებია, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას უკვე საკრედიტო რისკის მატარებელია. მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის არსებობის მანძილზე იზომება (მე-3 ეტაპი).

<u>საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა</u>

იმის დადგენისას, მნიშვნელოვნად ხომ არ გაიზარდა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის რისკი საწყისი აღიარებისას, ბანკი აფასებს დიდი ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ დასაბუთებულ ინფორმაციას. აღნიშნული მოიცავს როგორც რაოდენობრივ, აგრეთვე ხარისხობრივ ინფორმაციასა და ანალიზს ბანკის ისტორიულ გამოცდილებასა და ექსპერტთა საკრედიტო შეფასებაზე დაყრდნობით, მათ შორის, პროსპექტიულ ინფორმაციას. შეფასების მიზანია, იმის დადგენა, ხომ არ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა რომელიმე რისკგამოვლინებაში შემდეგი ინფორმაციის შედარებით:

- დარჩენილი ვადის დეფოლტის რისკი საანგარიშგებო თარიღში; შემდეგთან
- რისკგამოვლინების საწყისი აღიარებისას შეფასებული დარჩენილი ვადის დეფოლტის რისკი დროის მოცემული მომენტისათვის (წინასწარი გადახდის პროგნოზებში ცვლილებებით კორექტირების საფუძველზე).

<u>საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოიყენება სამი კრიტერიუმი:</u>

- რაოდენობრივი ტესტი დეფოლტის ალბათობის ცვლილების საფუძველზე;
- გადახდების გადავადების სტატუსი; და
- 30 დღიანი ვადაგადაცილების ბარიერი.

“გადახდის გადავადება” დგება რესტრუქტურიზაციის ანუ პროცენტის ან ძირი თანხის გადახდის პირობების გახანგრძლივებისას, თუ ეს მოხდა მსესხებლის ფინანსური პირობების ისეთი გაუარესების შედეგად, რის დროსაც სესხის წარმოშობის ან სესხის გადახდის ცვლილების მოთხოვნის მომენტში მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა ამჟამინდელისგან განსხვავდება. რესტრუქტურიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკის შესაბამისი განყოფილება საკმაოდ დარწმუნებულია, რომ მსესხებელი შეძლებს გადახდების განახლებული გრაფიკის დაკმაყოფილებას.

საწყისი აღიარებისას და შემდგომ საანგარიშგებო თარიღებში დეფოლტის ალბათობის საფუძვლად აიღება რამდენიმე ეკონომიკური სცენარი. თითოეული მათგანი სხვადასხვა დეფოლტის ალბათობას იძლევა. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი დეფოლტის ალბათობა, რომელიც ამ სხვადასხვა სცენარის შეწონვით მიიღება. საპროგნოზო ინფორმაცია მოიცავს

ეკონომიკური ექსპერტებისგან, ფინანსური ანალიტიკოსებისგან, სახელისუფლებო ორგანოებიდან, ანალიტიკური ცენტრებიდან და სხვა მსგავსი ორგანიზაციებიდან მიღებულ საპროგნოზო ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკის შესახებ, აგრეთვე რეალური და საპროგნოზო ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროს ანალიზით.

დეფოლტის განსაზღვრება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებელი, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

შემდეგ დიაგრამაში შეჯამებულია გაუფასურების მოთხოვნები ფასს 9-ის მიხედვით (გარდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივებისა):

1-ელი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(კრედიტგაუარესებული აქტივები)
12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე

მე-2 ეტაპზე გადატანამდე, მე-3 ეტაპის კრედიტგაუარესებული აქტივები გადის 6 თვიან საცდელ პერიოდს კონტრაქტის მსხვილი საკრედიტო ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

ჩამოწერა

როდესაც ისტორიული ამოღების ანალიზი უჩვენებს, რომ კომპანია აღარ უნდა ელოდოს დიდი თახების დამატებით ამოღებას დეფოლტიდან რამდენიმე თვის შემდეგ , კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს სესხების ჩამოწერას კოლექტიურად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი და ამჟამად აღსრულების მოლოდინში მყოფი ფინანსური აქტივების დასაფარი ნაწილი შეადგენდა 7,440,346 ლარს.

საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლებით დაჯგუფება

დეფოლტის ალბათობის გამოთვლის მიზნით, ფინანსური აქტივები იყოფა ორ სეგმენტად:

- მცირე (2,000 აშშ დოლარამდე სესხები);
- მსხვილი (2,000 აშშ დოლარის ზემოთ სესხები).

ზემოთ მოცემულ სეგმენტებში ასახულია კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების დონე, რის შედეგადაც მსხვილი სესხების სეგმენტი უფრო მკაცრად ფასდება. სიმკაცრის ინდიკატორია ისტორიული დეფოლტის განაკვეთი, რაც იწვევს სეგმენტებს შორის დეფოლტის განაკვეთების მაქსიმუმამდე გაზრდას.

რეიტინგის მოდელი

თითოეული სეგმენტის შიდა რეიტინგის მისაღებად გამოიყენება ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია (პროდუქტის ჯგუფები, დარგები, ა.შ.). ამრიგად იქმნება რისკის მსგავსი მახასიათებლების ჯგუფები, რომლებიც შემდგომში სეგმენტის დეფოლტის ალბათობის მრუდის კორექტირებისათვის გამოიყენება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკის აზრით, ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, თუ საანგარიშგებო დღეს დარჩენილი არსებობის მანძილზე მსზ 50%-ით გაიზარდა რისკგამოვლენის პირველად აღიარებისას, საანგარიშგებო თარიღისათვის მოსალოდნელი დარჩენილი არსებობის მანძილზე ზარალთან შედარებით.

მსზ-ის შეფასება

მსზ-ის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ცვლადების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელებისა და სხვა ისტორიულ მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით.

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობა არის იმის ალბათობა, რომ მსესხებელი ფინანსურ ვალდებულებაზე განიცდის დეფოლტს (ზემოთ აღწერილი „დეფოლტისა და კრედიტგაუარესებულის განსაზღვრების" მიხედვით) შემდეგი 12 თვის (12 თვიანი PD) ან ვალდებულების დარჩენილი არსებობის მანძილზე (დეფოლტის ალბათობა არსებობის მანძილზე).

დეფოლტის ალბათობა არსებობის მანძილზე მიიღება მიმდინარე 12 თვიან PD-ზე ვადიანობის პროფილის გამოყენებით. ვადიანობის პროფილი ბანკს უჩვენებს, თუ როგორ ხდება პორტფელიდან დეფოლტების განვითარება საწყისი აღიარების მომენტიდან სესხების არსებობის მანძილზე. ის ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს. ითვლება, რომ იგი ერთნაირია პორტფელსა და საკრედიტო რეიტინგის ჯგუფში შემავალ ყველა აქტივზე. ამას ისტორიული ანალიზიც ადასტურებს.

დეფოლტის ალბათობა მოდელირდება სანდოობის ფუნქციით, რომელიც საფრთხის დონეს ეფუძნება.

საფრთხის დონე მიიღება კოქსის პროპორციული საფრთხეების მოდელით, რომელიც ნახევრად პარამეტრული მოდელია და კოვარიანტების ეფექტისათვის მარტივი ფორმის დაშვებას იყენებს. თავისუფალი პარამეტრების ზუსტი მნიშვნელობა გამოითვლება ნაწილობრივი ალბათობით. საბაზისო ხაზი მიიღება არაპარამეტრული მეთოდებით. საფრთხეების ფუნქციაში შეიძლება პირდაპირ იქნას შეტანილი მაკროეკონომიკური ფაქტორები დროზე დამოკიდებული ცვლადით. საფრთხის მიღებული დონიდან მიიღება დეფოლტის ალბათობა დროის მომენტში, ანუ შესაბამის თარიღზე მინიჭებული ზღვრული დეფოლტის ალბათობა.

კოქსის საფრთხის დონეების მოდელირებისას დაკვირვების პერიოდი 5 წელია.

ქვემოთ მოცემულია მსზ-ის ის ცვლილებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც დადგებოდა მაკროეკონომიკურ პარამეტრში გონივრულად დასაშვები ცვლილებით, რაც მიღებულია ბანკის ეკონომიკური ცვლადების დაშვებებისას გამოყენებული რეალური დაშვებებით.

	2018 (ლარი)		
გამოყენებული მაკრო პარამეტრი	მშპ		
მაკრო პარამეტრის ცვლილების % მგრძნობიარობის ტესტისათვის	46.00%		-36.00%

		მშპ + 46%	ცვლილების გარეშე	მშპ- 36%
სესხების პორტფელი	მცირე	1,925,531	1,875,603	1,841,442
	მსხვილი	17,087,874	17,383,034	17,624,406
სულ		19,013,405	19,258,637	19,465,848

დეფოლტით გამოწვეული ზარალი (LGD)

LGD არის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის სიდიდე. კომპანიამ LGD პარამეტრები შეაფასა დეფოლტირებული კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნების ამოღების ისტორიის საფუძველზე. LGD მოდელში გათვალისწინებულია მხოლოდ ნაღდი ფულის ამოღება. LGD გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე.

უზრუნველყოფილ სესხებზე, უზრუნველყოფის გარეშე არსებულ სესხებზე და გარანტირებულ სესხებზე გამოიყენება ამოღების დონე.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD იმ თანხებს ეფუძნება, რომლებიც კომპანიის აზრით, მის მიმართ დასაფარი იქნება დეფოლტის დროს, შემდეგი 12 თვის (12 თვიანი EAD) ან აქტივის არსებობის მანძილზე (EAD არსებობის მანძილზე).

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც იმის შეფასებისას, ხომ არ გაიზარდა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად საწყისი აღიარების შემდეგ, ასევე, მსზ-ის შეფასებისას.

კომპანიამ დაადგინა და დოკუმენტურად გააფორმა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები ისტორიული მონაცემების ანალიზის საშუალებით და შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობასა და ამოღების კოეფიციენტზე. ანალიზში მაკროეკონომიკურ ცვლადად გამოყენებულ იქნა მშპ-ის რეალური ზრდის განაკვეთი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ 2019-2023 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები.

		2019	2020	2021	2022	2023
მშპ-ის რეალური ზრდა	საბაზისო	5%	5%	5%	5%	5%
	ოპტიმისტური	6.5%	5.5%	5%	5%	5%
	პესიმისტური	2%	3%	4%	4%	4%

	შეწონვის კოეფიციენტი (%) 2018
საბაზისო	50%
ოპტიმისტური	25%
პესიმისტური	25%

საანგარიშო დღეს სესხზე დანაკარგის განსასაზღვრად ბანკი ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასებების კომბინაციას მიმართავს. ინდივიდუალურად ფასდება ის სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება.

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი
შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მცირე სესხები	**1-ელი ეტაპი**	**მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე**	**მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**12 თვიანი მსზ**			
მიმდინარე	10,759,400	84,403	24,927	10,868,730
1-30 დღე ვადაგადაცილებით	-	309,186	7,469	316,655
31-60 დღე ვადაგადაცილებით	-	192,710	2,878	195,588
61-90 დღე ვადაგადაცილებით	-	153,256	3,366	156,622
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	2,022,768	2,022,768
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(134,279)	(169,703)	(1,571,619)	(1,875,601)
სულ მცირე სესხები	**10,625,121**	**569,852**	**489,789**	**11,684,762**

მსხვილი სესხები	**1-ელი ეტაპი**	**მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე**	**მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**12 თვიანი მსზ**			
მიმდინარე	194,156,284	7,048,165	754,934	201,959,383
1-30 დღე ვადაგადაცილებით	-	5,024,191	83,111	5,107,302
31-60 დღე ვადაგადაცილებით	-	2,120,972	67,292	2,188,264
61-90 დღე ვადაგადაცილებით	-	1,105,432	49,902	1,155,334
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	13,113,832	13,113,832
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(3,824,846)	(2,673,074)	(10,885,116)	(17,383,036)
სულ მსხვილი სესხები	**190,331,438**	**12,625,686**	**3,183,955**	**206,141,079**
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**200,956,559**	**13,195,538**	**3,673,744**	**217,825,841**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ბანკმა მოდიფიცირება გაუკეთა კლიენტებზე გაცემული ზოგიერთი სესხის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს. ყველა ასეთი სესხი გადავიდა სულ მცირე მე-2 ეტაპზე და ზარალის რეზერვი შეფასდა არსებობის მანძილზე მსზ-ის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში იყო:

მცირე სესხები	1-ელი ეტაპი 12 თვიანი მსზ	მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე	მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 1 იანვარი	**167,397**	**273,427**	**2,575,305**	**3,016,129**
მოძრაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტით				
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(74,767)	596,733	-	521,966
- გადატანა 1-ელიდან მე-3 ეტაპზე	(13)	-	-	(13)
- გადატანა მე-2-დან 1-ელ ეტაპზე	31,308	(277,233)	-	(245,925)
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	(1,183,897)	1,833,058	649,161
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	2,404	(12,498)	(10,094)
წარმოშობილი ან შესყიდული ახალი ფინანსური აქტივები	125,479	11,355	91,234	228,068
ცვლილება რისკის პარამეტრებში	681	872,696	(1,653,471)	(780,094)
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება	811	(1,696)	(1,352)	(2,237)
მოძრაობა ვალუტის გაცვლით კურსში	(45)	13	(12)	(44)
მოძრაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტის გარეშე				
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(1,334)	1,334	-	-
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	-	-	-
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	-	-	-
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივები	(115,237)	(125,433)	(66,648)	(307,318)
ჩამოწერა	-	-	(1,193,995)	(1,193,995)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 31 დეკემბერი	**134,280**	**169,703**	**1,571,621**	**1,875,604**

მსხვილი სესხები	1-ელი ეტაპი 12 თვიანი მსზ	მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე	მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 1 იანვარი	**3,348,448**	**2,053,101**	**10,671,512**	**16,073,061**
მოძრაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტით				
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(959,703)	6,678,524	-	5,718,821
- გადატანა მე-2-დან 1-ელ ეტაპზე	512,418	(3,825,401)	-	(3,312,983)
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	(3,751,933)	6,624,875	2,872,942
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	62,550	(355,785)	(293,235)
წარმოშობილი ან შესყიდული ახალი ფინანსური აქტივები	1,120,221	382,862	1,357,724	2,860,807
ცვლილება რისკის პარამეტრებში	1,659,731	2,130,992	(632,034)	3,158,689
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება	97,863	(170,815)	(34,447)	(107,399)
მოძრაობა ვალუტის გაცვლით კურსში	4,287	15,027	76,100	95,414
მოძრაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტის გარეშე				
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(136,759)	136,759	-	-
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	(6,713)	6,713	-
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	1,580	(1,580)	-
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივები	(1,821,663)	(1,033,461)	(623,444)	(3,478,568)
ჩამოწერა	-	-	(6,204,516)	(6,204,516)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 31 დეკემბერი	**3,824,843**	**2,673,072**	**10,885,114**	**17,383,033**

შესაბამისი მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს იყო:

მცირე სესხები	1-ელი ეტაპი 12 თვიანი მსზ	მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე	მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარი	**14,071,625**	**1,258,702**	**3,216,824**	**18,547,151**
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(4,783,080)	4,783,080	-	-
- გადატანა 1-ელიდან მე-3 ეტაპზე	-	-	-	-
- გადატანა მე-2-დან 1-ელ ეტაპზე	1,564,179	(1,564,179)	-	-
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	(2,806,988)	2,806,988	-
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	14,199	(14,199)	-
წარმოშობილი ან შესყიდული ახალი ფინანსური აქტივები	22,591,099	156,822	124,009	22,871,930
ძირი თანხის დაფარვა	(24,371,803)	(952,789)	(403,543)	(25,728,135)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	1,938,487	264,340	(2,282,749)	(79,922)
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება	(1,962)	(2,121)	(2,251)	(6,334)
მოძრაობა ვალუტის გაცვლით კურსში	(2,763)	(345)	(2,818)	(5,926)
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივები	(246,381)	(411,163)	(188,721)	(846,265)
ჩამოწერა	-	-	(1,192,126)	(1,192,126)
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	**10,759,401**	**739,558**	**2,061,414**	**13,560,373**

მსხვილი სესხები	1-ელი ეტაპი 12 თვიანი მსზ	მე-2 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე კრედიტის გაუარესების გარეშე	მე-3 ეტაპი მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარი	**194,454,328**	**12,730,801**	**12,983,173**	**220,168,302**
- გადატანა 1-ელიდან მე-2 ეტაპზე	(38,119,836)	38,119,836	-	-
- გადატანა მე-2-დან 1-ელ ეტაპზე	16,606,338	(16,606,338)	-	-
- გადატანა მე-2-დან მე-3 ეტაპზე	-	(10,522,163)	10,522,163	-
- გადატანა მე-3-დან მე-2 ეტაპზე	-	469,950	(469,950)	-
წარმოშობილი ან შესყიდული ახალი ფინანსური აქტივები	201,544,228	4,368,239	1,923,257	207,835,724
ძირი თანხის დაფარვა	(180,330,672)	(8,071,595)	(1,981,603)	(190,383,870)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	6,008,179	632,189	(282,585)	6,357,783
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება	10,704	(37,592)	(38,720)	(65,608)
მოძრაობა ვალუტის გაცვლით კურსში	(490,984)	18,782	13,977	(458,225)
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივები	(5,526,001)	(5,803,347)	(2,460,455)	(13,789,803)
ჩამოწერა	-	-	(6,140,198)	(6,140,198)
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	**194,156,284**	**15,298,762**	**14,069,059**	**223,524,105**

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებულ რისკს და აფასებს მის გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ქვეყნისთვის სპეციფიური რისკების კომპენსირება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ფუნქციის გავლით ზოგადი ზედამხედველობის საშუალებით. ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	35,593,350	-	-	**35,593,350**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	14,814,367	-	-	**14,814,367**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	987,500	-	-	**987,500**
კლიენტებზე გაცემული სესხები	217,825,841	-	-	**217,825,841**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,739,844	-	-	**18,739,844**
სხვა ფინანსური აქტივები	1,752,340	-	-	**1,752,340**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**289,713,242**	**-**	**-**	**289,713,242**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები	144,596,458	-	-	**144,596,458**
ბანკების დეპოზიტები	6,105,137	-	-	**6,105,137**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	**-**
აღებული სესხები	345,984	15,356,894	66,728,997	**82,431,875**
სუბორდინირებული სესხი	-	-	20,044,670	**20,044,670**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	598,214	8,917	177,017	**784,148**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**151,645,793**	**15,365,811**	**86,950,684**	**253,962,288**
წმინდა პოზიცია არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**138,067,449**	**(15,365,811)**	**(86,950,684)**	**35,750,954**
სულ დაფარული:				
- ფორვარდული სავალუტო კონტრაქტები	-	-	(750,750)	
წმინდა პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**-**	**-**	**(750,750)**	
წმინდა პოზიცია	**138,067,449**	**(15,365,811)**	**(87,701,434)**	

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	28,032,175	-	-	**28,032,175**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	18,221,518	-	-	**18,221,518**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	979,602	-	-	**979,602**
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,417,607	-	-	**221,417,607**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,976,370	-	-	**18,976,370**
სხვა ფინანსური აქტივები	596,484	-	-	**596,484**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**288,223,756**	**-**	**-**	**288,223,756**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები	97,929,163	-	-	**97,929,163**
ბანკების დეპოზიტები	23,625,199	-	-	**23,625,199**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,141,138	-	-	**20,141,138**
აღებული სესხები	1,021,161	15,284,403	82,347,165	**98,652,729**
სუბორდინირებული სესხი	-	-	12,552,520	**12,552,520**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	503,412	-	71,895	**575,307**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**143,220,073**	**15,284,403**	**94,971,580**	**253,476,056**
წმინდა პოზიცია არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**145,003,683**	**(15,284,403)**	**(94,971,580)**	
სულ დაფარული:				
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	162,770	
წმინდა პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**-**	**-**	**162,770**	
წმინდა პოზიცია	**145,003,683**	**(15,284,403)**	**(94,808,810)**	

უზრუნველყოფა

ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის სახეობების მისაღებლობა და შეფასების პარამეტრები დგინდება ინსტრუქციის შესაბამისად.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული სესხებისათვის, უძრავი ქონება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
- საცალო სესხებისათვის, საცხოვრებელი ფართის გირავნობა

ხელმძღვანელობა აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას საბაზისო შეთანხმების შესაბამისად და აკვირდება მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგის რეზერვების ადეკვატურობის მიმოხილვისას.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მიერ ფლობილი ისეთი ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული:

31 დეკემბერი, 2018	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-	20,981,634	-	**20,981,634**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	-	-	-	14,814,367	-	**14,814,367**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	987,500	-	**987,500**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-		18,739,844	-	**18,739,844**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	1,752,340	**1,752,340**
31 დეკემბერი, 2017							
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	178,974	15,547,161	-	**15,726,135**
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	-	-	-	18,221,518	-	**18,221,518**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	979,602	-	**979,602**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	18,976,370	-	**18,976,370**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	596,484	**596,484**

ბანკი ახორციელებს მრავალ გარიგებას, სადაც კონტრაგენტი არ ფასდება საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ. ისეთი კონტრაგენტებისათვის, რომლებიც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებში არ ფასდება, ბანკმა შეიმუშავა შეფასების შიდა მოდელი. მის მიხედვით იგი განსაზღვრავს კონტრაგენტის რეიტინგს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების რეიტინგს შეუდარდეს.

საბანკო სექტორი ზოგადად საკრედიტო რისკით ხასიათდება კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების არსებობის გამო. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკები კონცენტრირებულია საქართველოში. საკრედიტო რისკდამოკიდებულების მონიტორინგი რეგულარულად ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

მცირე და საშუალო ბიზნესებზე გასაცემი სესხების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ბანკში შემუშავდა მსესხებლის ქულებით შეფასების მოდელი. ქულებიანი მოდელი მიღებულია სტანდარტული სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებით და მოიცავს მსესხებლის ძირითად ინდიკატორებს: ფინანსური მდგომარეობა, ურთიერთობა მსესხებელთან, მმართველობითი ხარისხი, სამიზნე გამოყენება, ადგილმდებარეობა, საკრედიტო ისტორია, უზრუნველყოფა და სხვა.

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები ფასდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგით, რომელიც მათ მიენიჭა საერთაშორისო სააგენტოს, მაგ. "ფიტჩის", "სტანდარდ & ფუარზის" და "მუდისგან". მაქსიმალური შესაძლო რეიტინგია AAA. საინვესტიციო ჯგუფის ფინანსური აქტივების რეიტინგი AAA-BBB ფარგლებშია. ამაზე დაბალი რეიტინგის მქონე ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სპეკულაციური რანგის აქტივები.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსათვის დადგენილი საკრედიტო რეიტინგი შეესაბამებოდა საინვესტიციო დონეს BB-.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი სახსრების არსებობა. ბანკში მთავარი ორგანო, რომელიც ლიკვიდობას მართავს ყოველთვიურად, არის აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი. კომიტეტის ანგარიშები, რომლებიც სხდომაზე გადის, მოიცავს ფინანსური პოზიციის, მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის დეტალურ პროგნოზს მომდევნო 18 თვის განმავლობაში, რის შედეგადაც ზუსტად განისაზღვრება სამომავლო დაფინანსების საჭიროებები. მიმდინარე მოვლენების საფუძველზე კომიტეტში გამოყენებული პროგნოზები სულ მცირე ყოველთვიურად ახლდება.

სხვა საკითხებს შორის, ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის, შეხვედრების დროს კომიტეტი განიხილავს ლიკვიდობის სქემას, პროგნოზს და დაფინანსების განრიგს. კომიტეტში ლიკვიდობასთან დაკავშირებული განხილვების შედეგად ხდება სამომავლო დაფინანსების დონის განსაზღვრა (დრო, თანხა, ვალუტა), ლიკვიდობის სავარაუდო წყაროების გამოვლენა (თანხების პირდაპირ მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ფულის ბაზრის ინსტრუმენტების, ბანკთაშორისი დეპოზიტების, ვალუტის სვოპები, ა.შ. გამოყენება) და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომიტეტი აწესებს შიდა ლიმიტებს არასასესხო ლიკვიდობაზე (შეუზღუდავი ფული და ფულის ექვივალენტები).

მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება ხაზინის დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისათვის. ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს კლიენტებისა და სხვა ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორატი აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ წილზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას. ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. მასში ნაჩვენები ინფორმაცია ეფუძნება ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ხელმისაწვდომ შიდა მონაცემებს.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	5.14%	17,071,473	-	-	-	-	**17,071,473**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.39%	54,187	644,253	17,366,404	675,000	-	**18,739,844**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.25%	-	987,500	-	-	-	**987,500**
კლიენტებზე გაცემული სესხები	23.92%	16,481,665	18,585,393	77,323,971	104,083,940	1,350,872	**217,825,841**
სულ ფინანსური აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		33,607,325	20,217,146	94,690,375	104,758,940	1,350,872	**254,624,658**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-0.60%	14,814,367	-	-	-	-	**14,814,367**
სულ ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		14,814,367	-	-	-	-	**14,814,367**
ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
ფული და ფულის ექვივალენტები		18,521,877	-	-	-	-	**18,521,877**
სხვა ფინანსური აქტივები		946,011	378,074	428,255	-	-	**1,752,340**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
სულ ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე		19,467,888	378,074	428,255	-	-	**20,274,217**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები		**67,889,580**	**20,595,220**	**95,118,630**	**104,758,940**	**1,350,872**	**289,713,242**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები							
ბანკების დეპოზიტები	10.75%	790,000	-	5,315,137	-	-	**6,105,137**
კლიენტების დეპოზიტები	9.12%	24,805,609	10,566,048	73,751,792	27,083,573	583,122	**136,790,144**
აღებული სესხები	12.05%	-	161,470	39,012,766	19,343,320	-	**58,517,556**
სუბორდინირებული სესხი	11.00%	-	-	6,687,848	-	-	**6,687,848**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		25,595,609	10,727,518	124,767,543	46,426,893	583,122	**208,100,685**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
აღებული სესხები	12.51%	623,360	345,997	20,629,258	2,315,704	-	**23,914,319**
სუბორდინირებული სესხი	9.18%	-	-	87,626	-	13,269,196	**13,356,822**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		623,360	345,997	20,716,884	2,315,704	13,269,196	**37,271,141**
ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		7,806,314	-	-	-	-	**7,806,314**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		556,745	201,167	26,236	-	-	**784,148**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		8,363,059	201,167	26,236	-	-	**8,590,462**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		**34,582,028**	**11,274,682**	**145,510,663**	**48,742,597**	**13,852,318**	**253,962,288**
მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		22,202,723	9,143,631	(50,794,052)	56,016,343	(12,501,446)	**24,067,199**
კუმულატიური მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		**22,202,723**	**31,346,354**	**(19,447,698)**	**36,568,645**	**24,067,199**	
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები							
სულ დაფარული:							
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები		-	-	(750,750)	-	-	**(750,750)**
სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	-	(750,750)	-	-	**(750,750)**
ლიკვიდობის დეფიციტი		**33,307,552**	**9,320,538**	**(51,142,783)**	**56,016,343**	**(12,501,446)**	**35,000,204**
ლიკვიდობის კუმულატიური დეფიციტი		**33,307,552**	**42,628,090**	**(8,514,693)**	**47,501,650**	**35,000,204**	

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნია ლიკვიდობის უარყოფითი დეფიციტი 8,514 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ეს ახსნილია 32-ე შენიშვნაში. ეს ძირითადად დაკავშირებულია აღებული სესხებისა და სუბორდინირებული სესხის დიდი ნაწილის დაფარვასთან. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის ბანკმა KFW-ს დაუფარა სუბორდინირებული სესხი 6,688 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო BlueOrchard Microfinance Fund -ს - 18,190 ათასი ლარის ოდენობით. ეს სესხები ზემოთ მოცემულ ცხრილში მოთავსებულია 3 თვიდან 1 წლამდე ჯგუფში.

ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ლიკვიდობის დეფიციტი ეჭვქვეშ არ აყენებს მოქმედი საწარმოს პრინციპს, რადგან კლიენტების მიმდინარე და შემნახველი დეპოზიტების დიდ ნაწილზე მოთხოვნის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია როგორც დეპოზიტართა რაოდენობით, აგრეთვე ტიპით და ბანკის წარსული გამოცდილება მიუთითებს, რომ კლიენტების ეს ანგარიშები ბანკის გრძელვადიანი და სტაბილური დაფინანსების წყაროა. ბანკის მოსალოდნელი ლიკვიდობის რისკის მართვის პროცესში გათვალისწინებულია მიმდინარე დეპოზიტების ვადიანობის გამოთვლა. გამოთვლისას ისტორიული ინფორმაცია, კერძოდ, კლიენტების ანგარიშების ნაშთები მუშავდება სტატისტიკურად. ამდენად, 1 წლამდე საკონტრაქტო ვადიანობის უარყოფითი ლიკვიდობის დეფიციტი მნიშვნელოვნადაა შემცირებული და დადებით ტენდენციაშიც გადავა ქცევითი ვადიანობის გამოყენების შემთხვევაში.

ცხრილში მოცემულია ბანკის მოსალოდნელი ლიკვიდობის რისკის მართვის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასების მიხედვით, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთის რისკები. მონაცემები ეფუძნება ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის მიწოდებულ ინფორმაციას.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	5.14%	17,071,473	-	-	-	-	17,071,473
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.39%	-	987,500	-	-	-	987,500
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.25%	16,481,665	18,585,393	77,323,971	104,083,940	1,350,872	217,825,841
კლიენტებზე გაცემული სესხები	23.92%	54,187	644,253	17,366,404	675,000	-	18,739,844
სულ ფინანსური აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		33,607,325	20,217,146	94,690,375	104,758,940	1,350,872	254,624,658
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-0.60%	14,814,367	-	-	-	-	14,814,367
სულ ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		14,814,367	-	-	-	-	14,814,367
ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
ფული და ფულის ექვივალენტები		18,521,877	-	-	-	-	18,521,877
სხვა ფინანსური აქტივები		946,011	378,074	428,255	-	-	1,752,340
სულ ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე		19,467,888	378,074	428,255	-	-	20,274,217
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები		**67,889,580**	**20,595,220**	**95,118,630**	**104,758,940**	**1,350,872**	**289,713,242**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	10.75%	790,000	-	5,315,137	-	-	790,000
კლიენტების დეპოზიტები	9.12%	6,796,306	11,095,131	76,524,104	41,791,481	583,122	136,790,144
აღებული სესხები	12.05%	-	161,470	39,012,765	19,343,321	-	58,517,556
სუბორდინირებული სესხი	11.00%	-	-	6,687,848	-	-	6,687,848

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		7,586,306	11,256,601	127,539,854	61,134,802	583,122	208,100,685
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
აღებული სესხები	12.51%	623,360	345,997	20,629,258	2,315,704	-	23,914,319
სუბორდინირებული სესხი	9.18%	-	-	87,626	-	13,269,196	13,356,822
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		623,360	345,997	20,716,884	2,315,704	13,269,196	37,271,141
ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		183,522	226,890	1,276,375	6,119,527	-	7,806,314
სხვა ფინანსური ვალდებულებები		556,745	201,167	26,236	-	-	784,148
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		740,267	428,057	1,302,611	6,119,527	-	8,590,462
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		**8,949,933**	**12,030,655**	**149,559,349**	**69,570,033**	**13,852,318**	**253,962,288**
მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		40,212,026	8,614,547	(53,566,363)	41,308,435	(12,501,446)	24,067,200
ჯამური მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		**40,212,026**	**48,826,574**	**(4,739,789)**	**36,568,645**	**24,067,199**	
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები							
სულ დაფარული - სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები		-	-	(750,750)	-	-	**(750,750)**
სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	-	(750,750)	-	-	**(750,750)**
ლიკვიდობის დეფიციტი		58,939,647	8,564,565	(55,191,469)	35,188,907	(12,501,446)	35,000,204
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი		**58,939,647**	**67,504,212**	**12,312,743**	**47,501,650**	**35,000,204**	

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ფული და ფულის ექვივალენტები	5.78%	12,181,745	-	-	-	-	**12,181,745**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.41%	56,195	5,978,087	11,019,088	1,923,000	-	**18,976,370**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.75%	-	979,602	-	-	-	**979,602**
კლიენტებზე გაცემული სესხები	23.69%	13,520,886	18,913,642	78,220,596	107,225,850	3,536,633	**221,417,607**
სულ ფინანსური აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		25,758,826	25,871,331	89,239,684	109,148,850	3,536,633	**253,555,324**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	0.96%	18,221,518	-	-	-	-	**18,221,518**
სულ ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		18,221,518	-	-	-	-	**18,221,518**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
ფული და ფულის ექვივალენტები		15,850,430	-	-	-	-	**15,850,430**
სხვა ფინანსური აქტივები		596,484	-	-	-	-	**596,484**
სულ ფინანსური აქტივები საპროცენტო სარგებლის გარეშე		16,446,914	-	-	-	-	16,446,914
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები		**60,427,258**	**25,871,331**	**89,239,684**	**109,148,850**	**3,536,633**	**288,223,756**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	7.28%	22,834,886	790,313	-	-	-	**23,625,199**
კლიენტების დეპოზიტები	7.97%	20,981,627	3,706,767	52,278,122	13,874,755	340,170	**91,181,441**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.1%	-	-	20,141,138	-	-	**20,141,138**
აღებული სესხები	7.92%	2,638,935	8,039,344	29,939,017	29,701,011	-	**70,318,307**
სუბორდინირებული სესხი	9.70%	-	148,034	250,346	6,451,300	5,702,840	**12,552,520**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		46,455,448	12,684,458	102,608,623	50,027,066	6,043,010	**217,818,605**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
აღებული სესხები	10.75%	446,805	480,983	8,843,874	18,562,760	-	**28,334,422**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		446,805	480,983	8,843,874	18,562,760	-	**28,334,422**
ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების ანგარიშები		6,747,722	-	-	-	-	**6,747,722**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		575,308	-	-	-	-	**575,308**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		7,323,030	-	-	-	-	**7,323,030**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები		**54,225,283**	**13,165,441**	**111,452,497**	**68,589,826**	**6,043,010**	**253,476,057**
მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		(2,921,909)	12,705,890	(22,212,813)	40,559,024	(2,506,377)	**25,623,815**
კუმულატიური მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ		**(2,921,909)**	**9,783,981**	**(12,428,832)**	**28,130,192**	**25,623,815**	
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები							
სულ დაფარული - სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები		-	-	109,220	53,550	-	**162,770**
სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		-	-	109,220	53,550	-	**162,770**
ლიკვიდობის დეფიციტი		**6,201,975**	**12,705,890**	**(22,103,593)**	**40,612,574**	**(2,506,377)**	**34,910,469**
ლიკვიდობის კუმულატიური დეფიციტი		**6,201,975**	**18,907,865**	**(3,195,728)**	**37,416,846**	**34,910,469**	

ზემოთ მოცემულ ცხრილში დაფარვამდე დარჩენილი ვადები შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის მოცემული თანხები შეიცვლება, თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისგან განსხვავებული იქნება.

შემდგომ ცხრილში მოცემულია ბანკის დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა შეთანხმებული დაფარვის პერიოდის მქონე ფინანსური ვალდებულებებისათვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების მიხედვით, იმ უადრესი თარიღის საფუძველზე, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილებში მოცემულია როგორც საპროცენტო, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. თუ საპროცენტო სარგებელი მცოცავი განაკვეთით იანგარიშება, არადისკონტირებული თანხა მიიღება საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთის მრუდების გამოყენებით. საკონტრაქტო ვადიანობა ეფუძნება იმ უადრეს თარიღს, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	10.75%	794,697	-	5,537,500	-	-	**6,332,197**
კლიენტების დეპოზიტები	9.12%	24,542,213	10,696,537	73,831,538	36,468,052	1,157,873	**146,696,213**
აღებული სესხები	12.05%	-	227,853	43,734,935	20,841,028	-	**64,803,816**
სუბორდინირებული სესხი	11.00%	-	-	6,882,999	-	-	**6,882,999**
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		25,336,910	10,924,390	129,986,972	57,309,080	1,157,873	**224,715,225**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
აღებული სესხები	12.51%	730,930	344,504	22,258,961	2,472,302	-	**25,806,697**
სუბორდინირებული სესხი	9.18%	-	-	1,271,064	5,087,740	14,979,799	**21,338,603**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით	-	730,930	344,504	23,530,025	7,560,042	14,979,799	**47,145,300**
ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		7,806,314	-	-	-	-	**7,806,314**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		556,745	201,167	26,236	-	-	**784,148**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		8,363,059	201,167	26,236	-	-	**8,590,462**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**34,430,899**	**11,470,061**	**153,543,233**	**64,869,122**	**16,137,672**	**280,450,987**

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით							
ბანკების დეპოზიტები	7.28%	22,853,074	795,178	-	-	-	**23,648,252**
კლიენტების დეპოზიტები	7.97%	21,205,199	4,187,690	55,163,797	15,068,156	1,066,883	**96,691,725**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10.1%	-	-	21,007,233	-	-	**21,007,233**
ნასესხები სახსრები	7.92%	2,661,361	8,232,003	34,127,912	32,166,501	-	**77,187,777**
სუბორდინირებული სესხი	9.7%	-	256,596	967,649	8,937,151	6,526,203	**16,687,599**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		46,719,634	13,471,467	111,266,591	56,171,808	7,593,086	**235,222,586**
ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით							
ნასესხები სახსრები	10.75%	660,754	361,630	10,831,560	20,418,138	-	**32,272,082**
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		660,754	361,630	10,831,560	20,418,138	-	**32,272,082**
ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
კლიენტების დეპოზიტები		6,747,722	-	-	-	-	**6,747,722**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		575,308	-	-	-	-	**575,308**
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		7,323,030	-	-	-	-	**7,323,030**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**54,703,418**	**13,833,097**	**122,098,151**	**76,589,946**	**7,593,086**	**274,817,698**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ბანკის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდობის ანალიზს. ცხრილი შედგენილია წმინდად ანგარიშსწორებად წარმოებულ ინსტრუმენტებზე არადისკონტირებული საკონტრაქტო წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/გადინების საფუძველზე და ბრუტო ანგარიშსწორებად წარმოებულ ინსტრუმენტებზე არადისკონტირებული მთლიანი შემოდინება/გადინების საფუძველზე. სადაც გადასახდელი ან მოთხოვნადი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები თანხა განისაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოს მრუდის საშუალებით პროგნოზირებული საპროცენტო განაკვეთების საშუალებით.

	1 თვემდე	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2018 სულ
ნეტ ანგარიშსწორება:						
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	(750,750)	-	-	**(750,750)**
წმინდა ფულის გადინება	**-**	**-**	**(750,750)**	**-**	**-**	**(750,750)**

	1 თვემდე	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2017 სულ
ნეტ ანგარიშსწორება:						
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	-	-	109,220	53,550	-	**162,770**
წმინდა ფულის გადინება	**-**	**-**	**109,220**	**53,550**	**-**	**162,770**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა გააუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან საქმიანობის მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო სპრედებს, სასაქონლო ფასებსა და კაპიტალის ფასებს, რომელთაც ბანკი იყენებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლისა და მართვის მეთოდებში, ასევე, იმ რისკებში, რომლებიც მასზე ვრცელდება, ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საბაზრო რისკები, რომლებიც ამჟამად ბანკზე მოქმედებს, არის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძნობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ რისკდამოკიდებულებაზე დაყრდნობით. ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მცოცავია, ანალიზი მზადდება იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში დასაფარი იყო. 1%-იანი საბაზისო პუნქტიანი ზრდა ან შემცირება გამოიყენება უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის საპროცენტო განაკვეთის რისკზე მოხსენების მომზადების შემთხვევაში და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთები რომ 1%-იანი საბაზისო პუნქტით მაღალი/დაბალი ყოფილიყო, ყველა სხვა ცვლადი კი მუდმივ დონეზე შენარჩუნებულიყო, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მოგება გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, შესაბამისად, 233,165/(233,165) ლარით და 256,238/(256,238) ლარით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება შემოსავლებისა და ეკონომიკური ღირებულების მიდგომებით. ორივე მოდელში ძირითადი ამოსავალი წერტილია საპროცენტო განაკვეთის შოკები. მათი პარამეტრები განისაზღვრა, როგორც აქტივების/ვალდებულებების 2% უცხოურ ვალუტაში და 3% - ლარში. ლარისთვის შერჩეული პარამეტრიც ეფუძნება თბსგ1 (თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის) სარისკო ღირებულების ბოლო 3 წლის ცვლილებას. თბსგ1 მონაცემები ყოველდღიურად ქვეყნდება და ნაწილობრივ ასახავს საპროცენტო განაკვეთების მერყეობის ტენდენციებს. საშემოსავლო მიდგომის მოდელი კი ანგარიშობს საპროცენტო განაკვეთის შოკის ზეგავლენას ბანკის შემოსავლებზე მომდევნო 12 თვის განმავლობაში საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების/ვალდებულებების ვადიანობისა და გადაფასების სტრუქტურის მიხედვით.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც შესაფასებლად გამოიყენება, არის მოდიფიცირებული დურაციის მეთოდი, რომელიც ითვლის საპროცენტო განაკვეთის შოკის ზეგავლენას ბანკის ეკონომიკურ ღირებულებაზე. შოკის პარამეტრები იგივეა. გარდა ამისა, მოდიფიცირებული დურაციის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება ფონდის საშუალო შეწონილი ღირებულება. ორივე მეთოდის მეშვეობით არა მხოლოდ რისკების კალიბრაციაა შესაძლებელი, არამედ დამატებითი კაპიტალის ოდენობის დადგენაც მეორადი კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ბანკი ცდილობს, შეინარჩუნოს თითქმის მთლიანად დახურული ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

საბაზრო რისკების შესაფასებლად, თითოეული სპეციფიური რისკისათვის ბანკს შექმნილი აქვს სპეციალური მოდელები. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი იყენებს ბოლო რამდენიმე წლის (მთელი ეკონომიკური ციკლი) ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილებების 99%-იანი სარისკო განაკვეთის მოდელს. შედეგები შემდეგ გადადის 30 დღიან პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბანკის სავალუტო რისკდამოკიდებულება წარმოდგენილია ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.0701 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	20,913,833	12,428,826	2,250,691	-	35,593,350
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	14,147,075	667,292	-	14,814,367
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	987,500	-	-	987,500
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,739,844	-	-	-	18,739,844
კლიენტებზე გაცემული სესხები	197,677,024	20,148,817	-	-	217,825,841
სხვა ფინანსური აქტივები	880,345	776,945	95,050	-	1,752,340
	-	-	-	-	-
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**238,211,046**	**48,489,163**	**3,013,033**	**-**	**289,713,242**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	750,750	-	-	-	750,750
ბანკების დეპოზიტები	6,105,137	-	-	-	6,105,137
კლიენტების დეპოზიტები	101,480,889	40,458,107	2,657,462	-	144,596,458
აღებული სესხები	71,073,571	11,355,088	-	-	82,428,659
სუბორდინირებული სესხი	6,687,848	13,357,616	-	-	20,045,464
სხვა ფინანსური ვალდებულებები	345,994	437,057	1,097	-	784,148
	-	-	-	-	-
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**186,444,189**	**65,607,868**	**2,658,559**	**-**	**254,710,616**
ღია საბალანსო პოზიცია	**51,766,857**	**(17,118,705)**	**354,474**	**-**	**35,002,626**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ნეტ ანგარიშსწორება:					
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	(17,812,050)	17,061,300	-	-	(750,750)
ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**(17,812,050)**	**17,061,300**	**-**	**-**	(750,750)
ღია პოზიცია	**33,954,807**	**(57,405)**	**354,474**	**-**	**34,251,876**

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	14,929,435	11,085,493	2,017,247	-	**28,032,175**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	17,717,015	504,503	-	**18,221,518**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	979,602	-	-	**979,602**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	18,976,370	-	-	-	**18,976,370**
კლიენტებზე გაცემული სესხები	172,683,207	48,734,400	-	-	**221,417,607**
სხვა ფინანსური აქტივები	596,484	-	-	-	**596,484**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**207,185,496**	**78,516,510**	**2,521,750**	**-**	**288,223,756**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	23,003,871	-	621,328	-	**23,625,199**
კლიენტების დეპოზიტები	52,291,938	43,794,955	1,842,270	-	**97,929,163**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,141,138	-	-	-	**20,141,138**
აღებული სესხები	41,148,064	57,504,665	-	-	**98,652,729**
სუბორდინირებული სესხი	6,701,646	5,850,874	-	-	**12,552,520**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	348,668	222,571	4,069	-	**575,308**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**143,635,325**	**107,373,065**	**2,467,667**	**-**	**253,476,057**
ღია საბალანსო პოზიცია	**63,550,171**	**(28,856,555)**	**54,083**	**-**	**34,747,699**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ნეტ ანგარიშსწორება:					
- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები	(28,869,870)	29,032,640	-	-	162,770
ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**(28,869,870)**	**29,032,640**	**-**	**-**	**162,770**
ღია პოზიცია	**34,680,301**	**176,085**	**54,083**	**-**	**34,910,469**

მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობიარობას ლარის აშშ დოლართან კურსის 20%-იან ზრდისა და შემცირების მიმართ. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების მიმდინარე ნაწილს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 20%-იანი ცვლილებით. მგრძნობიარობის ანალიზში შევიდა როგორც საგარეო სესხები, ასევე სესხების ფარდობა ბანკთან განხორციელებული უცხოური ვალუტის ოპერაციებთან, სადაც სესხი გამსესხებლის ან მსესხებლის ფუნქციონალურისგან განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ცხრილში დადებითი რიცხვი მიუთითებს მოგებისა და სხვა კაპიტალის ზრდაზე ლარის დოლართან კურსის 20%-იანი ზრდის პირობებში. იმავე კურსის 20%-იანი შემცირების შემთხვევაში, ცვლილებას მოგებასა და სხვა კაპიტალზე ასევე შესადარი ზეგავლენა აქვს და ნაშთი უარყოფითია.

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	აშშ დოლარის გავლენა		აშშ დოლარის გავლენა	
	+20%	-20%	+20%	-20%
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე	(11,481)	11,481	35,217	(35,217)
გავლენა კაპიტალზე	(9,759)	9,759	29,934	(29,934)

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ძირითად დაშვებაში შეტანილი ცვლილებების შედეგებს, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.
მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება შეცვლილი იყოს იმ დროისათვის,

როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი რისკდამოკიდებულების მართვას. სხვადასხვა დონის მიმართ საინვესტიციო ბაზრის მოძრაობის პარალელურად, ბანკმა შეიძლება გაატაროს ზომები, რომლებიც მოიცავს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებას და სხვა დაცვით ღონისძიებებს. ამის შედეგად, დაშვების ცვლილებას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე. მეორე მხრივ, აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ ვითარებაში აქტივებისა და ვალდებულებების გაზომვის განსხვავებულმა მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს ჰიპოთეტიური საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რაც წარმოადგენს მხოლოდ ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვლა შეუძლებელია. მგრძნობიარობის ანალიზი ასევე უშვებს, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთის ქცევა იდენტურია.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ბანკზე მოქმედებს საფასო რისკი იმ პროდუქტების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებზე.

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ. გაუტანელი სესხების ვალდებულებებიდან წარმოშობილი დანაკარგების რისკები მცირდება ამ ვალდებულების წარმომშობ სესხის ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების ჩადებით.

რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკის საქმიანობაში მონაწილე პირებს, კონტრაგენტებს, საზოგადოებას თუ საზედამხედველო ორგანოებს ორგანიზაციის იმიჯის შესახებ ექმნებათ უარყოფითი წარმოდგენა, იმის მიუხედავად, მართალია ასეთი წარმოდგენა თუ მცდარი.

რეპუტაციის რისკს მართავს რისკის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის რისკების კომიტეტის წინაშე. დეპარტამენტი განიხილავს და ამტკიცებს ყველა ახალ პროდუქტსა და მომსახურებას, რისი გატანაც ბანკს სურს ბაზარზე.

რისკის მართვის დეპარტამენტი იღებს რეპუტაციის რისკთან დაკავშირებულ მოვლენებს მარკეტინგის დეპარტამენტისგან და აანალიზებს მათ ზეგავლენას ბანკზე. გარდა ამისა, რისკის მართვის დეპარტამენტი იღებს კლიენტების მიერ მოწოდებულ საყვედურებს და ასევე აფასებს მათ.

რისკების დროულად გამოსავლენად რეგულარულად ტარდება კლიენტების კმაყოფილების შეფასების გამოკითხვები და მედია მონიტორინგი. მოქმედი საოპერაციო სისტემები და მექანიზმები, აგრეთვე, ლოიალური კლიენტების ბაზა ბანკს ეხმარება ამ რისკის შემცირებაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით.

არსებული პროცესებისა და პროდუქტების რისკის შესაფასებლად და კონტროლის სათანადო დონის დასადგენად გამოიყენება რისკის რუკები. პროცესი გულისხმობს სხვადასხვა განყოფილების,

მოვალეობისა თუ პროცესის ხარვეზების აღრიცხვა-დახარისხებას რისკის ტიპის მიხედვით. ეს პრაქტიკა ბანკს ეხმარება სისუსტეების გამოვლენასა და შემდგომი მმართველობითი ღონისძიებების დაგეგმვაში.

საოპერაციო რისკის მართვის, ანგარიშგებისა და ესკალაციის რეგულირებისათვის ბანკი იყენებს `სამხაზიანი დაცვის~ მოდელს.

საოპერაციო რისკი მინიმუმამდე მცირდება შემდეგი სტრატეგიების გამოყენებით:

ინციდენტების მიზეზების ანალიზი - დიდი ზარალის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება პროცედურა, რომელიც გულისხმობს სისტემის ხარვეზების ანალიზსა და საკორექციო ზომების გატარებას.

დაზღვევა - მესამე მხარისათვის `დაბალსიხშირიანი, მაღალი ხარისხის~ რისკის გადასაცემად გამოიყენება სადაზღვევო პოლისები.

საკმარისი პროცედურები - ბანკს, მსხვილი საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემცირების მიზნით, გააჩნია შესაბამისი პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები.

ანგარიშვალდებულება და მოვალეობათა განაწილება, ინტერესთა მიმდინარე კონფლიქტების შეფასება, მათი შეძლებისდაგვარად შემცირება მოცემული პერსონალის პირობებში და ეფექტის შემცირების მექანიზმების გამოყენება ხდება რეგულარულად და ახალი ფუნქციის შექმნამდე.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმები - ბანკი ბიზნესის უწყვეტობის გეგმებს იყენებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკი შეძლებს უწყვეტად ფუნქციონირებას და ზარალის შემცირებას ბიზნეს-საქმიანობის ავარიული შეწყვეტის შემთხვევაში.

საოპერაციო რისკის ზღვარი - მაღალრისკიან ტრანზაქციებზე დაწინდება ზღვარი, რათა ამით მოხდეს კონკრეტულ პროდუქტებზე/მომსახურებაზე რისკდამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება (ასეთებად მოიაზრება ლიმიტი თანხაზე, სახაზინო ლიმიტები და საოპერაციო ლიმიტები).

35. შემდგომი მოვლენები

წლის ბოლოს შემდეგ არ მომხდარა რაიმე ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვდა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ან ნაჩვენები რიცხვების კორექტირებას.

36. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დირექტორატის მიერ დამტკიცებული და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია 2019 წლის 14 ივნისს.